სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

N 2 (12), 2018, თებერვალი

ალმოსავლეთი

- პოლიტიკა
- ისტორია
- რელიგია
- ლიტერატურა
- კულტურა და ცივილიზაცია

WANTED!
TERRORIST SHOULD BE JAILED
TERÖRST
AZADIYA KURDISTNÊ
FREEDOM KURDISTAN
KURDIM ISRAEL KURDISTAN FOREVER

الحقل الشمسي
Solar Field



სარჩევი

პოლიტიკა და თანამედროვეობა

1. 2017 წლის პოლიტიკური მიმოხილვა 7
2. ირანის მოვლენები - ექსპერტთა შეფასებები 13
3. იერუსალიმის სტატუსი - მსოფლიოს ლიდერთა პოზიცია 15
4. ზურაბ კაპანაძე. ისრაელის პოლიტიკა ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებით 18
5. მიხეილ გვაძაბია. მუჰამად ბინ სალმანი - ლიდერი სისტემის წინააღმდეგ? 25
6. ბექა ვალიშვილი. ტრამპის „პირველი ნაბიჯები“ ახლო აღმოსავლეთში 28
7. მარიამ ხეთაგური. ალტერნატიული ენერგიის პროექტი საუდის არაბეთში 31

ისტორია

8. ნინო ფეიქრიშვილი. ევგენი ჭანიშვილი. ზუბაიდა ბინთ ჯაფარის სამონეტო ემისიები 34
9. ოთარ ჭიღლაძე. ჩინელებისა და არაბების დაპირისპირება შუა აზიაში 37
10. მათე ქარდავა. არსუფის ბრძოლა 39
11. მარიამ ხაბულიანი. მაჰმუდ II და განათლების რეფორმა ოსმალეთში..... 42

ლიტერატურა

12. სამიჰ ალ-კასიმი. ლექსები /არაბულიდან თარგმნა თორნიკე ხურციძემ/..... 48
13. თანამედროვე ირანელ ავტორთა მინიმები /სპარსულიდან თარგმნა გიორგი ხულორდავამ/..... 53
14. ჩინუა აჩებე. შაქრის ბიჭუნა /ინგლისურიდან თარგმნა გიორგი არქანიამ/..... 59
15. ღვთისავარ ჩაბრავა. იპეი ფუკურო - „ვეფხისტყაოსნის“ პირველი იაპონელი მთარგმნელი 67

რელიგია

16. ომიკო ეჯიბია. ივდითი და ოლოფერნე. მუჰამადი და ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისი - სიუჟეტთა შედარება 71
17. ქეთევან ლაფაჩი. ისლამი ღმერთკაცობრიობის კონტექსტში (ვლადიმერ სოლოვიოვის მიხედვით) 74
18. თორნიკე ფსუტური. პირმშოობის საკითხი თორაში..... 76

კულტურა და ცივილიზაცია

19. გვანცა ბალახაძე. არაბულ-მუსლიმური ესპანეთი 82
20. ალისა არჩვაძე. რამდენიმე ცნობა ბერბერების შესახებ 86

აღმოსავლეთი ქართული პრესის არქივში

21. ანასტასია წერეთელი. „მაროკკო“ (1895 წ.) 90
22. გაზეთ „კვალის“ სტატია „შახსეი-ვახსეი“ (1895 წ.) 91
23. ა. ქიქოძე. „ქართული ჩანგი არაბულად“ (1990 წ.) 92

24. ახალგაზრდული კონფერენციის პროგრამა 94

25. აღმოსავლური სიბრძნე 96

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<u>სარედაქციო კოლეგია:</u>

გიორგი არქანია /მთავარი რედაქტორი/
ომიკო ეჯიბია /რედაქტორი/
ზურაბ კაპანაძე /რედაქტორი/
მარიამ ხაბულიანი /რედაქტორი/
გიორგი ხულორდავა /რედაქტორი/

© გარეკანზე და რუბრიკების ფონად გამოყენებულია გიორგი არქანიას მიერ გადაღებული ფოტოები.

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

ტელ: 595 50 74 01; 591 62 60 60; 595 30 42 55; 599 48 45 97; 599 80 69 22.
ელ. ფოსტა: agmosavleti2018@gmail.com
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N36, თსუ-ს V კორპუსი,
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

2018

პოლიტიკა
და
თანამედროვეობა

2017 წლის პოლიტიკური მიმოხილვა

ანტონიუ გუტიერეში

1 იანვარი - მოვალეობის შესრულებას შეუდგა გაეროს რიგით მეცხრე გენერალური მდივანი - ანტონიუ გუტიერეში. 1995-2002 წლებში გუტიერეში პორტუგალიის პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა.

- სტამბოლში, ღამის კლუბ «Reina"-ზე თავდასხმის შედეგად, დაიღუპა 39 ადამიანი, 69 კი დაშავდა.

7 იანვარი - მოვალეობის შესრულებას შეუდგა განას პრეზიდენტი ნანა აკუფო-ადო. მამამისს, ედუარდ აკუფო-ადოს, 1970-1972 წლებში ფორმალურად ეკავა განას პრეზიდენტის პოსტი.

8 იანვარი - გარდაიცვალა ირანის ყოფილი პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი. აღნიშნული თანამდებობა ეკავა 1989-1997 წლებში.

10 იანვარი - ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში, პარლამენტის შენობასთან ახლოს, განხორციელდა ტერაქტები, რომელსაც 50-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

16 იანვარი - ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში სატვირთო თვითმფრინავმა Boeing-747 კატასტროფა განიცადა, დაიღუპა 37 ადამიანი.

17 იანვარი - ნიგერიის საჰაერო ძალებმა შეცდომით დაბომბეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ლტოლვილთა ბანაკი. დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის „წითელი ჯვრის" წარმომადგენლები.

20 იანვარი - ვაშინგტონში პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ინაუგურაცია გაიმართა.

21 იანვარი - ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ გამბიის ყოფილმა პრეზიდენტმა იაჰია ჯამემ არჩევნებში დამარცხება აღიარა და პოსტი დაუთმო კენჭისყრაში გამარჯვებულ ადამა ბაროუს. გამბიაში ისლამური რესპუბლიკის ხანა დასრულდა.

8 თებერვალში - სომალის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა მოჰამედ აბდულაჰი მოჰამედმა.

12 თებერვალი - თურქმენეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ხმათა 97%-ით გაიმარჯვა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა, რომელიც ქვეყანას 2006 წლიდან მართავს.

დონალდ ტრამპის ინაუგურაცია

- ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა.

13 თებერვალი - მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მოკლეს კიმ ჩენ ნამი - ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ძმა. მალაიზიასა და ჩრდილოეთ კორეას შორის სერიოზული პოლიტიკური კრიზისი დაიწყო.

16 თებერვალი - პაკისტანში სუფიურ სალოცავზე „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტების თავდასხმა განხორციელდა, გარდაიცვალა 72 ადამიანი.

6 მარტი - პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც სირიის, ლიბიის, სომალის, ირანის, იემენისა და სუდანის მოქალაქეებს აშშ-ში შესვლა შეეზღუდათ.

10 მარტი - სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტ პაკ კინ ხეს იმპიჩმენტი დაამტკიცა.

- გაეროს ოფიციალური განცხადებით, მსოფლიო განიცდის ყველაზე საშიშ ჰუმანიტარულ კრიზისს მეორე მსოფლიო ომის შედეგ. იემენში, სომალიში, სამხრეთ სუდანსა და ნიგერიაში 20 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილის უკიდურეს ზღვარზე იმყოფება.

11 მარტი - ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებასთან ახლოს მდებარე ნაგავსაყრელზე ნაგვის მასის ჩამოწოლის შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

პაკ კინ ხე

30 მარტი - სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პაკ კინ ხე ქრთამის აღების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების ბრალდებით დააპატიმრეს.

1 აპრილი - ჩინეთის ხელისუფლებამ სიანგანის რეგიონში ახალი ქალაქის აშენების შესახებ განაცხადა. ეს ქალაქი ნიუ-იორკს სიდიდით სამჯერ გადააჭარბებს.

2 აპრილი - საპარლამენტო არჩევნები სომხეთში. ხმების უმრავლესობა მოიპოვეს მმართველმა რესპუბლიკურმა პარტიამ და ბლოკმა „ცარუკიანმა“.

4 აპრილი - იდლიბის პროვინციის (სირია) ქალაქ ხან-შეიხუნში ქიმიური მოწამვლის შედეგად 90-მდე ადამიანი დაიღუპა, 550-ზე მეტი კი დაშავდა.

- ჩინური კომპანია „ალიბაბა“ საცალო ვაჭრობის სფეროში მსოფლიოს მასშტაბით ლიდერი გახდა.

7 აპრილი - აშშ-მა განხორციელა „აშ-შაირათის“ ავიაბაზის (სირია, ჰომსის პროვინცია) დაბომბვა „ტომაჰავკის“ ტიპის რაკეტებით. ეს იყო პასუხი იდლიბის ქიმიურ შეტევაზე.

9 აპრილი - ეგვიპტეში კოპტურ ტაძრებზე ტერორისტული თავდასხმები განხორციელდა, დაიღუპა 40-ზე მეტი ადამიანი.

16 აპრილი - საკონსტიტუციო რეფერენდუმი თურქეთში. ქვეყანა საპარლამენტო მმართველობიდან საპრეზიდენტოზე გადავიდა.

21 აპრილი - ტალიბანის მებრძოლები თავს დაესხნენ მაზარი შარიფის სამხედრო ბაზას. თავდასხმას 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

9 მაისი - საპრეზიდენტო არჩევნები სამხრეთ კორეაში. ხმების 41%-ით გაიმარჯვა მუნ ჩჟე ინმა.

10 მაისი - თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში პრეზიდენტ ტრამპის დელეგაციამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს და რუსულ მხარეს „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ საიდუმლო ინფორმაცია გაუზიარა, რამაც პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია.

15 მაისი - გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეის მიერ ჩატარებული სარაკეტო ცდები ოფიციალურად დაგმო.

19 მაისი - საპრეზიდენტო არჩევნები ირანში. ხმების 57%-ით გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ.

20 მაისი - დონალდ ტრამპმა საუდის არაბეთში ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. ეს იყო აშშ-ის ახალი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ.

ჰასან როუჰანი

28 მაისი - წყალდიდობა და მეწყერი კუნძულ შრი-ლანკაზე. დაიღუპა 200-ზე მეტი ადამიანი.

30 მაისი - ქაბულის დიპლომატიურ უბანში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს 150-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

5 ივნისი - საუდის არაბეთმა, ეგვიპტემ, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ბაჰრეინმა კატარი ტერორისტული დაჯგუფებების მხარდაჭერაში დაადანაშაულეს და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს.

6 ივნისი - სირიის დემოკრატიულმა ძალებმა, რომლებსაც მხარს აშშ უჭერს, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად არ-რაკაზე შეტევა დაიწყეს.

7 ივნისი - ტერაქტები თეირანში, პარლამენტის შენობასა და აიათოლა ხომეინის მავზოლეუმში. დაიღუპა 12 ადამიანი. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა აიღო „ისლამურმა სახელმწიფომ“.

11 ივნისი - იაპონიაში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც იმპერატორ აკიჰიტოს ტახტიდან გადადგომა შეუძლია.

რამ ნატ ჰ კოვინდი

18 ივნისი - თეირანში განხორციელებული ტერაქტების საპასუხოდ, ირანის შეიარაღებულმა ძალებმა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე სარაკეტო დარტყმები განახორციელეს.

19 ივნისი - რუსეთის ფედერაციამ აშშ და მისი მოკავშირეები გააფრთხილა, რომ სირიის საბრძოლო თვითმფრინავების ჩამოგდების შემთხვევაში რუსეთს საპასუხო რეაქცია ექნებოდა.

21 ივნისი - ერაყის ქალაქ მოსულში „ისლამურმა სახელმწიფომ“ ან-ნურის დიდი მეჩეთი გაანადგურა.

23 ივნისი - დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის სანაცვლოდ საუდის არაბეთმა და მისმა მოკავშირეებმა კატარს მოთხოვნები წაუყენეს, მათ შორის ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ დახურვა.

24 ივნისი - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით იემენში აღირიცხება ქოლერით დაავადებული 200 ათასზე მეტი ადამიანი.

26 ივნისი - საპრეზიდენტო არჩევნები მონღოლეთში. მეორე ტურში გავიდნენ: ხალთმააგიინ ბატულგა (დემოკრატიული პარტია) და მიეგომბინ ენხბოლდი (სახალხო პარტია).

29 ივნისი - ბრძოლა მოსულისთვის (ერაყი). ერაყის სამხედრო ძალებმა დაიკავეს ან-ნურის დიდი მეჩეთი, სადაც რამდენიმე წლის წინ „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ სახალიფოს შექმნა გამოცხადდა.

4 ივლისი - ჩრდილოეთ კორეამ ჩაატარა კონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის პირველი წამატებული გამოცდა. ჩინეთმა და რუსეთის ფედერაციამ ფხენიანს სარაკეტო და ბირთვული ცდების შეწყვეტისკენ მოუწოდეს.

7 ივლისი - მონღოლეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა ბალთმააგიინ ბატულგამ.

9 ივლისი - ანტისახელისუფლებო გამოსვლები თურქეთში.

10 ივლისი - ერაყის პრემიერ-მინისტრმა ჰაიდარ ალ-აბადიმ ქალაქი მოსული „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან განთავისუფლებულად გამოაცხადა.

17 ივლისი - ინდოეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა რამ ნატხ კოვინდიმ.

20 ივლისი - უკანასკნელი ბრძოლები მოსულში. ქალაქი „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან საბოლოოდ გაიწმინდა.

2 აგვისტო - აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა კანონპროექტს (CAATSA), რომელმაც რუსეთის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციები გააფართოვა.

4 აგვისტო - საპრეზიდენტო არჩევნები რუანდაში. ხმების 99%-ით გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა პოლ კაგამემ. 1994 წელს კაგამემ გადამწყვეტი როლი შეასრულა რუანდის გენოციდის შეჩერებაში.

5 აგვისტო - გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. სანქციები ვაჭრობასა და ინვესტიციებს შეეხო.



უჰურუ კენიატა და რაილა ოდინგა

8 აგვისტო - არჩევნები კენიაში. პირველი ადგილი დაიკავა მოქმედმა პრეზიდენტმა უჰურუ კენიატამ. მამამისი - ჯომო კენიატა ცნობილია როგორც „კენიელი ერის მამა“, კენიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და ქვეყნის პირველი პრეზიდენტი (1964-1978). მეორე ადგილზე გასული კანდიდატი - რაილა ოდინგა ქვეყნის პირველი ვიცე-პრეზიდენტის შვილია. ის 1997 წლიდან მონაწილეობს საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა უშედეგოდ. 8 აგვისტოს კენჭისყრის შედეგები მან არ აღიარა, ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

9 აგვისტო - ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აშშ-სთან დაძაბული ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში მზადაა სარაკეტო თავდასხმა განახორციელოს კუნძულ გუამზე (აშშ-ს ტერიტორია).

აუ სან სუ ჩი

22 აგვისტო - ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ მუსლიმი მამაკაცის მიერ მეუღლესთან მყისიერი განქორწინების ფორმა (სამჯერ სიტყვა „ტალაკის“ წარმოთქმა) არაკონსტიტუციურად სცნო.

23 აგვისტო - საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული საჰაერო დარტყმების შედეგად იემენის დედაქალაქ სანაში 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

29 აგვისტო - ჩრდილოეთ კორეამ მორიგი სარაკეტო გამოცდა ჩაატარა. რაკეტა „ჰვასონგ-12“-მა კუნძულ ჰოკაიდოს (იაპონია) გადაუფრინა.

1 სექტემბერი - კენიის უზენაესმა სასამართლომ 8 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ბათილად ცნო.

3 სექტემბერი - ჩრდილოეთ კორეამ მეექვსე ბირთვული გამოცდა ჩაატარა.

4 სექტემბერი - ნობელის პრემიის ლაურეატმა მალალა იუსაფზაიმ მიანმარის დე-ფაქტო ლიდერი აუ სან სუ ჩი როჰინჯას კრიზისის გამო გააკრიტიკა. როჰინჯა არის მიანმარის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსი, რომლის რელიგია ისლამია. კონფესიურ ნიადაგზე დაწყებული შეტაკებები სულ მალე სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. 2016 წელს მიანმარის ხელისუფლებამ სამხედრო ოპერაცია წამოიწყო, რის შედეგადაც ათასობით მუსლიმი ლტოლვილად იქცა. ქვეყნის ახლანდელი მმართველი - აუ სან სუ ჩი ყოფილი უფლებათა დამცველი და პაციფისტია, 1991 წელს მას მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

13 სექტემბერი - გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტიერეშმა როჰინჯას კრიზისის შედეგებს „კატასტროფული“ უწოდა.

- საპრეზიდენტო არჩევნები სინგაპურში. თანამდებობა პირველად დაიკავა ქალმა - ჰალიმა იაკუბმა.

19 სექტემბერი - ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან დონალდ ტრამპი იმ განცხადებების გამო გააკრიტიკა, რომელიც მან ირანის შესახებ ამავე ტრიბუნაზე გააკეთა.

25 სექტემბერი - ერაყის ქურთისტანში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი ჩატარდა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 72%-მა. 92,73%-მა მხარი დაუჭირა ქურთისტანის დამოუკიდებლობას.

26 სექტემბერი - საუდის არაბეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით ქალებს მანქანის ტარება აღარ ეკრძალებათ.

იინგლაკ ჩინავატი

27 სექტემბერი - ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იინგლაკ ჩინავატს კორუფციის მფარველობის ბრალდებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯეს. ჩინავატი ქვეყნის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი იყო და ეს თანამდებობა 2011-2014 წლებში ეკავა. სასჯელის გამოტანის დროს ის ტაილანდში არ იმყოფებდა, სავარაუდოდ დუბაიში იმალება.

3 ოქტომბერი - გარდაიცვალა ჯალალ ტალაბანი - ერაყის პრეზიდენტი 2005-2014 წლებში.

12 ოქტომბერი - აშშ-მა და ისრაელმა განაცხადეს, რომ იუნესკოს დატოვებას აპირებენ.

14 ოქტომბერი - სომალის დედაქალაქ მოგადიშოში ტერაქტების სერია განხორციელდა, დაიღუპა 350-ზე მეტი ადამიანი.

15 ოქტომბერი - საპრეზიდენტო არჩევნები ყირგიზეთში. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა სოორონბაი ჟეენბეკოვმა.

სი ძინ ფინი

16 ოქტომბერი - ერაყის სამთავრობო არმიამ ერაყის ქურთისტანში ოპერაცია დაიწყო, აიღეს ქირქუქი.

17 ოქტომბერი - არ-რაკა (სირია. „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. დედაქალაქი) ტერორისტებისგან სრულად გაწმენდილ ქალაქად გამოცხადდა.

22 ოქტომბერი - რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები იაპონიაში. გაიმარჯვა მმართველი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიისა და პარტია „კომეიტოს“ კოალიციამ. პრემიერ-მინისტრის პოსტი შეინარჩუნა შინზო აბემ).

23 ოქტომბერი - ჩინეთის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე სი ძინ ფინი ისევ აირჩიეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. სი ძინ ფინმა თავის გამოსვლაში „ახალ ერაზე“ ისაუბრა.

26 ოქტომბერი - კენიაში განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მთავარმა ოპოზიციურმა კანდიდატმა რაილა ოდინგამ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მოქმედმა პრეზიდენტმა უჰურუ კენიატამ ხმების 98% დააგროვა.

მუჰამად იბნ სალმანი

- ტაილანდში განხორციელდა ერთი წლის წინ გარდაცვლილი მონარქის - პხუმიპონ ადულიადეტის (იგივე რამა IX) კრემაცია. ეს უკანასკნელი ქვეყნის სამეფო ტახტს 70 წლის განმავლობაში იკავებდა (1946-2016). გარდაიცვალა 13 ოქტომბერს, რის გამოც ქვეყანაში ერთწლიანი გლოვა გამოცხადდა.

3 ნოემბერი - ქალაქები დეირ აზ-ზორი (სირია) და ალ-კაიმი (ერაყი) „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან გაათავისუფლეს.

4 ნოემბერი - საუდის არაბეთის პრინცი მუჰამად იბნ სალმანი სპეციალურად შექმნილი ანტიკორუფციული კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. იმავე დღეს დააპატიმრეს 11 პრინცი (მათ შორის მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი - ალ ვალიდ იბნ ტალალი) და რამდენიმე ყოფილი მინისტრი, რომელნიც კორუფციაში დაადანაშაულეს.

- საუდის არაბეთში ყოფნის დროს ლიბანის პრემიერ-მინისტრმა საად ჰარირიმ გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც ირანი არაბული ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა და პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შესახებ განაცხადა. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ჰარირიზე ზეწოლას საუდის არაბეთის ხელისუფლება ახდენდა.



რობერტ მუგაბე

5 ნოემბერი - პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტოკიოში დაიწყო 12 დღიანი აზიური ტურნე.

12 ნოემბერი - ირან-ერაყის საზღვარზე 7,3 ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა, რის შედეგადაც 600-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ათასობით კი უსახლკაროდ დარჩა.

14 ნოემბერი - ზიმბაბვეში სამხედრო გადატრიალება განხორციელდა. ქვეყნის პრეზიდენტი, 93 წლის რობერტ მუგაბე, შინაპატიმრობაში აღმოჩნდა.

21 ნოემბერი - რობერტ მუგაბემ ზიმბაბვეს პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა. ეს პოსტი მას 1987 წლიდან ეკავა.

22 ნოემბერი - საად ჰარირიმ ლიბანის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დარჩენის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მან პრეზიდენტ მიშელ აუნის თხოვნით მიიღო.

24 ნოემბერი - სინას ნახევარკუნძულზე (ეგვიპტე) მდებარე მეჩეთში ტერაქტი განხორციელდა. დაიღუპა 311 ადამიანი. ეს ტერაქტი ეგვიპტის უახლეს ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა არცერთ დაჯგუფებას არ აუღია, თუმცა ეჭვი „ისლამურ სახელმწიფოზე“ მიიტანეს.

- მოვალეობის შესრულებას შეუდგა ზიმბაბვეს ახალი პრეზიდენტი ემერსონ მნანგაგვა.

27 ნოემბერი - როჰინჯას კრიზისის ფონზე პაპი ფრანცისკე მიანმარში ჩავიდა.

ჯორჯ ვეა

4 დეკემბერი - მოკლეს ალი აბდალაჰ სალიჰი - იემენის პრეზიდენტი 1978-2012 წლებში.

6 დეკემბერი - აშშ-მა იერუსალიმი ოფიციალურად აღიარა ისრაელის დედაქალაქად.

- ჟურნალმა „თაიმმა“ საუდის არაბეთის პრინცი მუჰამად იბნ სალმანი წლის ადამიანად აღიარა.

9 დეკემბერი - ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყნის ტერიტორია მთლიანად გაწმენდილია „ისლამური სახელმწიფოს“ ბანდებისგან და სრულად აკონტროლებს სირია-ერაყის სასაზღვრო ზოლს.

11 დეკემბერი - რაჰულ განდი ინდოეთის ეროვნული კონგრესის (პარტია) თავმჯდომარედ აირჩიეს. რაჰული არის ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდისა და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის სონია განდის შვილი.

21 დეკემბერი - გაეროს გენერალური ასამბლეის 128 წევრმა მხარი არ დაუჭირა ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადებას. საპირისპირო პოზიცია დაიჭირა 9 ქვეყანამ, დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

22 დეკემბერი - გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეისთვის დამატებითი სანქციების დაწესების გადაწყვეტილება მიიღო.

24 დეკემბერი - გვატემალამ მხარი დაუჭირა აშშ-ს პოზიციას იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით. ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საკუთარი საელჩოს იერუსალიმში გადატანას აპირებს.

26 დეკემბერი - ლიბერიის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ცნობილმა ფეხბურთელმა ჟორჟ ვეამ. ვეა თამაშობდა პარი სენ-ჟერმენში (1992-1995), მილანში (1995-1999), ჩელსიში (1999-2000), მანჩესტერ სიტისა (2000) და სხვა ცნობილ საფეხბურთო გუნდებში. 1995 წელს მან ოქროს ბურთი და „წლის საუკეთესო ფეხბურთელის“ ტიტული მოიპოვა.

28 დეკემბერი - ფასების ზრდისა და კორუფციის წინააღმდეგ ირანში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.

მოამზადა გიორგი არქანიამ

ირანის მოვლენები - ექსპერტთა შეფასებები

„ირანის მოვლენების პროგნოზირება ძალიან რთულია იმ მიზეზით, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეობენ ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა მიზნები. რაც მთავარია, ეს არ არის ერთიანი მოძრაობა, მას არ ჰყავს ერთიანი ლიდერი, შესაბამისად, არ არსებობს ერთიანი მიზანი. იმის მოლოდინი, რომ ეს იქნება დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც ირანში ამ სახის სხვა რეჟიმს აღადგენს ან ახალ დემოკრატიულ, დასავლეთთან უფრო მეგობრულ რეჟიმს დაამყარებს, სრულიად უსაფუძვლოა ამ ეტაპზე“

გიორგი ბადრიძე

/4 იანვარი, „ნიუპოსტი“, ინტერვიუს ავტორი - ანანო კვაჭანტირაძე/

“ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ ირანში სიტუაცია რევოლუციური სცენარით განვითარდეს. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას სასულიერო პირები მართავენ, რომლებსაც ულევი ფინანსური რესურსი და გავლენა აქვთ, შეუძლებელია, რომ თუნდაც ამერიკის ან ისრაელის გავლენით, მათი ხელისუფლებიდან ჩამოშორება მოხდეს. სასულიერო პირებს ასევე სამხედრო ძალა ემორჩილებათ, ხოლო მოგეხსენებათ, რომ ირანი სირია არ არის და მისი არმია საკმაოდ ძლიერია. ასე, რომ აქ თუ სამოქალაქო ომი დაიწყო, სიტუაციის გაკონტროლება საკმაოდ რთული იქნება. რაც შეეხება თავად აქციებს, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ეს არის სპონტანურად დაწყებული აჯანყება და მას ლიდერი არ ჰყავს, შესაბამისად, ამ აქციებს ნაკლებად ველი, რომ განვითარება ექნება. ეს სიტუაცია უფრო სამოქალაქო ომში გადაიზრდება და რეგიონს საერთოდ მოშლის”

ვასილ პაპავა

/3 იანვარი, „მეტრონომი“/

„ირანში არის უმუშევრობის მაღალი დონე - 12%. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ახალგაზრდებში, რომელთა 1/3 არის უმუშევარი. ყოველწლიურად ირანის მოსახლეობა 1 მილიონით იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 1 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა, რაც არც ისე მარტივია. ამას დაერთო ფასების ზრდა, კორუფცია და შემდეგ აქციის მონაწილეთა მოთხოვნები ნაწილობრივ პოლიტიკურ ლოზუნგებში გადაიზარდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყველა რეფორმისტული ჯგუფი არ იზიარებს მოთხოვნებს, ბევრი გაემიჯნა კიდეც, ვინაიდან ბევრგან პროტესტი გადაიზარდა ძალადობაში. ჩატარდა

პროსამთავრობო აქციებიც. ვფიქრობ, ნაკლებად მოსალოდნელია რეჟიმის ცვლილება და ირანში მარტივად ვერ დამკვიდრდება ლიბერალური დემოკრატია, რისი იმედიც დასავლეთში შეიძლება ჰქონდეთ. აქ გასათვალისწინებელია ირანის სპეციფიკა, რომელსაც სულ სხვა ტრადიციები გააჩნია და განსხვავებული ისტორია აქვს“

ზურაბ ბატიაშვილი

/3 იანვარი, „ინტერპრესნიუსი“/

„ირანში სამი ძირითადი პოლიტიკური ფრთაა წარმოდგენილი, რომლებიც ერთად თანაცხოვრობენ: ზომიერი, კონსერვატიული და რადიკალური. ვარაუდობენ, რომ პროტესტის გაღვივება მოლების მიერ მოხდა, პირველ რიგში ქალაქ მეშჰედში, საიდანაც გახლავთ რუჰანის მთავარი მოწინააღმდეგე, კონსერვატორი სასულიერო პირი - ებრაჰიმ რაისი. მეშჰედში ცხოვრობს მისი სიმამრი, რადიკალური ფრთის წარმომადგენელი სასულიერო პირი, გავლენიანი აჰმად ალამოლჰოდა. ეს ძალიან ძლიერი კლანი რუჰანის რეფორმების წინააღმდეგია. ამ ბოლო დროს აპროტესტებდნენ ირანში კონცერტების გამართვის ნებართვას, ხოლო მეშჰედში დემონსტრაციები დაიწყო თეირანის პოლიციიის უფროსის განცხადების შემდგომ (განცხადება ეხებოდა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ირანში ქალებს თავშლის დაუხურავად ქუჩაში გამოსვლისთვის აღარ დააპატიმრებდნენ, მხოლოდ სპეციალური კურსის გავლას მიუსჯიდნენ). თუმცა, როგორც ვხედავთ, რელიგიური კონსერვატივიზმის დაცვის მიზნით მოლების მიერ წაქეზებული პროტესტი მეტი სამოქალაქო თავისუფლებებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა“.

ეკა აკობია

/3 იანვარი, „ტაბულა“/

„პირველ რიგში, საჭიროა ირანის ბოლოდროინდელი მოვლებზე სანდო ინფორმაციის მოძიება და ადეკვატური შეფასება, რათა არ შეიქმნას გადაჭარბებული მოლოდინები საკმარისად არაინფორმირებულობის გამო. რაც შეეხება თავად გამოსვლებს, ეს მოვლენები საინტერესოა იმ კუთხით, რომ გარკვეულწილად გვიჩვენა ირანელთა ეკონომიკური პრობლემები და მათი საყოველთაოობა. ეკონომიკური პრობლემები კი ირანის პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია“.

ნიკო ქელბაქიანი

იერუსალიმის სტატუსი - მსოფლიოს ლიდერთა პოზიცია

2017 წლის 6 დეკემბერს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა. ამ გადაწყვეტილებამ მსოფლიო ლიდერთა შორის არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

„იერუსალიმი 3000 წლის განმავლობაში ებრაელი ხალხის დედაქალაქი იყო. პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილება არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი მშვიდობისაკენ, რამეთუ მშვიდობის დამყარება შეუძლებელია, თუ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქი არ იქნება. მე მკაფიოდ ვაცხადებ - წმინდა ადგილებთან მიმართებით სტატუს-კვოს ცვლილება არ იქნება. ისრაელი ყოველთვის უზრუნველყოფს აღმსარებლობის თავისუფლებას როგორც იუდეველებისთვის, ასევე ქრისტიანებისთვის და მუსლიმებისთვის“

ბენიამინ ნეთანიაჰუ - ისრაელის პრემიერ-მინისტრი

„აღმოსავლეთ იერუსალიმი შეიძლება იყოს მხოლოდ პალესტინის სახელმწიფოს დედაქალაქი. ეს ჩვენი ქალაქი და ჩვენი მიწაა და ჩვენ მას არ დავტოვებთ, არ დავემორჩილებით ვინმეს მითითებებს და არ გავიმეორებთ წარსულის შეცდომებს. „საუკუნის გარიგება“, რომელზეც ამერიკელები საუბრობენ, არ შედგება“

მაჰმუდ აბასი - პალესტინის პრეზიდენტი

„უნდა დავიწყოთ მესამე პალესტინური ამბოხება ამერიკელებისა და სიონისტების გეგმების წინააღმდეგ და არ დავუშვათ იერუსალიმის იუდაიზაცია“

ისმაილ ჰანია - ჰამასის პოლიტბიუროს თავმჯდომარე

„ეს ძალიან საგანგაშო მომენტია და მინდა განვმარტო: ორმხრივ გადაწყვეტილებას ალტერნატივა არ აქვს, არ არსებობს გეგმა „B“. იერუსალიმი არის ისრაელისა და პალესტინის დედაქალაქი, საბოლოო სტატუსი კი მოლაპარაკებების შედეგად უნდა გადაწყდეს“

ანტონიუ გუტიერეში - გაეროს გენერალური მდივანი

„ევროკავშირის პოზიცია უცვლელია: ორივე მხარის მოლოდინების რეალიზება მოლაპარაკებების გზით უნდა მოხდეს, რათა იერუსალიმის სტატუსი განისაზღვროს ორივე სახელმწიფოს დედაქალაქის სახით“

ფედერიკა მოგერინი - ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში

”საფრანგეთი და ევროპა ემხრობიან სიტუაციის დარეგულირებას ორი სახელმწიფოს, ისრაელისა და პალესტინის, თანაარსებობისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ საზღვრებზე მშვიდობისა და უსაფრთხოების საფუძველზე. იერუსალიმი ორივე ქვეყნის დედაქალაქია“

ემანუელ მაკრონი - საფრანგეთის პრეზიდენტი

„ფედერალური მთავრობა მხარს არ უჭერს ამ გადაწყვეტილებას, რადგან იერუსალიმის სტატუსი უნდა განიხილებოდეს „ორი სახელმწიფოს“ ფორმულის ფარგლებში“

ანგელა მერკელი - გერმანიის კანცლერი

„ჩვენ გვწამს, რომ ტრამპის გადაწყვეტილება ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებას ხელს არ შეუწყობს. დიდი ბრიტანეთის საელჩო განთავსებულია თელ-ავივში და მისი გადატანის გეგმა ჩვენ არ გვაქვს“

ტერეზა მეი - დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

„არ შეიძლება ვინმეს პირადმა ამბიციებმა შეცვალოს მილიონობით ადამიანის ბედი“

რეჯეფ თაიფ ერდოღანი - თურქეთის პრეზიდენტი

„პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილება არის საერთაშორისო შეთანხმების უხეში დარღვევა, რომელიც მუსლიმებს განარისხებს და ახალი ინთიფადის ცეცხლს გააჩენს“

მოჰამად ჯავად ზარიფი - ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი

„ეს გადაწყვეტილება აიგნორებს იერუსალიმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არაბებისა და მუსლიმებისათვის“

აბდ ალ-ფათაჰ ას-სისი - ეგვიპტის პრეზიდენტი

მსოფლიოს ლიდერთა და სახელმწიფოთა უმრავლესობამ პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილება დაგმო. ვაშინგტონს მხარი ღიად დაუჭირა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ: გვატემალამ, ჰონდურასმა, ტოგომ, ნაურუმ, პალაუმ, მიკრონეზიამ, მარშალის კუნძულებმა და თავად ისრაელმა. საქართველომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრული ნეიტრალიტეტი დაიცვა.

მოამზადა გიორგი არქანიამ

ისრაელის პოლიტიკა ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებით

2017 წელს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა კვლავ მიიქციეს მთელი მსოფლიოს ყურადღება. საუბარია ერაყის ქურთისტანში ჩატარებულ რეფერენდუმზე, რომელშიც მოსახლეობის 92%-ზე მეტმა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რეფერენდუმის შედეგებმა და მის შემდგომ განვითარებულმა მოვლენება, ბუნებრივია, შესაბამისი რეაქცია გამოიწვია დანარჩენი მსოფლიოს მხრიდან. უპირველეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ისრაელის პოზიცია. ისრაელი ფაქტობრივად ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც პროცესების დასაწყისიდანვე ქურთების მოძრაობას მხარდაჭერა გამოუცხადა და განაცხადა, რომ იგი ყოველმხრივ დაეხმარებოდა ქურთებს ახალი სახელმწიფოს შენებაში. თუ გავითვალისწინებთ ისრაელის გავლენას რეგიონსა და მსოფლიოში, ამ განცხადებას სერიოზული წონა აქვს. ბუნებრივია, ყოველი სახელმწიფო მოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად და ნებისმიერი მოვლენიდან ცდილობს ნახოს მაქსიმალური სარგებელი ან მინიმალური ზარალი. შესაბამისად, ისრაელსაც აქვს საკუთარი ინტერესები და მისი პოზიცია ქურთების საკითხთან დაკავშირებით განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით, რომელთა გაგება შეუძლებელია, თუ არ განვიხილავთ რეგიონის უახლეს ისტორიას და თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებას.

ქურთისტანის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

FIGURE 11. TURKEY IN 1920

ქურთები, რომელთა რაოდენობა 30-დან 45 მილიონამდე მერყეობს, ძირითადად განსახლებულები არიან ოთხ ქვეყანაში (ერაყი, თურქეთი, სირია, ირანი), სადაც იბრძოდნენ და იბრძვიან საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, მოკავშირეების გამარჯვებასა და ოსმალეთის კაპიტულაციასთან ერთად, სევრის ხელშეკრულების თანახმად, უნდა შექმნილიყო ქურთული ავტონომიური წარმონაქმნები აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში. თუმცა, ამასთანავე, დასავლეთის სახელმწიფოები მკაფიოდ მიუთითებდნენ, რომ ისინი არ აპირებდნენ ქურთებისთვის სამხედრო და ფინანსური დახმარების აღმოჩენას, რის შედეგადაც, ქურთული ავტონომიის შექმნა ანატოლიაში განუხორციელებელი დარჩა. ომის შემდგომ კვლავ გრძელდებოდა ქურთების ბრძოლა საკუთარი სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა დიდ წარმატებას 90-იან წლებამდე მათ ვერ მიაღწიეს, რისი ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი მიზეზი იყო ქურთების დანაწევრება: ტომობრიობა, რელიგიური და ენობრივი განსხვავებები და ეროვნული ბარიერები ხელს უშლიდა რეალური ქურთული ერთიანობის განვითარებას, რის შედეგად, ქურთული ნაციონალისტური ჯგუფები მიდრეკილები იყვნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებისკენ. ამის

საპირისპიროდ მათი მოწინააღმდეგე ძალები მუდამ ახერხებდნენ გაერთიანებას მათი დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებების ჩასახშობად.

მასუდ ბარზანი

მიუხედავად ამისა, ქურთებმა საბოლოოდ მიაღწიეს საკუთარი ავტონომიური სახელმწიფოს ფორმირებას. საუბარია ერაყის ქურთისტანზე, რომელმაც თვითმმართველობის შესაძლებლობა მიიღო სპარსეთის ყურის ომის შემდგომ, როდესაც ერაყი კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა და ქურთების გასამხედროებულ ჯგუფებს ქურთული რეგიონების გაკონტროლების საშუალება მიეცათ. 1992 წლის 12 მაისს შეიქმნა ქურთების ისტორიაში პირველი დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი. თუმცა, აქაც ტრადიციულად თავი იჩინა პოლიტიკურმა უთანხმოებამ, რაც გამოიხატა ორ წამყვან პარტიას - „ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას“ და „ქურთისტანის პატრიოტულ კავშირს“ შორის დაპირისპირებაში. თუმცა, 2002 წელს მოხერხდა ამ კონფლიქტის მოგვარება და ჩამოყალიბდა ერთიანი მთავრობა, შემუშავდა კონსტიტუცია და მასუდ ბარზანი არჩეულ იქნა ქურთისტანის ავტონომიის პრეზიდენტად.

ამჟამად ერთადერთი ლეგიტიმურად ცნობილი ქურთული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არის ერაყის ქურთისტანი, რომელიც ერაყის ტერიტორიის საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას მოიცავს და ახლოსაა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქირქუქთან და მოსულთან, რომელთა ტერიტორიებიც გამოირჩევა ნავთობის სიუხვით (ამ ფაქტორმა, ბრიტანეთის ინტერესების გათვალისწინებით, უდიდესი როლი ითამაშა სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადანაწილების საკითხში, საიქს-პიკოს ხელშეკრულების მიხედვით), რაც ქვეყნის შიგნით ზრდის დაძაბულობას. ქურთების ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი მოვლენის შემდგომ, რასაც მოჰყვა სირიის სამოქალაქო ომი და „ისლამური სახელმწიფოს“ სახით რეგიონში ახალი მოთამაშის გამოჩენა. ერაყისა და სირიის დესტაბილიზაციასთან ერთად წარმოიქმნა ორი დე-ფაქტო დამოუკიდებელი ქურთული ერთეული: „ჩრდილოეთ სირიის დემოკრატიული ფედერაცია“, იგივე „როჟავა“ და ერაყის ქურთისტანი. ვფიქრობ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქურთული წარმონაქმნები რეგიონის ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ ეფექტური და დემოკრატიული სახელმწიფო ერთეულები აღმოჩნდნენ და ერთგვარად ადასტურებენ, რომ მათ შეუძლით შექმნან მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტები, მიუხედავად ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი გამოცდილების არქონისა. მაგალითისთვის, „როჟავას“ საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად აქებენ მისი კანონმდებლობისთვის, რომელიც იცავს სიტყვის თავისუფლებას, ქალთა უფლებებს და ეთნიკურ უმცირესობებს.



როჟავასა და ერაყის ქურთისტანის ტერიტორიული პრეტენზიები

დაახლოებით მსგავსი ვითარება წარმოიქმნა ერაყის ქურთისტანში, სადაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ქურთებს მხარს უჭერს ადგილობრივი ასირიელების უმრავლესობა. როგორც სირიაში, ასევე ერაყში, ქურთები და ასირიელები მოკავშირეების სახით გამოდიან. თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება „როჟავასგან“ ის არის, რომ ერაყის ქურთებს უკვე გააჩნიათ სახელმწიფოებრივი გამოცდილება და სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ხანგრძლივი კონფლიქტების მიუხედავად მაინც ჩამოყალიბდნენ.

რეგიონში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 2017 წელს ჩატარებული რეფერენდუმი ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოთხოვნით. შესაბამისი ვითარება შეიქმნა ჯერ კიდევ 2014 წელს:

„ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში ერაყის ჯარების დამარცხებამ შექმნა ვაკუუმი, რომელიც შეავსო „პეშმერგას“ გასამხედროებულმა ქურთულმა ორგანიზაციამ, რომელიც მოქმედებს ჩრდილოეთ ერაყში და დაიკავა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი ქირქუქი. რეფერენდუმი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ჯერ კიდევ 2014 წელს იგეგმებოდა, თუმცა იმ პერიოდში, როდესაც „ისლამური სახელმწიფო“ ჯერ კიდევ ძლიერ მოთამაშეს წარმოადგენდა, პრიორიტეტად იქცა მის წინააღმდეგ ბრძოლა და ისლამისტების მიერ ოკუპირებული რეგიონების დაკავება. ამიტომაც რეფერენდუმი გადაიდო. 2016 წელს მიცემულ ინტერვიუში, ერაყის ქურთისტანის პრემიერ-მინისტრმა ნეჩირვან ბარზანიმ განაცხადა, რომ რეფერენდუმი მოსულის განთავისუფლებამდე არ ჩატარდებოდა. მართლაც, მოსულის განთავისუფლებიდან მცირე ხნის შემდგომ გამოცხადდა რეფერენდუმის ჩატარების თარიღი - 2017 წლის 25 სექტემბერი. რეფერენდუმში მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (92,73%) ხმა მისცა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. წინააღმდეგ წავიდნენ მხოლოდ თურქმენები და ასირიელთა ერთი პარტია, რომელიც მოითხოვდა ნინევიის საკითხის მოგვარებას დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. რეფერენდუმმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ერაყი კვლავ მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამაფიქრებელი იყო ისრაელის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ისრაელი და ქურთები - ისტორიული ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა

ისრაელი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ მუდმივ საომარ მდგომარეობაში იმყოფება არაბულ ქვეყნებთან. მათ შორის ისრაელის ერთ-ერთი მთავარი რეგიონული მოწინააღმდეგე იყო ერაყი, რომელიც 1948 წლის ომიდან მოყოლებული აქტიურად უჭერდა მხარს არაბულ კოალიციებს. შესაბამისად ისრაელი, საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა მისი მოწინააღმდეგე ქვეყნების, მათ შორის უპირველესად ერაყის და სირიის დასუსტებას და მათი ყურადღების გადატანას. ამ მხრივ ისრაელის ბუნებრივ მოკავშირეს წარმოადგენენ ქურთები, რომლებიც განსახლებულნი არიან რეგიონის ოთხ ქვეყანაში (ერაყი, თურქეთი, სირია, ირანი), ოთხივე წარმოადგენს ისრაელის პოტენციურ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს.

ავიგდორ ლიბერმანი

ისრაელი ქურთების მუდმივ მხარდამჭერად გამოდიოდა და ჯერ კიდევ ერაყ-ქურთების პირველ ომში მათ ფინანსურად ეხმარებოდა. ასევე აგზავნიდა მრჩევლებს სამხედრო და დაზვერვის საკითხებში ადგილობრივი ქურთების გასაწვრთნელად (რამოდენიმე ქურთი საკუთრივ ისრაელში გადიოდა წვრთნას). აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი იყო შაჰის ირანის მხარდაჭერის წყალობით და მის გარეშე საეჭვოა, რომ ისრაელს შესძლებოდა ქურთებისთვის მსგავსი დახმარების აღმოჩენა.

ქურთების საკითხისადმი ისრაელის ინტერესი განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გაიზარდა, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შედეგად. 2014 წელს, როდესაც დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება იგეგმებოდა, ისრაელმა ახლო აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოს ფორმირებას ღიად დაუჭირა მხარი. 2014 წლის 29 ივნისს ისრაელის პრემიერ მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი მხარს დაუჭერდა დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს დაარსებას ერაყის იმ ნაწილში, სადაც მდებარეობდა ქურთული ავტონომია. გარდა ამისა, საინტერესოა ისრაელის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ავიგდორ ლიბერმანის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო: „ერაყის სახელმწიფოს დაშლა ხდება ჩვენს თვალწინ და დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს დაარსება შემდგარი ფაქტია“. თუმცა ისრაელის პოლიტიკოსთა

პროგნოზები იმ პერიოდისთვის არ გამართლდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული დროისთვის ქურთებმა ერაყთან ერთად „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ამჯობინეს. მიუხედავად ამისა, ისრაელის მხარდაჭერა ქურთებისადმი არ ნელდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი: 2014 წლის 20 ივნისს ერაყის ქურთისტანიდან ისრაელში (თურქეთის გავლით) შევიდა ნავთობის პირველი პარტია. სხვადახვა მონაცემთა მიხედვით, ერთი პერიოდი, ისრაელის მიერ მოხმარებული ნავთობის დაახლოებით სამი მეოთხედი შედიოდა სწორედ ქურთების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან. საუბარია დაახლოებით მილიარდი დოლარის ღირებულების ქურთულ ნავთობზე. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტებს, რომ იმ პერიოდში ნავთობის ფასი მსოფლიოში ეცემოდა და ისრაელს უკვე ჰყავდა ნავთობის სტაბილური მომწოდებლები (მაგ. აზერბაიჯანი და ყაზახეთი), აშკარაა, რომ ისრაელის მიერ ნავთობის იმპორტი ისეთი არასტაბილური რეგიონიდან, როგორიც ქურთისტანია, განპირობებული იყო არა იმდენად საკუთარი ეკონომიკური ინტერესებით, რამდენადაც პოლიტიკური ფაქტორებით. ეს იყო ქურთებისადმი გამოხატული ღია მხარდაჭერა, როგორც პოლიტიკური და მორალური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

ბენიამინ ნეთანიაჰუ

2017 წლის სექტემბრის რეფერენდუმის შედეგად ისრაელში ქურთების საკითხი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. რეფერენდუმთან დაკავშირებით ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი „მხარს დაუჭერდა ქურთი ხალხის კანონიერ მცდელობას, მოეპოვებინა საკუთარი სახელმწიფო“. ამგვარად, ისრაელი გახდა პირველი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელმაც სცნო რეფერენდუმის ლეგიტიმურობა და აშკარად გამოხატა მხარდაჭერა რეგიონის სეცესიისადმი, რაც მკვეთრ კონტრასტში მოდიოდა მსოფლიოს სხვა ქვეყნების პოზიციებთან, რომელთაც მალევე დაგმეს რეფერენდუმი და განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობდნენ კენჭისყრის შედეგებს. ერაყის ქურთების მხარდამჭერ განცხადებასთან ერთად, ნეთანიაჰუმ დაგმო თურქეთში მოქმედი ქურთების მუშათა პარტია (PKK) რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია უწოდა და აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციასთან მიმართებით ისრაელს აქვს იგივე პოზიცია, რაც აშშ-სა და ევროკავშირს. ბუნებრივია, ნეთანიაჰუს პარალელური განცხადება განაპირობა მისმა სურვილმა, რომ ერაყის ქურთებისადმი მხარდაჭერას არ გამოეწვია ისრაელის ურთიერთობების დაძაბვა თურქეთთან, რომელიც დაუპირისპირდა რეფერენდუმს და მოგვიანებით ერაყთან ერთად დაიწყო ერთობლივი წვრთნები სეპარატისტული რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე. ერაყის მთავრობა არ შეეგუა რეფერენდუმს და დაიწყო სამხედრო მოქმედებები ქურთების წინააღმდეგ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით. 15 ოქტომბერს ერაყელებმა ქირქუქისთვის ბრძოლა დაიწყეს და 5 დღეში წარმატებით მოახერხეს ქალაქის აღება შედარებით მცირე დანაკარგების ხარჯზე. აქ განსაკუთრებით საინტერესოა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ქირქუქის ბრძოლის პარალელურად, სადაც ნათქვამია: „ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ერაყის გადადგმულ ნაბიჯებს ქირქუქში მისი კონსტიტუციური სუვერენიტეტის აღდგენისთვის. ეს ქალაქი წარმოადგენს ქვეყნის სოციალური მოზაიკის მოდელს და ჩვენი თურქმენი ძმების ისტორიულ სახლს. და ეს ყველაფერი ქურთების რეგიონული მთავრობის მიერ ჩატარებული არაკანონიერი რეფერენდუმის შემდგომ, რომელიც გაიმართა ერაყის კონსტიტუციის დარღვევით.“ ამ განცხადებაში აშკარად ჩანს ერთი მხრივ ერაყის მთავრობისადმი თურქეთის მხარდაჭერა, ხოლო მეორე მხრივ საკუთრივ თურქეთის ინტერესები ქირქუქისადმი. 24 ოქტომბერს ქურთებმა შესთავაზეს ერაყელებს მოლაპარაკებები ქურთისტანის რეგიონის მომავალთან დაკავშირებით, ხოლო 5 დღის შემდეგ გადადგა ქურთისტანის პრეზიდენტი მასუდ ბარზანი. ეს ქურთების მარცხის მანიშნებელი იყო.

შლომო ავინერი

ბუნებრივია მოვლენების ამგვარ განვითარებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ისრაელში. ამ რეაქციის ყველაზე მკვეთრი მაგალითი იყო შლომო (სოლომონ) ავინერის მიერ გამოქვეყნებული სტატია, სადაც იგი ეხმაურება მსოფლიოს გულგრილობას ქურთების საკითხთან დაკავშირებით. ავინერის სტატიაში ვკითხულობთ: „არგუმენტი პალესტინური სახელმწიფოებრიობის მხარდასაჭერად გამყარებულია ფუნდამენტურად მორალური მტკიცებით ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ. მაგრამ როდესაც საქმე შეეხო იგივე უფლების დაცვას ქურთ ხალხთან დაკავშირებით, დასავლეთი სამარცხვინოდ და საეჭვოდ დუმდა“. იგი ასევე აკრიტიკებს ზოგადად დასავლეთის დამოკიდებულებას საკითხისადმი: „ქურთების თვითგამორკვევის საწინააღმდეგო არგუმენტთა შორის ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არის ყველაზე ყალბი და თვალთმაქცური. როდესაც ბრიტანელმა მოხელეებმა დააარსეს ერაყი, როგორც ცალკეული პოლიტიკური ერთეული პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების შემდგომ, მათ ეს განახორციელეს საკუთარი იმპერიალისტური ინტერესების მიხედვით. შესაბამისად, მათ უგულვებელჰყვეს ტერიტორიის ისტორია, გეოგრაფია, დემოგრაფია, რელიგიური და ეთნიკური დანაწევრება.“

მისი განცხადება საკმაოდ საინტერესო და დამაფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორია და წლების მანძილზე მუშაობდა ისრაელის სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებში. მისი განცხადება კარგად ასახავს ისრაელის დამოკიდებულებას ქურთების საკითხისადმი.

ისრაელის ინტერესები ქურთებთან დაკავშირებით

ისრაელის მკვეთრი მხარდაჭერა ქურთებისადმი განპირობებულია მრავალი სპეციფიკური ფაქტორით. ამ მხრივ მსგავს პოლიტიკას ისრაელი აწარმოებდა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. ამის ერთ-ერთი გამოკვეთილი მაგალითია 1982 წელს იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრ არიელ შარონის მიერ დაგეგმილი ინტერვენცია ლიბანში (ოპერაცია „მშვიდობა გალილეისთვის“). ინტერვენციის მიზანს წარმოადგენდა ლიბანში ქრისტიანების მიერ დაკომპლექტებული მთავრობის მოყვანა, რომელიც პრო-ისრაელურად იქნებოდა განწყობილი. შესაძლოა ითქვას, რომ დაახლოებით მსგავს ვითარებას ვხედავთ ქურთებთან დაკავშირებით, რისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება: ისრაელი დაპირისპირებულია რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანასთან (ეგვიპტესთან და იორდანიასთანაც კი. მართალია, ისრაელმა მათთან ურთიერთობების დარეგულირება და დიპლომატიური კავშირების დამყარება დიდი ხნის წინ მოახერხა, თუმცა პერიოდულად ადგილი აქვს ინციდენტებს და პროვოკაციებს. მაგალითად, 2012 წლის ინციდენტი ეგვიპტე-ისრაელის საზღვართან). გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისრაელის უთანხმოება არაბულ სამყაროსთან ხშირად იღებს უფრო მასშტაბურ, რელიგიური დაპირისპირების სახეს, გამომდინარე ორი მნიშვნელოვანი ფაქტორიდან: უპირველეს ყოვლისა, ისლამი არაბული ნაციონალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია იერუსალიმის საკითხი, რომელიც წმინდა ქალაქს წარმოადგენს სამი მონოთეისტური რელიგიისთვის. რელიგიური დაპირისპირების



არიელ შარონი ბეირუთში. 1982 წ.

ერთ-ერთი მკვეთრი მაგალითია ირანის დამოკიდებულება ისრაელისადმი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს არაბულ ქვეყანას, რელიგიურ მოტივს იყენებს ისრაელის წინააღმდეგ დაპირისპირებისთვის. ერთ-ერთი მოვლენა, რომლის დროსაც გამომჟღავნდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარების სიმყიფე არის „არაბული გაზაფხულის“ დროს განვითარებული მოვლენები, უფრო კონკრეტულად კი „მუსლიმი ძმების“ მოსვლა ეგვიპტის სათავეში (თუმცა მოგვიანებით მათი რეჟიმი დაემხო არმიის ჩარევის შედეგად).

მსგავსი პოლიტიკური ლანდშაფტის მქონე რეგიონში ისრაელის ბუნებრივ მოკავშირეებს წარმოადგენენ არამუსლიმები (როგორც ეს ვნახეთ ლიბანის მაგალითზე) ან არაარაბული/სეკულარული გაერთიანებები (როგორც ამას ვხედავთ ქურთების სახით, რომლებიც წარმოჩინდნენ როგორც სეკულარული საზოგადოება, რომლებმაც შეძლეს განსხვავებული მრწამსის და წარმომავლობის ხალხებთან თანაცხოვრება მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე). ქურთები ისრაელისთვის იდეალური მოკავშირეები არიან რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა მათი მრავალრიცხოვნობა ქურთებს სერიოზულ პოლიტიკურ წონას ანიჭებს. მეორე უმიშვნელოვანესი მიზეზი კი არის მათი განსახლების არეალი, რომელიც მოიცავს ირანს, თურქეთს, ერაყსა და სირიას. ამგვარად, ქურთების საშუალებთ შესაძლებელია გავლენის მოხდენა ერთდროულად ოთხ სახელმწიფოზე. ოთხივე ქვეყანასთან, მათ შორის თურქეთთანაც, ისრაელს აქვს დაძაბული ურთიერთობა. თურქეთის შემთხვევაში დაპირისპირების ნიშნები გაჩნდა ხელისუფლების სათავეში ერდოღანის მოსვლის შემდგომ, თუმცა კულმინაციას მიაღწია 2010 წელს, ღაზას სექტორში გახმაურებული ინციდენტის დროს, როდესაც, ისრაელმა ცეცხლი გაუხსნა სექტორისკენ მიმავალ თურქულ ჰუმანიტარულ გემებს, რის შედეგადაც 9 თურქი მოხალისე დაიღუპა. ამ ოპერაციამ მასშტაბური გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში. თურქეთში გამოძიება დაიწყეს ბენიამინ ნეთანიაჰუს, ეჰუდ ბარაკის (თავდაცვის მინისტრი) და გაბი აშკენაზის (გენშტაბის უფროსის) წინააღმდეგ. 2011 წელს თურქეთმა ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა და ისრაელის ელჩი ანკარადან გააძევა. თუმცა, 2015 წელს კვლავ აღსდგა დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის და ორივე მხარე შეთანხმდა გარკვეულ კომპრომისებზე (მაგ. ისრაელმა 20 მილიონი დოლარი გამოყო ინციდენტის დროს დაღუპული ოჯახებს კომპენსაციისთვის). ასევე თურქეთმა შეწყვიტა გამოძიება ისრაელის მთავრობის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ვითარება ორ ქვეყანას შორის კვლავ დაძაბული რჩება და ამის უკანასკნელი მაგალითია 2017 წლის ივლისში ერდოღანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ისრაელი „საფრთხეს უქმნის იერუსალიმის ისლამურ იერსახეს“. მან მუსლიმურ სამყაროს მოუწოდა, რომ ეზრუნა „ალ-აკსას“ მეჩეთის დაცვისთვის. ერდოღანის განცხადებას მალევე მოჰყვა მკვეთრი და მრავლისმეტყველი გამოხმაურება ისრაელის მხრიდან: საგარეო საქმეთა მინისტრის სპიკერმა ემანუელ ნახშონმა განაცხადა, რომ ერდოღანს „ერჩივნა მიეხედა საკუთარი ქვეყნის პრობლემებისთვის და სირთულეებისთვის“, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ „საინტერესო იქნებოდა, თუ რას ეტყოდა ერდოღანი ქურთებს და ჩრდილოეთ კვიპროსის მაცხოვრებლებს“. განცხადებაში ირიბად გამოჩნდა ისრაელის ინტერესები ქურთებისადმი. უნდა ვახსენოთ ერთი საინტერესო ფაქტიც - ერდოღანმა განაცხადა, რომ ქურთების რეფერენდუმში ჩარეული იყო ისრაელის სადაზვერვო სამსახურები. მსგავსი განცხადებები ბუნებრივია დადებითად არ აისახება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე.

რეჯეფ თაიფ ერდოღანი

გაცილებით მძიმე ვითარებას ხვდება ისრაელი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ერაყი ნაკლებად წარმოადგენს ისრაელისთვის საფრთხეს. ქვეყანა კვლავ დაშლილი და დესტაბილიზირებულია. ქვეყანაში რჩება ამერიკული სამხედრო ბაზები, რაც საშუალებას აძლევს ისრაელის ტრადიციულ მოკავშირეს აკონტროლოს ქვეყნის უმეტესი ნაწილი. მიუხედავად ამისა,

ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდგომ შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმის შესავსებად გაჩნდნენ სხვადასხვა სახის რადიკალური გაერთიანებები, მათ შორის უახლესია „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიდოში დამარცხდა კოალიციური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში, კვლავ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რეგიონში. გარდა ამისა, ერაყის შიიტური მთავრობა კეთილგანწყობილია ირანისადმი, რაც კიდევ უფრო ზრდის ერაყიდან მომავალ საფრთხეს ისრაელისთვის. გამომდინარე აქიდან, ისრაელისთვის ერაყის ჩრდილოეთით მოკავშირის ყოლა სერიოზული მიღწევა და შვება იქნებოდა, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებდა ერაყის ყურადღების გადატანას სხვა საკითხისადმი.

თუმცა, ისრაელისთვის უმთავრეს რეგიონულ საფრთხეს წარმოადგენენ ირანი და სირია. სირია ტრადიციულად ისრაელის წინააღმდეგ შექმნილი კოალიციების ერთ-ერთი წამყვანი ძალა იყო და ირანთან ერთად მხარს უჭერს ისრაელის მოწინააღმდეგე ძალებს (როგორიცაა „ჰეზბოლა“). სირიის ალავიტური მთავრობის ტრადიციულ მოკავშირეს წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკა. ამჟამინდელ სამოქალაქო ომშიც სირიის სამთავრობო ძალებს ირანი აქტიურად ეხმარება აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქურთების საკითხი ამ მხრივ ისრაელისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია ზემოთხსენებულ ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად. სირიაში უკვე შექმნილია ქურთების დე-ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც წარმატებით შეძლო საკუთარი ტერიტორიების დაცვა ისლამისტებისგან და მეტიც - ზოგიერთი რეგიონიდან მათი განდევნაც მოახერხა.

რაც შეეხება ირანს, ერაყის ქურთისტანში ჩატარებულ რეფერენდუმს ირანისგან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. რეფერენდუმის საპასუხოდ ირანმა რეგიონთან საზღვრები დახურა. გაკეთდა ოფიციალური განცხადებები რეფერენდუმის წინააღმდეგ. „ერაყის ქურთისტანის ზოგიერთი მოხელის ნაჩქარევი გადაწყვეტილება ზღუდავს ქურთების შესაძლებლობას იმოქმედონ კონსტრუქციული დიალოგის ფარგლებში ერაყის მთავრობასთან და წარმოადგენს გამოწვევას ქურთი ხალხის და ერაყის უსაფრთხოების წინააღმდეგ“, ნათქვამია უშიშროების საბჭოს განცხადებაში. მსგავსი განცხადებები ირანის შეშფოთების მანიშნებელია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ისრაელის სწორ გათვლებს ქურთებთან დაკავშირებით. თუ მოხერხდა ერაყის და სირიის ქურთების მორიგება და შესაძლებელი იქნება მათი კოორდინირებული მოქმედება, ისრაელს ეყოლება მძლავრი რეგიონული მოკავშირე, რომელიც დამოკლეს მახვილივით იქნება ჩამოკიდებული ირანის და სირიის თავზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისრაელის უპირველეს ინტერესს საკუთარი სახელმწიფო უშიშროება და ნებისმიერი მომავალი საფრთხის პრევენცია წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ ისრაელსა და ზემოთხსენებულ ოთხ სახელმწიფოს შორის არსებულ არცთუ ისე მეგობრულ ურთიერთობებს, ადვილად აიხსნება ისრაელის სურვილი, მათ წინააღმდეგ რეგიონული მოკავშირის მოძებნისა, რომლის იდეალური ვარიანტია პოტენციური ქურთული სახელმწიფო. თუ მისი ჩამოყალიბება მოხერხდა, ისრაელს რეგიონში ეყოლება მყარი დასაყრდენი, რომლის დახმარებითაც შეძლებს ზეწოლას მის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებზე და იქნება ერთგვარი ბუფერული ზონა სირიას, თურქეთს, ერაყსა და ირანს შორის, რაც შეამცირებს მათგან მომავალ საფრთხეს.

ავტორი - ზურაბ კაპანაძე

მუჰამად ბინ სალმანი - ლიდერი სისტემის წინააღმდეგ?

2017 წლის ივნისში, როცა სპარსეთის ყურის ქვეყნების მიერ განხორციელებულ კატარის ბლოკადას განიხილავდნენ, პროცესის მოთავე საუდის არაბეთში ტახტის მემკვიდრე შეცვალეს. ასე მოექცა ყურადღების ცენტრში ახლო აღმოსავლეთის მდიდარი და ჩაკეტილი სამეფო; უფრო კონკრეტულად კი მუჰამად ბინ სალმანი - 32 წლის გვირგვინოსანი პრინცი, თავდაცვის მინისტრი, პროფესიით იურისტი და ამჟამინდელი მეფის, სალმანის ვაჟიშვილი, რომელმაც როგორც საუდის არაბეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე შიდა და საგარეო პოლიტიკაში გატარებული ცვლილებებით, ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე იმაზე მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე აქამდე არსებობდა.

მუჰამად ბინ სალმანი 1985 წლის 31 აგვისტოს არ-რიადში დაიბადა. უმაღლესი განათლება იქვე, მეფე საუდის უნივერსიტეტში მიიღო, იურიდიული მიმართულებით. სანამ საჯარო პირი გახდებოდა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, საუდის არაბეთის ხელისუფლებაზე დაქვემდებარებულ ექსპერტთა კომისიაში კონსულტანტად მუშაობდა. 2009 წელს 30 წლის მუჰამადი მამამისის (ამჟამინდელი მეფის) მრჩევლად ინიშნება, რომელიც მაშინ არ-რიადის პროვინციის გუბერნატორის თანამდებობას იკავდებდა. უკვე 2011 წელს, ძალაუფლებისკენ სწრაფვა ამჟამინდელმა მეფე სალმანმა დაიწყო, რომელმაც გამეფებამდე წინამორბედთა მსგავსი გზა გაიარა: დაინიშნა ვიცე-პრემიერად და თავდაცვის მინისტრად, ვაჟი კი პირად მრჩევლად აიყვანა. ამის შემდეგ ამჟამინდელი პრინცი თანამდებობებს სწრაფად იცვლის და გრძელ იერარქიულ კიბეზე სულ უფრო მაღლა მიიწევს, 2015 წელს კი ჯერ თავდაცვის მინისტრი გახდა, რაც პრინცობის აუცილებელი წინაპირობაა, შემდეგ კი - ვიცე-პრინცი. სწორედ ამ დროს იწყება საუდის არაბეთის სამხედრო ინტერვენცია იემენში, რომლის „არქიტექტორადაც“ მუჰამად ბინ სალმანი მოიაზრება. 2017 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფე სალმანის გადაწყვეტილებით, მუჰამად ბინ სალმანი ოფიციალურად ხდება მემკვიდრე პრინცი.

მეტი უფლება ქალებს, კრიტიკა რადიკალური ისლამის მისამართით, საუდის არაბეთის გავლენიანი პირების დაპატიმება, ურთიერთობის გამწვავება შიიტურ ირანთან - ფაქტია, რომ პრინცმა ერთიანი და დიდი პროცესი დაიწყო. ახლა ანალიტიკოსები ბჭობენ, თუ როგორ გაგრძელდება და რა მიმართულებით წაიყვანს ეს პროცესი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმდიდრეს და მკვეთრად კონსერვატიულ ქვეყანას.

სამეფო კარის იერარქიულ საფეხურებზე კადრების სწრაფი ცვლა ტიპიურ აღმოსავლურ, დინასტიურ სახელმწიფოებში, დიდი ხნის წინ ფესვგადგმული პრაქტიკაა. აქ არც დაწინაურებული მოხელეებისა თუ ტახტზე ახლად ასული მონარქების მიერ უცაბედად დაწყებული ცვლილებები უკვირთ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მეტად ზედაპირული და დროებითია. თუმცა ახლა, მუჰამად ბინ სალმანის მემკვიდრედ გამოცხადების ექვსი თვის თავზე, მრავალი სპეციალისტის აზრით, ვითარება სხვაგვარია.

„ჩვენ უნდა დავბრუნდეთ იქ, სადაც ვიყავით - ზომიერ ისლამთან, რომელიც ღიაა ყველა რელიგიისთვისა და მსოფლიოსთვის“, - „ალ-არაბიასთვის“ მიცემული ინტერვიუს ამ ნაწყვეტმა საბოლოოდ მოჰფინა ნათელი ახალი მემკვიდრის ხედვას საუდის არაბეთის რელიგიურ კურსთან დაკავშირებით. ეს მაშინ, როცა ერთი თვით ადრე სოციალურ მედიაში გავრცელდა პირველი კადრები, რომლებშიც საუდის

არაბეთში მცხოვრები ქალები საჭესთან ისხდნენ. ბრძანება ათწლეულების შემდეგ ქალებისთვის მართვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით მეფემ გამოსცა, თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ამ გადაწყვეტილებაში დიდი როლი მისმა ვაჟიშვილმა ითამაშა. მისსავე სახელს უკავშირდება მდედრობითი სქესისთვის სტადიონებზე შესვლისა და მატჩებზე დასწრების ნებართვის გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ლიდერობის პირობებში პოლიტიკურ ოპონენტთა დევნის პროცესი, ადამიანის უფლებათა დამცველების აზრით, კვლავაც გრძელდება, მუჰამად ბინ სალმანს არაერთხელ გაუკრიტიკებია კურსი, რომელსაც საუდის არაბეთი 1979 წლიდან მიჰყვება. მისი თქმით, ირანის ისლამური რევოლუციის წიაღში აგორებულ რადიკალიზმის ტალღას, რომელიც მთელ მუსლიმურ მსოფლიოს მოედო, ვერც საუდის არაბეთმა აუარა გვერდი - ფუნდამენტალისტთა „რისხვა“ მაშინდელმა სამეფო ოჯახმა მათთვის სასურველი ცვლილებებით აიცილა. დღეს კი ქვეყნის ტახტის მემკვიდრე საზოგადოებას ჰპირდება, რომ რეალობას შეცვლის.

„ნუ დაწერთ, რომ ჩვენ ისლამის რეინტერპრეტირებას ვახდენთ. ჩვენ აღვადგენთ ისლამს პირვანდელი სახით. ჩვენი ყველაზე დიდი იარაღი კი მოციქულის [მუჰამადის] მოძღვრება და 1979 წლამდე არსებული საუდის არაბეთია“, - უთხრა მუჰამად ბინ სალმანმა „New York Times”-ს. პარალელურად კი, გამოცემის ჟურნალისტს პრინცის თანხმლები პირები საუდის არაბეთში 50-იან წლებში გადაღებულ კადრებს აჩვენებდნენ, სადაც ჩანდნენ ქალები ჩადრის გარეშე, მამაკაცების გარემოცვაში, კინო, თეატრი და მრავალი სხვა, რაც დღეისათვის ქვეყანაში გამქრალია, თუმცა მათი დაბრუნების პერსპექტივა - გაზრდილი.

მეფე სალმანი

როგორც მუჰამადი ამბობს, სამეფო ოჯახის დიდმა ნაწილმა მისი რეფორმები მოიწონა. თუმცა, მემკვიდრის მხარდაჭერამ ვერ უშველა პრინცებისა და გავლენიან პირთა ნაწილს, რომლებიც კვირის წინ პატიმრობაში აღმოჩდნენ. ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი სწრაფად, ერთ ღამეში მოხდა, მუჰამადის მიერ ანტიკორუფციული საბჭოს დაფუძნებიდან რამდენიმე საათში. 11 პრინცი და ათეულობით ყოფილი მინისტრი საზოგადოებისგან იზოლირებულია, თუმცა მათი ადგილსამყოფელი დაზუსტებული არ არის. მედიის ცნობით, არ არის გამორიცხული, დაკავებულები არ-რიადის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში იყვნენ განთავსებულნი, რომელიც „სახელდახელოდ“ გადაკეთდა საპყრობილედ.

ასე, მუჰამად ბინ სალმანი, მსოფლიოს წინაშე ექსტრემიზმთან ერთად კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ლიდერის იმიჯსაც იქმნის, რომელმაც სახელმწიფო თანხების ფლანგვა ალაგმა. სად გადის ზღვარი პირად ინტერესებსა და სახელმწიფო ეკონომიკის დაცვას შორის, რთული სათქმელია, მაგრამ მუჰამადს პასუხი ამაზეც მზად აქვს: მისი თქმით, იმ ადამიანთა ნაწილი, რომელიც ახლა განაჩენს ელის, მისი კურსის მიმართ დადებითად იყო განწყობილი და პროცესი ძალაუფლების განმტკიცების მცდელობას არ წარმოადგენს.

სკეპტიკოსებისთვის რთული წარმოსადგენია კორუფციის მოკლე ვადაში დამარცხება იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფალთა საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი საზომი სიმდიდრეა. თუმცა, პრინცის თქმით, იმისთვის, რომ ბრძოლა ეფექტურად დასრულდეს, სტრატეგია უნდა შეიცვალოს. „ჩვენმა ქვეყანამ ბევრი იზარალა კორუფციის გამო 1980 წლიდან დღემდე. გამოთვლებმა აჩვენა, რომ მთავრობის შემოსავლების 10% კორუფციას მიჰქონდა. წლების განმავლობაში, ყველა „ომი კორუფციის წინააღმდეგ“ მარცხით დასრულდა. რატომ? იმიტომ, რომ ყველა მათგანი იწყებოდა ქვემოდან. ჩვენ უნდა დავამარცხოთ ყველა სახის კორუფცია, ზემოდან სიღრმეებამდე“, - აღნიშნავს ის.

თუ მემკვიდრის შიდა პოლიტიკა ლიბერალიზაციის მოტივებზეა დაფუძნებული, საგარეო ასპარეზზე სიხისტე შეინიშნება. მუჰამად ბინ სალმანის ლიდერობის პირველმა ექვსმა თვემ ნათლად აჩვენა, რომ შიიტურ ირანთან ურთერთობების დათბობის პერსპქტივა ჰორიზონტზე კიდევ კარგა ხანს არ გამოჩნდება.

ამ მხრივ, ყველაზე ცხელი წერტილი 2017 წლის ნოემბრის განმავლობაში ლიბანი იყო, რომელიც მოულოდნელად ორ ქვეყანას შორის დაპირისპირების ასპარეზად იქცა. 4 ნოემბერს მსოფლიომ ლიბანის პრემიერ-მინისტრის საად ჰარირის განცხადება მოისმინა თანამდებობიდან წასვლის შესახებ. თუმცა, ჰარირის მიმართვის ტექსტი ბეირუთში არ წაუკითხავს; მან საზოგადოებას არ-რიადიდან მიმართა და აღნიშნა, რომ ირანისა და მისი მოკავშირე ლიბანური შიიტური პარტია „ჰეზბოლას“ ძალადობრივი პოლიტიკის პირობებში, სამშობლოში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

მომხდარიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, ორივე ქვეყნის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ერთმანეთი ომის გამოცხადებაში დაადანაშაულეს: საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრი ლიბანის მთავრობას ირანსა და „ჰეზბოლასთან“ კავშირში ადანაშაულებდა, „ჰეზბოლას“ ლიდერი კი საუდის არაბეთს ლიბანის შიდა პოლიტიკაში უხეში ჩარევისთვის საყვედურობდა. საბოლოოდ, ჰარირი სამშობლოში დაბრუნდა და პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ გადადგომა გადაიფიქრა. თუმცა, პოლიტიკოსთა და სპეციალისტთა წრეებში მიმდინარეობს დისკუსია, თუ რამდენად შეძლებს ჰარირი საუდის არაბეთისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რომლის ინტერესების გამტარებლად ის აქამდეც მოიაზრებოდა.

საუდის არაბეთისა და ირანის დაპირისპირების კიდევ ერთი წერტილი იემენია: ამ ქვეყანაში 2015 წელს სწორედ მუჰამად ბინ სალმანის ინიციატივით დაიწყო საუდის არაბეთის სამხედრო კამპანია, რომელიც ამბოხებული ჰუსიტების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაშინ ამჟამინდელი პრინცი მხოლოდ თავდაცვის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა. სისხლისმღვრელი კონფლიქტი, რომელსაც უკვე შეეწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე, ქვეყნებს შორის ურთიერთბრალდებების საგანია. არ-რიადი ირანს აჯანყებულთათვის იარაღის მიწოდებაში ადანაშაულებს, რაც მუჰამად ბინ სალმანის თქმით, ომის გამოცხადების ტოლფასია. აღნიშნულს თეირანი კატეგორიულად უარყოფს და ბრალდებას ბრალდებითვე პასუხობს. ირანთან არსებული დაძაბულობის ფონზე, არ-რიადის ურთიერთობა ღრმავდება როგორც ისრაელთან, ისე აშშ-სთან.

საკმაოდ არაპროგნოზირებადი მუჰამად ბინ სალმანის ნაბიჯებს ახლო აღმოსავლეთი და დანარჩენი მსოფლიო ყურადღებით აკვირდება და ცდილობენ, მისი საკმაოდ პრეტენზიული გეგმების განხორციელების შესაძლებლობაც განჭვრიტონ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, „ხედვა 2030“-ი არის მის მიერ შემუშავებული ეკონომიკური მოდელი, რომელმაც საუდის არაბეთის შემოსავლები ნავთობზე დამოკიდებულებისგან უნდა გაათავისუფლოს და აქცენტი განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ინფრასტრუქტურასა და სხვა სფეროებზე გაკეთდეს.

არის თუ არა „ახლადაღსაყდრებული“ პრინცის მორიგი ავანტიურა, თუ პროგრესული ლიდერისა და დრომოჭმული სისტემის ჭიდილი, შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, რომლებიც უსწრაფესად ვითარდება. გაგიკვირდებათ და პრინცს ამ გარემოებაზეც აქვს პასუხი, რომელიც „New York Times”-ის კორესპონდენტს გაანდო: „ცხოვრება ხანმოკლეა და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ძალიან მინდა, ეს ყველაფრი ჩემი თვალით ვნახო. ამიტომაც ვჩქარობ“.

ავტორი - მიხეილ გვაძაბია

დონალდ ტრამპის „პირველი ნაბიჯები“ ახლო აღმოსავლეთში

2016 წლის 8 ნოემბერს მსოფლიოს ყურადღება ამერიკისკენ იყო მიპყრობილი, სადაც საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. ატლანტის ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე უნდა გამოვლენილიყო ადამიანი, რომელიც უმეტესწილად უხელმძღვანელებდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. კენჭისყრის შედეგებმა მთელი მსოფლიო შეძრა - ცნობილმა ბიზნესმენმა დონალდ ტრამპმა ამომრჩეველთა კოლეგიის 276 ხმა მოიპოვა და აშშ-ს რიგით 45-ე პრეზიდენტი გახდა. რა დასამალია, ბევრი ადამიანი ტრამპის გამარჯვებას მხოლოდ იუმორის სფეროში განიხილავდა.

ტრამპის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გავრცელებული განცხადებების მიხედვით, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში იგი ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით არსებულ საგარეო პოლიტიკას გადაუხვევდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო აშშ-ის ახალი პრეზიდენტისგან ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში ინოვაციურ საგარო პოლიტიკას ელოდა. ეს პოლიტიკა სავსებით განსხვავებული უნდა ყოფილიყო ტრამპის წინამორბედების, დემოკრატი ბარაკ ობამას ლიბერალური საერთაშორისო საგარეო პოლიტიკისა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) დროინდელი პოლიტიკური ხედვებისგან (ბუშის პოლიტიკა გამოიხატებოდა რეჟიმების ცვლილებებით, დემოკრატიის ექსპორტით, ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის ინიციატივებით, ხავერდოვანი რევოლუციებით და სხვ.). ტრამპი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საფრთხის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ლოზუნგით გამოდის. აქედან გამომდინარე, აშშ აქტიურად მონაწილეობს ანტიტერორისტულ ოპერაციებში სხვადასხვა რადიკალისტური ისლამური ორგანიზაციების წინააღმდეგ, მათ შორის პირველ ადგილზეა ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS). დონალდ ტრამპმა „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის სიკვდილს სოციალური ქსელით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსოფლიომ ISIS-ის წინააღმდეგ დიდი გამარჯვება მოიპოვა.

აბდ ალ-ფათაჰ ას-სისი

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში განსხვავებული მიდგომის გამო ტრამპმა და მისმა გუნდმა ცალკეულ არაბულ სახელმწიფოებს შორის მოწონება დაიმსახურა, მათ შორის განსაკუთებით უნდა აღინიშნოს ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა, რომლის პრეზიდენტმა აბდ ალ-ფათაჰ ას-სისიმ არაბული ქვეყნების ლიდერებიდან პირველმა დაურეკა ტრამპს და არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ტრამპი პირისპირ შეხვდა ეგვიპტის პრეზიდენტს. შეხვედრამ საკმაოდ წარმატებით ჩაიარა. ტრამპმა სისის „ფანტასტიკური ლიდერი“ უწოდა და

აღნიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ეგვიპტეს მხარში ამოუდგებოდა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. ამის შემდეგ ეგვიპტესა და ისრაელს შორისაც ურთიერთობების დათბობა შეინიშნებოდა, მაგალითად გაეროში მიმდინარე ერთ-ერთ კენჭისყრაზე ეგვიპტემ ისრაელს მხარი დაუჭირა.

ტრამპის გაპრეზიდენტებამ ყველაზე ცუდი გავლენა პალესტინაზე იქონია. საარჩევნო კამპანიის საწყის ეტაპზე ტრამპი აცხადებდა, რომ ისრაელ-პალესტინას შორის პრობლემების მოგვარებაში არ ჩაერეოდა და ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერდა. თუმცა, საარჩევნო კამპანიის ბოლო პერიოდში მის პოზიციას რადიკალური ცვლილებები დაეტყო: იგი უფრო პროისრაელურ პოზიციაზე გადავიდა და აღნიშნა, რომ ისრაელს არასოდეს არ განუხორციელებია პალესტინურ მიწებზე აგრესია და იგი არ წარმოადგენს ოკუპანტს. იანვარში, ინაუგურაციის შემდეგ, ტრამპმა აჩვენა ნიშნები იმისა, რომ მზად არის შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირება აშშ-ს საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანასთან დაკავშირებით. ეს მაშინ, როდესაც იგი ასევე აცხადებდა, რომ ყველანაირად ეცდებოდა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას. ეს ორი საკითხი კი ერთმანეთთან შეუსაბამობაში მოდიოდა.

პალესტინის ლიდერმა, მაჰმუდ აბასმა ვატიკანში პალესტინის საელჩოს გახსნის დროს, პაპ ფრანცისკესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მშვიდობას საფრთხე შეექმნება, თუ დონალდ ტრამპი აშშ-ს საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანს, რამეთუ იერუსალიმის სტატუსი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე და კომპლექსური საკითხია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში.

მაჰმუდ აბასი და პაპი ფრანცისკე

2017 წლის 6 დეკემბერს დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად აღიარებს. "გადავწყვიტე, რომ დადგა დრო, იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ოფიციალურად ვაღიაროთ" - განაცხადა მან. თეთრი სახლის ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ ისრაელში აშშ-ს საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაინაცვლებს.

აშშ-ის მხრიდან ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარება ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო დაპირება იყო, თუმცა მან აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავა. იერუსალიმს გაეროსგან გაყოფილი ერთეულის, Corpus Separatum-ის სტატუსი აქვს მინიჭებული. ქალაქს, როგორც ისრაელი, ასევე პალესტინური ადმინისტრაცია, საკუთარ დედაქალაქად განიხილავს. ანალიტიკოსები შიშობენ, რომ აშშ-ს მხრიდან იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება რეგიონში კონფლიქტის რადიკალურად გამწვავებას გამოიწვევს.

იმას, რომ ტრამპის საგარეო პოლიტიკაში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახლო აღმოსავლეთის საკითხს ისიც მოწმობს, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა პირველი საერთაშორისო ტურნე აღმოსავლური ქვეყნებით დაიწყო. თეთრი სახლის ლიდერს იმედი აქვს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების აღმოფხვრის მცდელობაში ახალი ფურცელი დაიწერება. საუდის არაბეთის, ისრაელისა და პალესტინის მთავრობებთან ტრამპმა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მშვიდობის დამყარების პირობა დადო, სანაცვლოდ კი ტერორიზმთან ბრძოლაში მათ მოკავშირეობა სთხოვა.

ისრაელში ვიზიტამდე ტრამპმა განაცხადა, რომ სანამ ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკები ხელმეორედ არ დაიწყებოდა, აშშ-ს საელჩოს იერუსალიმში გადატანას არ განიხილავდა. ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ძალიან ფრთხილია და ესმის, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამგვარმა გადაწყვეტილებამ სამშვიდობო პროცესზე.

დონალდ ტრამპმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ იგი იმუშავებს იმისათვის, რომ ისრაელსა და პალესტინას შორი „დიდი სამშვიდობო შეთანხმება“ იქნას მიღწეული. მისი თქმით, ორივე მხარე უნდა წავიდეს დათმობებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ისრაელმა და პალესტინელებმა პირდაპირ უნდა აწარმოონ მოლაპარაკებები სამშვიდობო შეთანხმებაზე. ტრამპმა სთხოვა ნეთანიაჰუს, რომ ცოტა ხნით თავი შეეკავებინა ახალშენების მშენებლობებისაგან. ერთობლივ პრესკონფერენციაზე ტრამპმა ჟურნალისტების შეკითხვაზე მკაფიოდ გასცა პასუხი, რომ მას მოსწონს რეგიონში ორი სახელმწიფოს - ისრაელისა და პალესტინის თანაარსებობის გეგმა.

ტრამპისეული ახლო აღმოსავლური პოლიტიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ობამას ხელისუფლების არაეფექტურმა ახლო აღმოსავლურმა პოლიტიკამაც, რადგან რეგიონში რუსეთისა და ირანის გავლენა გაძლიერდა, შიიტური და ქურთული შეიარაღებული დაჯგუფებები უფრო გააქტიურდნენ. აშშ-ს მოქმედებებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ის ვერ ეგუება რუსეთის მიერ სირიის მთავრობის ლობირებას. ამის დადასტურება იყო ამერიკელების მიერ ასადის ბაზის დაბომბვა.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ტრამპის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს ეროვნული ინტერესების მიხედვით მიმდინარეობს. ეს რეგიონი დიდი ხნის განმავლობაში იყო, არის და იქნება მსოფლიოსთვის ახალი გამოწვევების შემქმნელი. ამიტომაც საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე ნებისმიერი მოქმედებისას და ინდივიდუალური მიდგომა ცალკეულ საკითხებთან მიმართებით, რათა რაიმე გართულება არ მოჰყვეს ამ გადაწყვეტილებებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ტრამპის დღევანდელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება ჩაითვალოს დადებითად, თუნდაც იმიტომ, რომ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ ფაქტობრივად დამარცხდა და ბოევიკებისგან გათავისუფლდა არაერთი ქალაქი, რაშიც ადგილობრივი ძალების გარდა უდიდესი როლი ითამაშა აშშ-მა. მიუხედავად ამ წარმატებისა, ტრამპმა იერუსალიმთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების წყალობით მთელი მუსლიმური სამყარო თავის წინააღმდეგ განაწყო, ამიტომაც მოსალოდნელი მოვლენების პროგნოზირება შეუძლებელია, მითუმეტეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ავტორი - ბექა ვალიშვილი

ალტერნატიული ენერგიის პროექტი საუდის არაბეთში

დღესდღეობით მსოფლიოში ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მუდმივად იზრდება მოთხოვნა ენერგიის არატრადიციულ ანუ ალტერნატიულ წყაროებზე. რატომ გვჭირდება განახლებადი ენერგია? წიაღისეული რესურსების - ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის ჩანაცვლება სხვა საშუალებებით რამდენიმე მიზეზის გამო გახდა აქტუალური. ცნობილი არაა დედამიწაზე არსებული წიაღისეულის ზუსტი მარაგი, თუმცა მოხმარების ტემპები აჭარბებს მათი წარმოქმნისთვის აუცილებელ დროს და შესაბამისად არსებობს ამ რესუსრსების ამოწურვის საშიშროება, რამაც შესაძლოა სერიოზული ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვიოს.

მზის ენერგიის გამოყენება პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში სცადეს. მისი ძირითადი უპირატესობებია: იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება, ენერგომომარაგების ნაირსახეობის გაუმჯობესება, დეფიციტური ბუნებრივი რესურსების დაზოგვა, ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირება და სხვა.

საუდის არაბეთი, მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი, მზის ელექტროსადგურებში ინვესტიციებს ზრდის. „მზით განებივრებულ საუდის არაბეთს ისღა დარჩენია, მზის ენერგიაში ინვესტირება მოახდინოს“ - განაცხადა საუდის არაბეთის სამეფოს ელექტროენერგიის კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰამიდ ას-საკაფმა.

საუდის არაბეთი OPEC-ის (ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია) ყველაზე დიდი მომწოდებელია და მისი ელექტროენერგიის წარმოება მთლიანადაა დამოკიდებული გაზსა და ნავთობზე. „ჩვენ თუ განვაგრძობთ საწვავის იგივე ოდენობით მოხმარებას, შესაძლოა დიდი დანაკარგის წინაშე აღმოვჩნდეთ“ - განაცხადა ას-საკაფმა არაბეთის ინდუსტრიის მოთამაშეების მეოთხე სამიტზე. ას-საკაფის გეგმა გულისხმობს ათასობით მეგავატი სიმძლავრის მზის ენერგოპროექტში ინვესტირებას მომდევნო 5 წლის განმავლობაში და ყურადღებას აქცევს დიზელის საწვავზე დამოკიდებულ, იზოლირებულ მხარეებს ქვეყნის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მზის ენერგიის შესახებ კონფერენციაზე ითქვა, რომ საუდის არაბეთი გეგმავს 109 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირებას, რათა 2032 წლისთვის მიიღოს 41 გიგავატი მზის ენერგია, რაც საჭიროების 30%-ს დაფარავს.

აქვე უნდა ვახსენოთ გიგანტური, 700 მვტ სიმძლავრის, მზის ენერგიის პროექტი, რომლის განხორციელების უფლება ჩინეთ-საუდის არაბეთის კონსორციუმს მიენიჭა.



ხალიდ ალ-ფალიჰი

დუბაის ელექტროენერგეტიკისა და წყლის მმართველობამ (DEWA) გააფორმა 3.87 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება 700 მვტ სიმძლავრის „Mohammed bin Rashid Al Maktoum"-ის მზის ელექტროსადგურის ოთხფაზიან პროექტზე. ეს არის კონცენტრირებული მზის ენერგიის უმსხვილესი პროექტი.

შეიქმნა კონსორციუმი საუდის არაბეთის ACWA Power-ისა და ჩინეთის Shanghai Electric-ის შემადგენლობით. ელექტროენერგიის შეძენის ხელშეკრულება და ფინანსური მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში დასრულდება. პროექტი 2020 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდება. „The Mohammed bin Rashid Al Maktoum Solar Park" მსოფლიოში ყველაზე დიდი მზის პარკია.

13 მეგავატის ფოტოვოლტაიკური[1] პირველი ეტაპი ფუნქციონირებს 2013 წლიდან. მზის პარკის 200 მეგავატიანი მეორე ფაზა ამოქმედდა 2017 წლის მარტში. 800 მეგავატიანი მესამე ფაზა 2020 წლისთვისაა დაგეგმილი, ხოლო 700 მეგავატიანი კონცენტრირებული მზის ენერგიის მეოთხე ფაზის პირველი ეტაპი იწყება 2020 წლის 4 ივნისში.

დღეის მდგომარეობით, საუდის არაბეთში ფუნქციონირებს ერთი - 10 მვტ. სიმძლავრის ჰელიოსადგური, რომელიც განლაგებულია Saudi Aramco-ს შტაბ-ბინის ტერიტორიაზე ქალაქ დაჰრანში.

შვეიცარიის ქალაქ დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (World Economic Forum) საუდის არაბეთის ენერგეტიკის მინისტრმა და Saudi Aramco-ს ხელმძღვანელმა, ხალიდ ალ-ფალიჰმა განაცხადა, რომ გარდა მზის ენერგიისა, ქვეყანა ინვესტიციების ჩადებას აპირებს ბირთვული და ქარის ენერგიის პროექტებშიც. საწყის ეტაპზე 30-50 მლრდ. დოლარის ოდენობით.

დუბაის ამირა მუჰამად ბინ რაშიდ ალ-მაქთუმი ელექტროსადგურების პარკის მაკეტთან

ავტორი - მარიამ ხეთაგური

[1] ფოტოვოლტაიკა - მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მზის სინათლისგან ელექტროენერგიის მიღების პროცესს.

ისტორია

ზუბაიდა ბინთ ჯაფარის სამონეტო ემისიები

IX საუკუნის დასაწყისი საკმაოდ მნიშვნელოვანია არაბთა სახალიფოს ისტორიაში, ამ პერიოდში სახალიფო ეკონომიკისა და კულტურისა განვითარების ოქროს ხანაშია. აღნიშნული პერიოდი უშუალოდ დაკავშირებულია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხალიფას ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) მმართველობასთან. თუმცა ამ პერიოდში საკუთარი პოპულარობით და ძალაუფლებით გამოირჩეოდა კიდევ ერთი ფიგურა, ჰარუნ არ-რაშიდის მეუღლე, ზუბაიდა ბინთ ჯაფარი. იგი იყო ჰარუნ არ-რაშიდის პირველი ცოლი, რომელიც საკმაოდ შეძლებული და მდიდარი ქალი გახდა მთელს სახალიფოში. მაგრამ ცნობილია, რომ ზუბაიდა თავისი ქონების დიდ ნაწილს ქველმოქმედებაში ხარჯავდა[2]. ზუბაიდა იყო ხალიფა ალ-მანსურის მეორე ვაჟის პრინც აბუ ჯაფარის ქალიშვილი. ზუბაიდას დედა იყო ხაიზურანის, ხალიფა ალ-მაჰდის (ალ -მანსურის პირველი შვილის) საყვარელი ცოლის და. ხაიზურანი იყო ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის, ზუბაიდას ქმრის დედა. შესაბამისად, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან ზუბაიდა და ჰარუნ არ-რაშიდი ახლო ნათესავები გამოდიოდნენ.

ზუბაიდა ბინთ ჯაფარის სახელს ასევე უკავშირდება საკუთარი სამონეტო ემისიების გამოშვება, სადაც დატანებული იყო მისი ქუნია[3] ,,უმმ ჯა'ფარი"-ი (أم جعفر). აღნიშნული ქუნია თავსდებოდა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის და ალ-ამინის დირჰამებზე. აგრეთვე ცნობილია ჰიჯრის 195 წლის (810/11 წ.) უნიკალური მონეტა, რომელიც მისი 50 წლის იუბილესათვის საგანგებოდ მოიჭრა.

რაც შეეხება ჰარუნ არ-რაშიდის და ალ-ამინის დირჰამებზე ზუბაიდას ქუნიის მოთავსებას, ყველაზე ცნობილია 189-190 ჰიჯრის წლებში (804-806) ქალაქ ალ-მუჰამადიაში გამოშვებული სამონეტო ემისიები (სურ.1), რომელიც შეიცავს ფორმულას ,,ალლაჰის გულუხვობა უმმ ჯა'ფარისადმი". ეს ალბათ დაკავშირებული უნდა იყოს ზემოთხსენებულ მის ქველმოქმედებასთან.

სურ.1

დირჰამი მოჭრილი ქალაქ ალ-მუჰამადიაში ჰიჯრის 189 წელს (804/05 წ.)

[2]ზუბაიდამ საკუთარი ხარჯებით დააფინანსა მექაში წმინდა ზამზამის ჭის 4-5 მეტრით გაღრმავება და ასევე აკვედუკის აშენება, რათა მომლოცველებს არ ჰქონოდათ სასმელი წყლის პრობლემა.

[3]ქუნია (كنية) არაბული სახელის ნაწილია, რომელიც იწყება სიტყვით აბუ (أبو) (კაცებისთვის) და უმმ (أم) (ქალებისთვის) და მთავრდება ძის ან ქალიშვილის სახელით.

ასევე აღსანიშნავია ჰიჯრის 187-190 წლების (803-805) ქალაქ ალ-მუჰამადიაში და ჰიჯრის 190-195 წლების (805-811) მა'დინ ბაჯუნაისში (სურ.2) მოჭრილი მონეტები, რომლებზეც აგრეთვე დატანილი იყო ,,უმმ ჯა'ფარის" ქუნია, ოღონდ ამჯერად ფორმულების გარეშე.

სურ.2

დირჰამი მოჭრილი მა'დინ ბაჯუნაისში ჰიჯრის 191 წელს (806/07 წ.)

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული ტიპის სამონეტო ემისიები თითქმის არ გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე. ბოლოს აღნიშნული საფასე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა 2016 წლის ივნისში, ლაგოდეხის რაიონში აღმოჩენილ მსხვილ განძში[4], რომელშიც ერთი ეგზემპლარი ჰიჯრის 192 (807/08 წ.) წელს მა'დინ ბაჯუნაისში მოჭრილი დირჰამი აღმოჩნდა ,,უმმ ჯა'ფარის" ქუნიათი.გთავაზობთ მის აღწერილობას:

Av. لا اله الا — არ არს ღმერთი

الله وحده — გარდა ალლაჰისა

لا شريك له — და არ ჰყავს მას თანაზიარი

ირგვლივ: بسم الله ضرب هدا الدرهم بمعدن باجنيس سنة اثنين وتسعين ومئة

სახელითა ალლაჰისა იჭედა ეს დირჰამი მა'დინ ბაჯუნაისში წელსა 192

Rv. أم جعفر — უმმ ჯაფარი

محمد رسول الله — მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა

مما امربه الامير الامين — ამირა ალ-ამინის ბრძანებით

محمد بن امير المومنين — მუჰამად იბნ ამირ ალ-მუ'მინინ

ირგვლივ: ყურანი 9:33

სურ. 3

[4]აღნიშნული განძი შედგებოდა 192 ვერცხლის დირჰამისგან, მათ შორის ,,უმმ ჯა'ფარის" დირჰამის გარდა აღმოჩნდა ქალაქ სანაში მოჭრილი მცირე დირჰამი, რომელიც პირველად აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე

რაც შეეხება ჰიჯრის 193 წლის (808/809 წ.) შემდგომ მოჭრილ ზუბაიდას მონეტებს, ისინი მოჭრილია უკვე მისი მეუღლის ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის გარდაცვალების შემდეგ, როცა სახალიფოს ტახტზე მცირეწლოვანი ალ-ამინია ასული, ხოლო ზუბაიდა რეგენტის ფუნქციას ასრულებს და შეიძლება ითქვას, რომ სახალიფოს დე-ფაქტო პირველ პირს წარმოადგენს. ამ ფაქტს ამყარებს მისი სახელით მოჭრილი კიდევ ერთი მონეტა, რომელიც ჰიჯრის 195 წლით თარიღდება (810/11 წ.), მაგრამ არ გააჩნია ინფორმაცია ზარაფხანის შესახებ, ამიტომ ეს მონეტა (სურ.4) ალექსეი ბიკოვმა სავსებით მართებულად მიაკუთვნა საგანგებოდ მოჭრილ საიუბილეო კატეგორიას[5]. აღნიშნული საფასე აღმოჩენილ იქნა 1927 წელს ნოვგოროდის რაიონში, შუმილოვის ვერცხლის დირჰამების განძში, მონეტა დაზიანებული სახით შემოგვრჩა. მონეტის შუბლზე და ზურგზე შემორჩენილი ლეგენდები ერთიანად შემდეგ ფორმულას ქმნის: ,,ალლაჰის კურთხევა ალ-ამინის დედაზე, მართლმორწმუნეთა მმართველი, უმმ ჯა'ფარი, აბუ-ლ-ფადლის ასული".



სურ.4

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ზუბაიდა ბინთ ჯაფარი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალი იყო მთელს აბასიანთა სახალიფოში, თანაც იმ დროის აღმოსავლეთში ქალის მიერ გავლენისა და პოპულარობის მოპოვება ძალიან რთული იყო. ის ფაქტიც, რომ მან უხვი სახესხვაობებით დაგვიტოვა საკუთარი სახელით მოჭრილი მონეტები ადასტურებს მისი გავლენის სიდიდეს, რადგან მონეტის მოჭრა საკუთარი სახელით იმ პერიოდში ნიშნავდა, რომ მისი ძალაუფლება უზენაესი იყო.

ავტორები:

ნინო ფეიქრიშვილი. ევგენი ჭანიშვილი

[5]აღნიშნული დირჰამი მიეძღვნა ზუბაიდას 50 წლის იუბილეს. 1960 წელს ზუბაიდას საიუბილეო მონეტა ნოვგოროდის მუზეუმიდან ერმიტაჟის საცავში გადაიტანეს.

ჩინელებისა და არაბების დაპირისპირება შუა აზიაში

751 წელს, თანამედროვე ყაზახეთისა და ყირგიზეთის საზღვართან, მდინარე ტალასის ნაპირზე, გაიმართა ბრძოლა ჩინეთის თანის დინასტიასა (618-907) და აბასიანთა სახალიფოს (750-1258) ჯარებს შორის. დაპირისპირებული მხარეების მიზანი იყო ცენტრალურ აზიაში გავლენის განმტკიცება და იმ რეგიონების დაკავება, სადაც აბრეშუმის გზა გადიოდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, არაბთა და ჩინელთა პირველი სამხედრო დაპირისპირებები ცენტრალურ აზიაში ჯერ კიდევ 715 და 717 წლებში დაფიქსირდა. ორივე შემთხვევაში ბრძოლა ჩინელთა გამარჯვებით დასრულდა.

ზოგადად, ცენტრალურ აზიაში არაერთი ძალა ცდილობდა გავლენის მოპოვებას. მათ შორის გამორჩეული იყო დასავლეთ თურქთა ხაკანატი, რომელიც მერვე საუკუნეში ტურგეშების ტომის მეთაურობით გაძლიერდა. თანის დინასტიისა და ცენტრალური აზიის მოკავშირე ქალაქების ერთიანი ბრძოლის შედეგად მერვე საუკუნის 40-იან წლებში ტურგეშები ძალიან დასუსტდნენ. თუმცა, თურქების დასუსტება ასევე გზას უხსნიდა არაბებს აღმოსავლეთით წინსვლისათვის. ორივე დიდი იმპერია ცდილობდა საზღვრებისა და გავლენის სფეროს გაფართოებას. მათი სამხედრო დაპირისპირებამდე მისვლა დროის საკითხი იყო.



ტალასის ბრძოლის გამომწვევ საბაბთა ჯაჭვი 750 წელს დაიწყო, როცა თანის იმპერიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ პროვინციის გენერალ-გუბერნატორმა კაო სიენ ჭ'მ შეიპყრო ჩაჩის (თანამედროვე ტაშკენტი) მეფე და საიმპერატორო კარს ტყვედ მიჰგვარა, სადაც ის სიკვდილით დასაჯეს. ჩაჩის მეფის შვილი სამარყანდში გაიქცა და დახმარება სთხოვა რეგიონში მუსლიმთა ჯარის მეთაურს - ქუთაიბა იბნ მუსლიმს. ამ უკანასკნელმა ისარგებლა სიტუაციით და არმიის დიდი ნაწილი ზიად იბნ სალიჰის მეთაურობით გაგზავნა ჩინელთა წინააღმდეგ. თავის მხრივ კაო სიენ ჭ' ჩინეთიდან დასავლეთის მიმართულებით დაიძრა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მდინარე ტალასთან შეხვდნენ.

უცნობია არმიებში მეომართა ზუსტი რაოდენობა. ჩინელთა არმია შედგებოდა უშუალოდ ჩინელების, მოკავშირე ყარლუყებისა (მომთაბარე თურქული ტომები) და ფერღანას (ისტორიული პროვინცია უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიაზე) დამხმარე ჯარებისაგან. წყაროებში ჩინელთა არმიის რიცხოვნობა 20 000-დან 100 000-მდეა. არაბული წყაროები 100 000 მეომრით განსაზღვრავენ ჩინელთა არმიას. სხვადასხვა ჩინური წყაროები ასახელებენ 20, 30, 60, 70 ათას მეომარს. დღესდღეობით, წყაროების შეჯერების საფუძველზე მიჩნეულია, რომ ჩინელთა არმია დაახლოებით 30 000 მეომრისაგან შედგებოდა. რაც შეეხება არაბებს, მათ რაოდენობაზე კიდევ უფრო მწირი ინფორმაციაა. ზოგიერთი არაბული წყარო ამბობს, რომ ამ ბრძოლაში არაბთა მხარეს იბრძოდნენ ტიბეტელები და ცენტრალური აზიის რამდენიმე სამთავროს არმია და სავსებით შესაძლებელია, რომ სერიოზული სიდიდის არმია შეკრებილიყო.

ბრძოლის მიმდინარეობის შესახებაც მცირე ინფორმაციაა შემორჩენილი. ჩინური წყაროები მიუთითებენ, რომ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ყარლუყების ღალატმა და შუა ბრძოლაში მათ მიერ არაბთა მხარეზე გადასვლამ. თუმცა, არაბული წყაროები არაფერს ამბობენ ყარლუყთა ღალატზე. რადგანაც შემორჩენილია ჩინური ისტორიები, რომლებიც უშუალოდ ამ პერიოდში იწერებოდა. ჩინური წყაროები უფრო მეტი სანდოობით სარგებლობენ ისტორიკოსებს შორის.

ტალასის ბრძოლას დიდი პოლიტიკური ძვრები არ მოჰყოლია. მცდარია მტკიცება იმისა, რომ ამ მარცხმა აიძულა თანის იმპერიამ უარი ეთქვა დასავლურ ექსპანსიაზე. ტალასთან მიღებული მარცხი ჩინეთის სამხედრო პოტენციალს დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა. ცნობილია, რომ ამ დროისათვის ჩინეთის რეგულარული არმია 574 733 მეომრისაგან შედგებოდა. 753 წელს ჩინეთს უკვე დაბრუნებული ჰქონდა ძველი პოზიციები ცენტრალურ აზიაში. მეტიც, ცენტრალური აზიის ქალაქები თანის იმპერიას არაბთა წინააღმდეგ აჯანყებაში სთხოვდნენ დახმარებას. თუმცა საიმპერატორო კარი ამ თხოვნებს უარით ისტუმრებდა. სავარაუდოდ, თანის იმპერიას სურდა პირველ რიგში გასწორებოდა ტიბეტს, რომლის არაბებთან ალიანსიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა მის ინტერესებს. 755 წელს თანის ჯარებმა თითქმის მთელი ტიბეტი აიღეს. თუმცა, ამავე წელს ჩრდილოეთში დაიწყო გენერალ-გუბერნატორის ან-ლუშანის მასიური აჯანყება, რომელიც რვა წელს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ 763 წელს აჯანყება დამარცხდა, ამ დროისათვის თანის იმპერია იმდენად გამოიფიტა, დასავლეთით ექსპანსიაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

დიდი ხნის განმავლობაში ისტორიულ წრეებში გაზიარებული იყო თეორია, რომ ქაღალდის დამზადება ჩინეთის გარეთ ტალასის ბრძოლის შემდეგ დაიწყო: ბრძოლის შემდეგ არაბების მიერ აყვანილ ჩინელ ტყვეთა შორის იყვნენ ქაღალდის დამზადების ოსტატები, რომლებმაც ეს საიდუმლო სიცოცხლის შენარჩუნების ფასად არაბებს გაანდეს. ეს ლეგენდა ეყრდნობა ერთ-ერთ არაბულ წყაროს. მაგრამ, საინტერესოა, რომ ჩინელი ტყვე - ტუ ხუანი, რომელმაც ტალასის ბრძოლის შემდეგ 10 წლის განმავლობაში იმოგზაურა არაბთა სახალიფოში და 761 წელს დაბრუნდა ჩინეთში, თავის მემუარებში ჩამოთვლის არაბთა სახალიფოში მოღვაწე ჩინელ ოსტატებს (ოქრო-ვერცხლის ოსტატი, მხატვარი), თუმცა არსად არ მოიხსენიებს ქაღალდის დამზადების ჩინელ ოსტატებს არაბეთში.

დღესდღეობით არქეოლოგიური მონაცემებით უკვე დადასტურებულია, რომ ქაღალდი ცენტრალურ აზიაში მეოთხე საუკუნიდან გამოიყენებოდა, როგორც საწერი მასალა. სავარაუდოდ, ქაღალდის გავრცელება ცენტრალურ აზიაში, ისევე როგორც კორეასა და იაპონიაში, ბუდისტი ბერების მქადაგებლურ საქმიანობას უკავშირდება. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ სამარყანდში პირველი დიდი ქაღალდის მწარმოებელი ქარხანა 751 წელს ფიქსირდება. შესაძლებელია არაბებმა მართლაც იგდეს ხელთ ქაღალდის დამზადების ჩინელი ოსტატები და მათმა ცოდნამ დამატებითი იმპულსი მისცა ქაღალდის წარმოების განვითარებას. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, რომლის ჭეშმარიტების შემოწმება ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით შეუძლებელია.

ავტორი - ოთარ ჭიღლაძე

არსუფის ბრძოლა

1191 წელს არსუფის ველზე ჯვაროსნებსა და აიუბიანთა ეგვიპტის ჯარებს შორის ბრძოლა გაიმართა. ჯვაროსნების მიზანი იყო წმინდა მიწის მუსლიმებისგან გათავისუფლება. მათ არმიას მეთაურობდა ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული (1189-1199), ხოლო მუსლიმთა ჯარს სარდლობდა სალაჰ ად-დინი, იგივე სალადინი (1171-1193) - აიუბიანთა დინასტიის დამაარსებელი.

წარმოშობით ქურთმა სალაჰ ად-დინმა მოახერხა ეგვიპტეში ფატიმიანი ხალიფების ხელისუფლების დამხობა. მან განახორციელა ლაშქრის რეორგანიზაცია, დათრგუნა შიიტი ფატიმიანების ოპოზიცია და თავისი ძალაუფლება განიმტკიცა. დაიპყრო სირია, იემენი, ლიბანისა და ომანის ნაწილი, 1187 წ. 4 ივლისს ჰატინთან ბრძოლაში ჯვაროსნების არმია გაანადგურა, 2 ოქტომბერს აიღო იერუსალიმი. მის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა მთელი პალესტინა. ჯვაროსნებმა მხოლოდ ანტიოქია, ტვიროსი და კეისარია შეინარჩუნეს.

რომის პაპი ურბან III (1185-1187) იერუსალიმის დაცემას გადაჰყვა. კათოლიკური სამყაროს ახალმა წინანმძღოლმა გრიგოლ VIII-მ (1187 წ.) ქრისტიან მონარქებს მოუწოდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად დაძრულიყვნენ. წმინდა მიწისკენ პირველად საღვთო რომის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა (1155-1190) გაემართა, მაგრამ მან დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია, რადგან მდინარე სალეფის გადალახვისას დაიღუპა. ლაშქრობის სხვა მონაწილეები იყვნენ ფრანგები და ინგლისელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის პლანტაგენეტების სამემკვიდრეო მიწების გამო ტერიტორიული დავა იყო, მაგრამ რომის პაპმა რიჩარდ ლომგულისა და ფრანგთა მეფის, ფილიპე II ოგიუსტის (1180-1223) შერიგება მოახერხა. თუმცა, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ზავი მხოლოდ დროებითი იყო - ფილიპე II მალევე დაბრუნდა საფრანგეთში, რადგან მიიჩნია, რომ რიჩარდი სალაჰ ად-დინთან იყო შეკრული და მას მოკვლას უპირებდა.

რიჩარდ ლომგული

რიჩარდ I-მა გამეფებიდან ექვს თვეში გადაწყვიტა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაბმა. სამხედრო კამპანიის მოსამზადებლად მან დიდი ხარჯები გასწია, რის გამოც კრიტიკა დაიმსახურა. ინგლისის მეფემ ისიც კი განაცხადა, რომ მიზნის მისაღწევად და ფინანსების შესაგროვებლად ლონდონსაც კი გაყიდდა, თუკი მყიდველი გამოჩნდებოდა. საბოლოოდ, რიჩარდი 1190 წლის ზაფხულში გაემართა ახლო აღმოსავლეთისკენ.

1191 წელს ინგლისის ფლოტი შტორმში მოყვა და კუნძულ კვიპროსზე შეჩერდა. შტორმის გამო ფლოტის გარკვეული ნაწილი კუნძულის სხვა სანაპიროზე მოხვდა და ისინი კვიპროსის მმართველმა ისააკმა (1184-1191) შეიპყრო. ისააკ კომნენოსი 1184 წელს ბიზანტიის იმპერატორს განუდგა, მომდევნო წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა და კვიპროსზე დესპოტური რეჟიმი დაამყარა. რიჩარდმა ისააკი ბრძოლაში დაამარცხა, ტახტიდან გადააყენა და მის ნაცვლად გაი ლისინგნანელი (იერუსალიმის მეფე 1186-1192; კვიპროსის მეფე 1192-1194) გაამეფა.

რიჩარდი აკრაში 1191 წლის 8 ივნისს ჩავიდა. ამ დროს გაი ლისინგნანელს ქალაქისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. რიჩარდი ამ უკანასკნელს დაეხმარა, 2700 მუსლიმი შეიპყრო და სალაჰ ად-დინს აკრას გარშემო მდებარე ტერიტორიებისა და ჰატინის ბრძოლისას დატყვევებული მეომრების გათავისუფლება მოსთხოვა, მაგრამ სალაჰ ად-დინი პასუხის გაცემას არ ჩქარობდა, რის გამოც რიჩარდმა ტყვეები სიკვდილით დასაჯა.

აკრას აღების შემდეგ, რიჩარდმა იცოდა, რომ იაფას პორტიც უნდა დაეპყრო, რათა იერუსალიმზე იერიში მიეტანა. მან აკრას გავლით საკუთარი ძალები იაფასკენ დაძრა, ხოლო სალაჰ ად-დინი თავისი ჯარით მის წინააღმდეგ გაემართა. რიჩარდი ჰატინის ბრძოლაში ჯვაროსანთა კატასტროფას ითვალისწინებდა და

იცოდა, რომ მისი სამხედროებისთვის უმთავრესი წყლით უზრუნველყოფა იყო, რადგან სიცხისგან გამოფიტულები ვერ იბრძოლებდნენ. ინგლისის არმია ნელა მოძრაობდა, რადგან წყალთან შეჩერება უხდებოდა. ამავე დროს, ფლოტი სანაპიროსთან ახლოს იყო და ჯარს საკვებითა და საჭირო პროდუქტებით ამარაგებდა.

რიჩარდმა საკუთარი ძალები გონივრულად განალაგა. ტამპლიერები ჯარს წინ მიუძღოდნენ, ხოლო ჰოსპიტალიერები უკან მიყვებოდნენ. შეუძლებელი იყო ჯვაროსანთა არმიას სალაჰ ად-დინი მარჯვენა მხრიდან დასხმოდა თავს, რადგან ამ მხარეს სანაპირო იყო, ხოლო მარცხენა მხარეს კარგად აღჭურვილი ქვეითები იდგნენ და ისრები ვერანაირ ზიანს ვერ აყენებდნენ. ბაჰა ალ-დინ იბნ შადადი, მუსლიმი ქრონოლოგი და ომის თანამედროვე, წერს: ,,მუსლიმებმა ისრები დაუშინეს ჯვაროსნებს ყველა მხრიდან, რათა შეეთხელებინათ მათი რიგები, მაგრამ უშედეგოდ. ქრისტიანებმა საოცარი თავდაჯერებულობა გამოიჩინეს, ისინი თავიანთ გზას აჩქარების გარეშე მიუყვებოდნენ და თან მათი გემებიც სანაპიროსთან იყვნენ, ამ გზით ჯვაროსნებმა უსაფრთხოდ განაგრძეს გზა.“

სალაჰ ად-დინი

არსუფის ბრძოლა 1191 წლის 7 სექტემბერს დაიწყო. მუსლიმთა ჯარში იბრძოდნენ ქურთები, თურქები, არაბები, სომხები და ბერძნები (ზოგიერთი ცნობით ქართველებიც), არმიის ძირითად ნაწილს თურქები და ქურთები შეადგენდნენ. ჯვაროსანთა არმიაში იბრძოდნენ ინგლისელები, ფრანგები, ბრეტონები და ანგევინები. სალაჰ ად-დინის არმია 30000 მეომარს ითვლიდა, ხოლო რიჩარდ ლომგულისა - 23000-25000 ჯვაროსანს.

ჯვაროსნული არმია იაფას პორტიდან 25 კილომეტრში იყო. სალაჰ ად-დინის რეპუტაციას საფრთხე დაემუქრა, რადგან იაფას პორტის დაცემა მას პრობლემებს ქვეყნის შიგნითაც შეუქმნიდა. მან მთელი თავისი 30000-იანი არმია ბრძოლაში ჩართო, რაც ჯვაროსნებისთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო. რიჩარდს გააზრებული ჰქონდა, რომ აუცილებელი იყო ჯარის ერთიანობა არ დაკარგულიყო.

აიუბიანების არმიიდან პირველად ბედუინები და ნუბიელი მხედრები ჩაერთვნენ ბრძოლაში, მათ ზურგს უმაგრებდნენ მშვილდოსნები და შუბოსნები, რომლებმაც მოწინააღმდეგეთა მოწინავე რიგებს დაუშინეს ისრები. მშვილდოსანთა ომში ჩართვამ ვერანაირი შედეგი ვერ მოუტანა სალაჰ ად-დინს, რითაც რიჩარდმა ისარგებლა და ომში ჰოსპიტალიერები ჩართო, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მუსლიმთა არმიას. ამის შემდეგ თავად სალაჰ ად-დინი ჩაერთო ბრძოლაში და ახალი ფრონტი გახსნა. მიუხედავად ყველაფრისა, მისმა ჯარმა ვერ მოახერხა მარტივად მიეღწია მიზნისთვის და უკუექცია ჯვაროსნები, ბრძოლა ლომგულის ჩანაფიქრის მიხედვით წარიმართა, მას სურდა, რომ დაეღალა მოწინააღმდეგე და ბოლოს მიეყენებინა მათთვის გადამწყვეტი დარტყმა.

თუმცა, რიჩარდმაც ვერ გაითვალისწინა ერთი რამ - ცხელ კლიმატს არ იყო შეგუებული მისი ჯარი და შეიძლებოდა სიცხის გამო მათაც შექმნოდათ პრობლემები. გარნიე დე ნაბლუსმა რიჩარდს ბრძოლაში ჩართვის უფლება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, მას უბრძანეს ადგილზე გაჩერებულიყო და უკანასკნელი შეტევამდე არაფერი მოემოქმედა. იგი არ დაემორჩილა ბრძანებას და მტრის რიგებში ,,წმინდა გიორგის“ ძახილით შეიჭრა.

ამ მანევრის შემდეგ რიჩარდმა გააცნობიერა, რომ კონტრშეტევას ვერ განახორციელებდა, ამიტომ ბრძანა მთელი ჯარი ჩართულიყო ბრძოლაში. ბაჰა ად-დინი აღნიშნავს, რომ ეს მოულოდნელობის ეფექტი,



რომელიც ჯვაროსანთა არმიის უეცარმა ჩართვამ გამოიწვია ბრძოლაში, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა. სალაჰ ად-დინის ჯარის მარჯვენა ფრთა მთლიანად მოიშალა და დანაკარგებით დაიწყო უკან დახევა. ეგვიპტის ხელმწიფემ თურქები ჩართო ბრძოლაში, რის შემდეგაც მუსლიმები, რომლებიც უკან იხევდნენ, მალევე გადავიდნენ კონტრშეტევაზე, ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს გააკეთა სალაჰ ად-დინის ძმისშვილი ტაქი ად-დინი იყო. მან შვიდასი კაცი ჩართო ბრძოლაში მარცხენა ფლანგიდან, სადაც რიჩარდი იბრძოდა. რიჩარდმა გადალახა ეს ბარიერიც და სალაჰ ად-დინის არმია საბოლოოდ დამარცხდა. ევროპელი ისტორიკოსი აღწერს: ,,უძლიერესი მეფე ცხარე გულით ჩაერთო ბრძოლაში და ხოცავდა თურქებს ყველა მხრიდან და ვერავინ ვერ ახერხებდა გაქცევას.“ აიუბიანთა მხედრები მესამედაც კი მობრუნდნენ, მაგრამ ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო, რიჩარდმა გაიმარჯვა.

ქრისტიანულ წყაროებში წერია, რომ სალაჰ ად-დინმა 32 ამირა და 7000 მეომარი დაკარგა, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს რიცხვი გაზვიადებულია. რიჩარდმა აიღო იაფაც და გაამაგრა ქალაქი, უკვე ერთი ნაბიჯი რჩებოდა იერუსალიმამდე, თუმცა მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში წმინდა მიწის გამოხსნა ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ასეთი სისხლისმღვრელი ომებისა, ცნობები დაგვრჩა ამ ორი დიადი ხელმწიფის მიმოწერებზე, რომლებშიც ურთიერთპატივისცემაა გამოხატული. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის თანამედროვე ისტორიული წყაროები გვაწვდიან ცნობებს, თუ რა მოიმოქმედა სალაჰ ად-დინმა მაშინ, როცა გაიგო, რომ რიჩარდ ლომგული ავად იყო. მას ჯერ თავისი ექიმები გაუგზავნა (არის თქმულება, თითქოს ექიმის ტანსაცმელში გადაცმული სალადინი თავად მკურნალობდა ინგლისის მეფეს), ხოლო, როცა მისი დაკოჭლების ამბავი გაიგო, ორი ცხენი გაუგზავნა საჩუქრად. ზავის დადების შემდეგ კი რიჩარდს მიუწერია სალაჰ ად-დინისთვის, რომ სამ წელში დაბრუნდებოდა და დაიპყრობდა წმინდა მიწას, რაზეც აიუბმა უპასუხა, თუკი უნდა დავკარგო ჩემი სამეფო, მირჩევნია იგი ისეთ დიად მებრძოლს ჩაბარდეს, როგორიც შენ ხარო. დღეს კი შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ორივე მათგანი, რიჩარდ ლომგულიც და სალაჰ ად-დინ აიუბიც, უძლიერესი ხელმწიფენი და მებრძოლნი იყვნენ, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიაში.

ავტორი - მათე ქარდავა

მაჰმუდ II და განათლების რეფორმა ოსმალეთში

მაჰმუდ II

სულტანი მაჰმუდ II (1808-1839) ოსმალეთის იმპერიას საკმაოდ რთულ პერიოდში მართავდა. მან საფუძველი ჩაუყარა თანზიმათის რეფორმათა სისტემას, რომელიც გულისხმობდა ქვეყნის ევროპეიზაციას, მოდერნიზაციასა და სეკულარიზაციას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის ევროპეიზაცია მაჰმუდ II-ის მიერ არ დაწყებულა და ამ შემთხვევაში აუცილებელია განვიხილოთ ოსმალეთის იმპერიის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც მეჰმედ II-მ (1451-1481) 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლი აიღო, ოსმალეთი გარკვეულწილად გახდა ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ამავდროულად, ოსმალეთის წარმოადგენდა მულტიკულტურულ იმპერიას, სადაც უმცირესობები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში (ბერძნები და სომხები მისდევდნენ ხელოსნობას, ვაჭრობას, ზღვაოსნობას). სულტნები, რომლებიც პარალელურად ხალიფას ტიტულსაც ატარებდნენ მრავალკონფესიურ იმპერიაში ყველას ინტერესების დამცველნი იყვნენ. ყველა, ვინც ოსმალეთში ცხოვრობდა უნდა ყოფილიყო კმაყოფილი, რათა იმპერიის მთლიანობა შენარჩუნებულიყო. შესაბამისად, ეს ქვეყნის მესვეურებს შედარებით ტოლერანტული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას კარნახობდა.

აჰმედ III

ოსმალეთის მიერ ევროპეიზაციისკენ გადადგმული პირველი და ღია ნაბიჯები დაკავშირებულია სულტან აჰმედ III-ის (1703-1730) სახელთან. მისი მმართველობის პერიოდს „ტიტების ეპოქასაც“ უწოდებენ. რადგან სწორედ ამ დროს არქიტექტურაში გაჩნდა ბაროკოს სტილი, დაიწყო ყვავილების, განსაკუთრებით ტიტათა დღესასწაულების აღნიშვნა. პოეზიასა და ფერწერაში ტიტამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ის მიიჩნეოდა სრულყოფილებისა და სილამაზის ეტალონად. დაიწყო ტიტას ბოლქვების დიდი რაოდენობით შემოტანა და გავრცელება მთელი იმპერიის მასშტაბით. ”ტიტების ეპოქაში“ დაარსდა სტამბა, (1727 წ. - Daru'l-Tıbâati'l Amire), დაიბეჭდა პირველი წიგნი (1729 წ. - არაბულ-თურქული ლექსიკონი), შეიქმნა ქაღალდისა, ქსოვილებისა და ფაიფურის ფაბრიკები.

სელიმ III

რეფორმათა შემდეგი ტალღა დაკავშირებულია სულტან სელიმ III-ის (1789-1807) სახელთან. თავად სულტნის მიერ გატარებულ რეფორმებზე დიდი გავლენა მოახდინა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ, რომელმაც გადამწყვეტი იმპულსი მისცა ჯერ-კიდევ 50 წლის წინ „ტიტების ეპოქის“ დროს გამოჩენილი რეფორმატორული იდეების რეალურ განხორციელებას. სულტანმა სელიმმა გასატარებელ რეფორმათა სქემას უწოდა „ნიზამ-ი ჯედიდი“ (Nizam-i Cedid - ახალი წესრიგი), რომლის წამმართველი პრინციპები იყო: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ (საფრანგეთის რევოლუციის გავლენით). თუმცა, სერიოზული მცდელობის მიუხედავად, სულტანმა ვერ შეძლო ერთი დარტყმით მართვის ტრადიციული სისტემის შეცვლა, რადგან ის საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და დასუსტების მიუხედავად საკმაოდ მყარი იყო.

იანიჩრები

კონსერვატორები, რომელთაც წარმოადგენდნენ სასულიერო პირები, მაღალჩინოსნები, იანიჩრები და თავად სულტნის გარემოცვა, ქვეყნის შემოსავლის უდიდეს ნაწილს იღებდნენ. არსებული წყობის შეცვლა და კოლოსალური უფლებების დაკარგვა მათ კარგს არაფერს მოუტანდა. ოსმალეთის იმპერიაში ვერ განხორციელდებოდა საფრანგეთის რევოლუციის პრინციპები: "თავისუფლება" ითვლებოდა სამართლიან კონცეფციად მუსლიმურ გარემოში, რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა მისცემოდა, თუმცა „თანასწორობა“ ვერ განხორციელდებოდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც თანაქვემდებარების ძლიერი ტრადიცია იყო, რომელიც ისლამითა და სოციალური პრივილეგიებით იყო გამყარებული. „ძმობას“ უნდა გამოეწვია ნაციონალიზმის გაღვივება იმპერიის შიგნით და შემდგომ მთლიანად მუსლიმურ სამყაროში.

იმპერიის ახალი მმართველი მაჰმუდ II (1808-1839) იყო გაბედული, გამტანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. ოსმალეთში ფეოდალიზმის გასანადგურებლად საჭირო მომენტს ის წლების განმავლობაში ელოდა. ოსმალეთი ტრადიციულად წარმოადგენდა ექსპანსიონისტურ სახელმწიფოს, რომელიც გამუდმებით აწარმოებდა დაპყრობით ომებს მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. რეფორმების გატარებას ეწინააღმდეგებოდა იანიჩართა კორპუსი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყანაში სიმშვიდეს. მაჰმუდ II-ის რეფორმატორი წინამორბედები - აჰმედ III (1703- 1730) და სელიმ III (1789-1807) სწორედ იანიჩართა აჯანყების მსხვერპლნი გახდნენ, ამიტომაც ახალგაზრდა სულტანმა ფეოდალური ოსმალეთის შეცვლა სამხედრო რეფორმით დაიწყო: მან 1826 წელს გააუქმა იანიჩართა კორპუსი და შედეგად ქვეყანა განთავისუფლდა შეიარაღებული ოპოზიციისაგან; გააუქმა დერვიშთა საძმოები, რომელნიც აჯანყების დროს იანიჩართა უკან იდგნენ. შექმნა ახალი ჯარი, რომელსაც ეწოდებოდა "მუჰამედის გამარჯვებული ჯარი" (Asakir-i Mansure-i Muhammediye).

აუცილებელია განვიხილოთ ამ პერიოდის სასწავლო დაწესებულებები. ქალაქთა უბნებში მეჩეთების გვერდით იყო სკოლები - მედრესეები, რომელთა მთავარ ფუნქციას ისლამის სწავლება წარმოადგენდა. მოსწავლეები იღებდნენ ყურანის, თეჯვიდისა და ნამაზის გაკვეთილებს. 1824 წელს მაჰმუდ II-მ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც დაწყებით (რელიგიურ) სკოლებში სწავლა გახდა საყოველთაო და სავალდებულო. სულტანს სურდა, რომ სწავლის პირველ საფეხურზე მოსწავლეები ყოფილიყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი და ესწავლათ საკუთარი რელიგია. ასევე გამხდარიყვნენ ყადიები (მოსამართლეები).

1838 წელს გაიხსნა რუშთიე (Ruştiye) - პირველი საერო დაწყებითი სკოლა, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ სწავლის მსურველებს წერა-კითხვის შესწავლის საშუალება ჰქონოდათ და შემდგომში სწავლა გაეგრძელებინათ სულტნის მიერ დაარსებულ საშუალო და უმაღლეს სკოლებში. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ რუშთიეს დაარსებას არ მოჰყოლია მედრესეთა დახურვა. სულტანმა ეს გადაწყვეტილება სპეციალურად მიიღო, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სასულიერო პირთა გამოსვლები მისი ხელისუფლების წინააღმდეგ.

მუჰამედის გამარჯვებული ჯარი

1839 წელს სულტან აჰმედის მეჩეთთან გაიხსნა ორი არასამხედრო საშუალო სკოლა: განათლების მიღების სკოლა (Mekteb-i Maârif-i Adlîyye), რომელსაც წერა-კითხვის მცოდნეთა აღზრდა ევალებოდა და

ლიტერატურულ მეცნიერებათა სკოლა (Mekteb-i Ulûm-i Edebiyye), რომელსაც ჩინოვნიკები უნდა მოემზადებინა.

უნდა აღინიშნოს, რომ იყო მრავალი ხარვეზი. მაგალითად, დაწყებით სკოლებში სწავლის დასრულების შემდეგ, საშუალო სკოლებში სწავლის გასაგრძელებლად მოსწავლეებს განათლების სათანადო დონე არ ჰქონდათ. მაჰმუდ II-მ განათლების სეკულარიზაცია გამოაცხადა, თუმცა ეს ნაწილობრივ განხორციელდა, რადგან დაწყებითი განათლება არა განათლების სამინისტროს, არამედ შეიხ ულ-ისლამის ხელში დარჩა.

მაჰმუდ II-ის დროს დაარსდა საინჟინრო (Mühendishâne), სამედიცინო (Tıbbiye) და სამხედრო (Harp Okulu) სკოლები, რომლებიც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ.

პირველი საინჟინრო სკოლა ოსმალეთის იმპერიაში შეიქმნა 1827 წელს, რომელსაც ეწოდა ბაჰრიე მუჰენდისჰანე (Bahriye Mühendishâne - საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელი). სწორედ ეს დაწესებულებაა დღევანდელი სამხედრო-საზღვაო სკოლის წინამორბედი. აქ 40-დან 100-მდე სტუდენტი სწავლობა. იმ დროს მოსწავლეები იყვნენ არა ახალგაზრდები, არამედ 40-60 წლის მამაკაცები. სწავლება მიმდინარეობდა ფრანგულად. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1826 წელს შეიქმნა „მუჰამედის გამარჯვებული ჯარი“. ამ სკოლის ზედა კლასებში მყოფი ზოგიერთი მოსწავლე ახლადშექმნილი სამეფო ჯარის ბატალიონში ოფიცრად დაინიშნა და "გამარჯვებული ინჟინერი" ეწოდა.

რაც შეეხება სამედიცინო სფეროს, სამედიცინო სკოლის დაარსების მიზეზი იყო სამხედრო სფეროში ექიმთა საჭიროება, ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ქოლერას ეპიდემია და უცხოელ ექიმთა რაოდენობის ზრდა, რომელთა გაკონტროლებაც შეუძლებელი ხდებოდა. 1827 წელს დაარსდა სამედიცინო სკოლა, 1832 წელს - ქირურგიული სახლი. 1839 წელს ეს ორი სამედიცინო სასწავლებელი გაერთიანდა და დაარსდა სულტნის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი. სასწავლო სახელმძღვანელოთა არარსებობის გამო სწავლება აქაც ფრანგულად მიმდინარეობდა. მასწავლებლები იყვნენ როგორც ადგილობრივები, რომლებიც სულტან სულეიმან კანონმდებლის (1520-1566) მიერ 1555 წელს დაარსებული სულეიმანის სამედიცინო მედრესეს კურსდამთავრებულნი იყვნენ, ისე ევროპელები, კერძოდ საფრანგეთიდან ჩამოყვანილი პროფესიონალები. თუ სხვა სკოლათა დაარსებას ოსმალო დიდებულები მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ, ამ შემთხვევაში დიდებულთა ნაწილმა მედრესე მიატოვა და ამ სკოლაში დაიწყო სწავლა. რა თქმა უნდა, ამ სკოლასაც ჰქონდა პრობლემა: იყო მასწავლებელთა და წიგნთა სიმცირე; სკოლაში ჯერ მხოლოდ მუსლიმებს იღებდნენ, შემდეგ წესდება შეიცვალა და ნებისმიერი ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენელს შეეძლო განათლების მიღება. მაგალითად, 1846 წელს ვენაში სწავლის გასაგრძელებლად გაიგზავნა ოთხი კურსდამთავრებული, რომელთა შორის იყო 1 მუსლიმი, 1 სომეხი და 2 კათოლიკე. წყაროთა მიხედვით, 1847 წლისთვის ოსმალეთის იმპერიის სამედიცინო სკოლაში 314 მუსლიმი და 95 არამუსლიმი სწავლობდა, რომელთა შორისაც იყო 300 თურქი, 40 ბერძენი, 29 სომეხი და 15 ებრაელი.

1831-1833 წლებში ოსმალეთის იმპერიაში ინდოეთიდან ქოლერა შემოვიდა. ოსმალეთი წარმოადგენდა ეპიდემიის გავრცელების ხიდს. აუცილებელი იყო კარანტინის გამოცხადება, რომელსაც თავდაპირველად მუსლიმი სასულიერო წოდება სასტიკად გაემიჯნა, რადგან არამუსლიმურად მიიჩნია. 1835 წელს მაჰმუდ II-ის ბრძანების თანახმად, კარანტინი მაინც გამოცხადდა. ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ 1836 წელს გაზეთ „თაქვიმ-ი ვექაიშიც“ („ამბების კალენდარი“) კი დაიბეჭდა სპეციალური წერილი, რომელშიც ხაზი გაესვა, რომ კარანტინი იყო აუცილებელი და ის არ ეწინააღმდეგებოდა ისლამს. 1838 წელს შეიქმნა სამედიცინო საქმეთა კრება. 1839 წელს ნებართვა გაიცა ყვავილის საწინააღმდეგო აცრის გაკეთების შესახებ. 1845 წელს გამოიცა წიგნი, სადაც ეწერა რა იყო ყვავილის ინფექცია და როგორ უნდა განკურნებულიყო იგი.

რაც შეეხება სამხედრო სფეროს განვითარებას, პირველი სამხედრო სკოლა 1825 წელს დაარსდა არა სტამბოლში, არამედ ეგვიპტეში, მუჰამედ ალის მიერ, რომელიც ოსმალეთის სულტანმა ეგვიპტის გამგებლად 1805 წელს დანიშნა. ეგვიპტიდან ნაპოლეონის წასვლის შემდეგ მუჰამედ ალის სურდა ოფიცერთა

თანამედროვე მეთოდებით აღზრდა. მას ამ მიზნის მისაღწევად იტალიიდან და საფრანგეთიდან გამოცდილი ოფიცრები ჩამოჰყავდა.

ოსმალეთის იმპერიაში ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო იანიჩართა კორპუსის განადგურება და მის ნაცვლად „მუჰამედის გამარჯვებული ჯარის“ დაარსება, რომელიც 30 ბატალიონისგან შედგებოდა. მაჰმუდ II აქაც დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. კერძოდ, ამ ჯარში ჩაწერა სურდათ არა იმისათვის, რომ პროფესიონალი ოფიცრები გამხდარიყვნენ, არამედ სიმდიდრის მოპოვებისა და პოლიტიკურად დაწინაურების მიზნით. 1830 წელს ამ ჯარის გასაწვრთნელად ევროპიდან ორი ოფიცერი ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარს მაღალი საბრძოლო დონე ჰქონდა, სამხედრო სკოლა ვერ გაიხსნა (ამის განხორციელება მხოლოდ 1835 წელს მოხერხდა). როგორც გერმანელი მხედართმთავარი და პრუსიის არმიის მთავარსარდალი ჰელმუტ ფონ მოლტკე ამბობდა, ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო საქმის დაქვეითებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: 1) უცოდინრობა. სამხედროებს განათლების ძალიან დაბალი დონე ჰქონდათ და არ იყვნენ პატიოსნები; 2) ხალხი ცუდად იღებდა ჯარისკაცის პროფესიას. სამხედროებს შორის კორუმპირებული მმართველობა, უწესრიგობა და უსამართლობა სუფევდა. ჯარისკაცად გახდომა მხოლოდ მუსლიმ მამაკაცს შეეძლო. სამხედრო სამსახურის ვადა 15 წელი იყო, შესაბამისად, არავინ იცოდა დაბრუნდებოდა თუ არა სახლში ცოცხალი, ამიტომაც, დეზერტირობა ხშირი იყო; 3) განათლებულ ოფიცერთა და მეთაურთა ნაკლებობა. მათმა უმრავლესობამ წერა-კითხვა მხოლოდ საკუთარი ხელმოწერის წაკითხვისა და დაწერის დონეზე იცოდა. არ იცოდნენ რას ნიშნავდა ბრძოლოს დაგეგმვა, არ ჰქონდათ ერთმანეთის ნდობა, არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამის შედეგი იყო ის, რომ ოსმალთა 80 000-იანი ჯარი მუჰამედ ალის 30 000-იანმა ჯარმა გაანადგუა. 4) ოსმალეთში არ იყო ოფიცრისთვის განათლების მიცემის ტრადიცია. დასავლეთში მეცხრამეტე საუკუნეშიც კი, განსაკუთრებით ინგლისსა და პრუსიაში, ოფიცრები ძირითადად არისტოკრატიული წარმომავლობის იყვნენ, მაშინ, როდესაც ოსმალეთში ჯარი მხოლოდ მონებისა და ტყვეებისგან იქმნებოდა. შედეგად, მოსახლეობაში არ იყო ნდობა ახლადშექმნილი ჯარის მიმართ.

ჰელმუტ ფონ მოლტკე

1835 წელს სტამბოლში პირველად გაიხსნა სპეციალური სამხედრო სკოლა. მასწავლებლები იყვნენ როგორც ადგილობრივი საინჟინრო სკოლის კურსდამთავრებული, ისე ევროპელები (5 ინგლისელი მასწავლებელი, ვენიდან ჯგუფი, საფრანგეთიდან 1 მასწავლებელი). ამ სკოლის გახსნის მიზანი იყო განათლებული, პროფესიონალი კადრების მიღება. ამ სასწავლებელში ირიცხებოდნენ არა მონები და ტყვეები, არამედ მდიდარი ფენის მამაკაცები.

შეიძლება ითქვას, რომ მაჰმუდ II-ის პერიოდი არის რეფორმათა დასაწყისი, რომელსაც გარკვეული პრობლემები ახლდა, თუმცა მაინც უდიდესი მნიშვნელობის იყო. მაჰმუდს რეფორმათა ახალი ეტაპის დაწყება სურდა, თუმცა გარდაიცვალა და ეს პატივი წილად ხვდა მის ვაჟს - აბდულ მეჯიდს (1839-1861).

1839 წლის 3 ნოემბერს გამოიცა სულტნის უმაღლესი ბრძანებულება, რომლის პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ ძველ დროში, როცა ოსმალეთის იმპერიაში ყურანის კანონებსა და წესებს იცავდნენ, სახელმწიფო უფრო ძლიერი იყო. შემდგომ, 150 წლის მანძილზე, ყურანმა ძალა დაკარგა. ღმერთის დახმარებითა და წინასწარმეტყველის შუამდგომლობით ახალ სულტანს სურდა ყურანის გავლენისა და ქვეყნის ძლიერების აღდგენა, ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ახალი რეფორმების საშუალებით. მანიფესტში იმპერიის ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა, უზრუნველყოფდა გადასახადების სამართლიანობას, საიჯარო სისტემის გაუქმებას, ჯარში გაწვევის წესის შეცვლას და სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის შემცირებას. დოკუმენტში აგრეთვე მოცემული იყო გარანტია სასამართლო პროცესების საჯაროობასა და მსჯავრდებულთათვის ქონების კონფისკაციის პრაქტიკის შეწყვეტაზე, ცხადდებოდა იმპერიის ქვეშევრდომთა თანასწორობა

სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიუხედავად, რაც ძირეულად ცვლიდა საგადასახადო სისტემას, რომელიც განსხვავებული იყო მუსლიმებისა და არამუსლიმებისთვის.



აბდულ მეჯიდ I, დედოფალი ვიქტორია და იმპერატორი ნაპოლეონ III

გასატარებელ რეფორმათა სია მიუთითებდა იმას, რომ ოსმალეთის იმპერიაში საერთოდ არ იყო დაცული ადამიანის უფლებები, სახელმწიფო ინსტიტუტები არ ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობას და ქვეყანაში კორუფცია იყო გამეფებული. ეს იყო ოსმალეთის იმპერიაში პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ნახსენები იყო მუსლიმისა და არამუსლიმის თანასწორუფლებიანობა. ეს დოკუმენტი საშუალებას აძლევდა არამუსლიმ მოსახლეობას დაეცვა საკუთარი უფლებები, რომლებიც სულტნის ბეჭდით იყო დადასტურებული. ამ დოკუმენტით ასევე მოხდა რელიგიის ოფიციალური გამიჯვნა სახელმწიფოსგან. ოსმალეთის იმპერიაში სეკულარიზმის დამცველი გახდა სულტანი.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ რეფორმათა შემაფერხებელ ფაქტორებს: ოსმალეთის საშინაო საქმეებში ევროპის სახელმწიფოთა ჩარევამ განაპირობა იმპერიაში შემავალ უმცირესობებში ეროვნულ გრძნობათა გაღვივება და აჯანყებები. ეგვიპტესთან კონფლიქტისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება გაუარესდა და კრიზისამდე მივიდა. პარალელურად, ქვეყანაში იყვნენ ძლიერი კონსერვატორები, რომელთაც ევროპეიზაცია ისლამის უარყოფასთან ჰქონდათ გაიგივებული. მათ დიდი ფულადი სახსრები გააჩნდათ, შესაბამისად, არ ემორჩილებოდნენ სულტანს და ქრთამით ცდილობდნენ საქმეების მოგვარებას. რეფორმების გატარებას ხელს უშლიდა რეფორმატორთა სიმცირე, რომლებიც ძირითადად ქვეყნის დედაქალაქ სტამბოლში იყვნენ თავმოყრილნი. ქვეყანაში არსებული განათლების დაბალი დონე განაპირობებდა ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტეს, რომელსაც თავის მხრივ გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ქვეყნის განვითარებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საგარეო და საშინაო პრობლემებისა, მოხდა განათლების სფეროს ნაწილობრივი სეკულარიზაცია, რაც სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მოხდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის ზრდა, დაიწყო წარჩინებულ სტუდენტთა გაგზავნა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. გამოიცა და ითარგმნა ბევრი წიგნი, რამაც სტუდენტებს ცოდნის გაღრმავების საშუალება მისცა. მაჰმუდ II-ის მმართველობის ხანა იყო გარდამტეხი პერიოდის დასაწყისი ოსმალეთის იმპერიაში. ქვეყანაში დაიწყო ნაციონალიზმის გაღვივება, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ოსმალეთის მოდერნიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს.

ავტორი - მარიამ ხაბულიანი

في الدنيا والآخرة لمسكم فيما أفضتم فيه عذاب
عظيم ۝ إذ تلقونه بألسنتكم وتقولون بأفواهكم
ما ليس لكم به علم وتحسبونه هينا وهو عند الله
عظيم ۝ ولولا إذ سمعتموه قلتم ما يكون لنا أن نتكلم
بهذا سبحانك هذا بهتان عظيم ۝ يعظكم الله أن
تعودوا لمثله أبدا إن كنتم مؤمنين ويبين الله
لكم الآيات والله عليم حكيم ۝ إن الذين يحبون أن
تشيع الفاحشة في الذين آمنوا لهم عذاب أليم في الدنيا
والآخرة والله يعلم وأنتم لا تعلمون ۝ ولولا فضل
الله عليكم ورحمته وأن الله رؤف رحيم ۝ يا أيها الذين
آمنوا لا تتبعوا خطوات الشيطان ومن يتبع خطوات
الشيطان فإنه يأمر بالفحشاء والمنكر ولولا فضل
الله عليكم ورحمته ما زكى منكم من أحد أبدا ولكن

სამიჰ ალ-კასიმის ლექსები

სამიჰ ალ-კასიმი ითვლება ერთ-ერთ უდიდეს პალესტინელ პოეტად, რომელიც 1929 წელს დაიბადა დრუზთა ოჯახში, ქალაქ ზარკაში (იორდანია). სწავლობდა რამასა და ნაზარეთის სკოლებში. სწავლის დამთავრების შემდეგ გაუჩნდა პოლიტიკური ინტერესები და გაწევრიანდა კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მოგვიანებით დატოვა და შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას. არა ერთხელ იყო დაპატიმრებული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და საპროტესტო ლექსების გამო. პოეტი წერდა ომსა და პალესტინელთა დანაკარგებზე. 30 წელს მიღწეული პოეტი ლექსების ექვსი კრებულის ავტორი იყო, რომელმაც დიდი პოპულარობა მოუტანა არაბულ სამყაროში. სამიჰ ალ-კასიმის შემოქმედებას ასევე მიეკუთვნება რამდენიმე რომანი. მის დაინტერესების სფეროს პალესტინის თეატრიც წარმოადგენდა, რომელიც მაღალი ხელოვნებისა და კულტურული გზავნილებით იყო სავსე, ამავე დროს იგი პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა, რამაც დიდი გავლენა იქონია არაბული სამყაროს დამოკიდებულებაზე პალესტინის საკითხთან დაკავშირებით. გარდაიცვალა 2014 წლის 19 აგვისტოს, მძიმე სენთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. დაკრძალულია რამაში.

მოკვეთილი ტუჩები

მინდოდა მოგესმინათ

ამბავი მკვდარ ბულბულზე,

მინდოდა მომეთხრო ეს ამბავი...

ტუჩები რომ არ მოეკვეთათ!

არ მიყვარხარ

მე არ მიყვარხარ სიკვდილო, მაგრამ...
არ მეშინია შენი,
ვიცი, ჩემი ტანია, შენი საწოლი,
და ჩემი სული, საბანი შენი...
ვიცი, რომ შენი ნაპირები,
ვიწროა ჩემთვის...
მე...
არ მიყვარხარ სიკვდილო, მაგრამ...
არ მეშინია შენი...

* * *

ერთ დღესაც, როცა მომკლავენ,
ჩემი მკვლელი, ჯიბეში იპოვის
სამგზავრო ბილეთებს,
ერთს მშვიდობისკენ,
ერთს ველების და წვიმისკენ,
ერთს ადამიანთა სინდისისკენ,
გთხოვ წყალს არ გაატანო ეგ ბილეთი,
ჩემო ძვირფასო მკვლელო,
გთხოვ, გაემგზავრე.

კედლის საათი

ჩემი ქალაქი დაეცა,
კედლის საათი დარჩა...
ჩვენი სამეზობლო დაეცა,

კედლის საათი დარჩა...

ქუჩა დაეცა,

კედლის საათი დარჩა...

მოედანი დაეცა,

კედლის საათი დარჩა..

ჩემი სახლი დაეცა,

კედლის საათი დარჩა...

კედელი დაეცა,

მაგრამ დარჩა

კედლის საათი.

ღამურები

ღამურები ჩემს ფანჯარაზე,

ჩემს ხმას სწოვენ,

ღამურები ჩემი სახლის შესასვლელში,

ღამურები გაზეთებს უკან,

და ზოგან კუთხეებში,

თვალს ადევნებენ ჩემს ნაბიჯებს

და ჩემს თავის ქნევას,

ღამურები სკამზე,

უკანა ქუჩაზე...

წიგნთა ზედაპირზე და

გოგონათა ფეხებზე,

სად შევაჩერებ მზერას!

ღამურები ჩემი მეზობლის აივანზე,

და ღამურები რაღაც მოწყობილობაში,

რომელიც კედელშია დამალული,

და ღამურები თვითმკვლელობის პირას.

მე გზას ვთხრი დილისთვის!

აქ ყველაფერი ცხადია

აქ ყველაფერი ცხადზე ცხადია,

ცეცხლის ვარდია ჩემს საყელოში,

ვამაყობ მისით გზის გადამკვეთი,

შეუმჩნეველი რომ რჩებათ მასებს,

ის არის დღემდე რაც ყელზე შემრჩა,

ყველაფერია, მშვიდობაც არის,

მე კი მცველი ვარ მისი სურნელის,

და მისი კარის მესაიდუმლე,

ჰანინიდან და შაბიბისაკენ,

ჩემი გრძნობები იქცევა ვნებად...

ცეცხლის ვარდია ჩემს საყელოში,

ის ბაღდადია, სირიაა და კაიროა,

ბეირუთია, ნაზარეთი, წმინდა მიწაა,

თატვანია და ქაირავანი...

მოგონებების აღმძვრელია...

ცეცხლის ვარდია ჩემს საყელოში,

ის არის ჩემი ქვეყანა და იმის იქითი...

აქ ყველაფერი ცხადზე ცხადია...

და მე კი ვინ ვარ...

ჩვეულებრივი არაბი ვარ, ერები მიყვარს,

მიუხედავად ყველა ტკივილის,

ჩვეულებრივი არაბი ვარ და მშვიდობა მინდა,

მიუხედავად იმისა, რაც მხრებზე მაყრია,

რითაც ჩემს მაჯას იწვევენ,

რითაც ჩემს კოჭებს იწვევენ,

ჩვეულებრივი არაბი ვარ და მშვიდობა მიყვარს,

მიუხედავად დამპყრობელთა უსამართლობის,

განუკითხავი ტირანიის, ბნელი ქაოსის,

მე ჩვეულებრივი არაბი ვარ...

და ჩემი სიტყვები, ჭეშმარიტი სიტყვებია,

მე ჩვეულებრივი არაბი ვარ,

და ჩემი კანონიერი ქვეყანა მე ვარ,

და ჩემი ადგილი აქ არის,

და ჩემი დასასრული აქ არის,

და ჩემი აღდგომა აქ არის,

და მე...

ჩემს ზურგზე მძიმე ლოდია, მაგრამ არ დავიჩოქებ...

არ დავიჩოქებ,

არ დავიჩოქებ,

მე ნათელი ვარ

და

ცხადზე

ცხადი!



არაბულიდან თარგმნა **თორნიკე ხურციძემ**

თანამედროვე ირანელ ავტორთა მინიმები

თანამედროვე სპარსულ პოეზიაში ხშირად შეხვდებით მინიმალისტურ ლექსებს, რომლის უბადლო ოსტატად ბიჟან ჯალალი (1927-2000) ითვლება. „არუზის“ სისტემის დარღვევამ საფუძველი დაუდო სპარსული პოეზიისთვის, ფაქტობრივად, ახალ სალექსო ფორმების წარმოშობას. მინიმალისტური ლექსიც ერთ-ერთი მათგანია.

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ირანელ პოეტთა შემოქმედებას ქართველი მკითხველი გიორგი ლობჟანიძის მეოხებით ძალიან კარგად იცნობს.

ამჯერად გთავაზობთ თანამედროვე ირანელ ავტორთა ზოგიერთ მინიმას, რომელიც სხვადასხვა ინტერნეტ-საიტებიდან ავიღეთ და ვთარგმნეთ.

* * *

არასდროს წამოგყვები

ყვავილნარში.

ვიცი,

იქ უსათუოდ დაგკარგავ.

ყველაზე რთული

საქმე

ამქვეყნად,

ყვავილთა შორის

შენი პოვნაა.

* * *

იმ დღეს,

წვიმაში მდგარი

შენთან ერთად,

დღევანდელ დღეზე ვფიქრობდი.

დღეს,

წვიმაში მდგარი

უშენოდ,

იმ დღეზე ვფიქრობ.

* * *

როცა მიყურებ, ვთვრები.

შენი თვალების ღვინო

რამდენი წლისაა?

ჰოსეინ თაბათაბაი

* * *

სიკვდილი ჩიტს

არ ათავისუფლებს.

ის მხოლოდ გალიას აცარიელებს,

სხვა ჩიტის სიკვდილისთვის.

ჰასან აზარი

* * *

ყველაზე ხანგრძლივი განშორება

ყოველთვის

მოკლე მისალმებით იწყება.

ვაჰიდ ემრანი

* * *

მზე ვარო-ასე მითხარი

და მეც ღრუბლად ვიქეცი.

გახსოვს,

რამდენი ვიტირე,

რომ უფრო ლამაზად გეკაშკაშა?

რასულ იუნანი

* * *

მე და ჩემი სატრფო

ვერასდროს შევხვდებით ერთმანეთს.

ის შემოდგომის ქარია,

მე-ხმელი ფოთოლი.

ის მოდის,

მე მივდივარ.

ალირეზა როუშანი

* * *

უშენობის წუთებს

ქვიშის საათით ვითვლი.

ერთმა უდაბნომ ჩაიარა.

* * *

თოჯინები არასდროს ბერდებიან,

გოგონები ყველაზე კეთილი

დედები არიან!

* * *

გუშინ

ხელის ღარებმა

შენი მოსვლა მაცნობეს.

დღეს კი

სახის ღარები

შენს წასვლას მაუწყებენ.

ეჰსან ფარსა

* * *

მარტოობა-

ეს ერთი ხის ტოტია ჩემს ფანჯარასთან,

ზოგჯერ ფოთლებით იმოსება,

ზოგჯერ-თოვლით,

მაგრამ არასდროს უჩინარდება.

* * *

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთზე ვფიქრობთ,

შენ - მაგიდასთან, პარიზის ერთ კაფეში,

მე - ჩემი ოთახის ფანჯარასთან, თეირანში

და არანაირი ხიდი არ არის საჭირო

ჩვენს შესაერთებლად,

გარდა სიყვარულისა,

რომელიც წლიდან წლამდე უფრო ბერდება.

რეზა ქაზემი

* * *

პოეზიისთვის არასდროს

ამირჩევიხარ.

პოეზიამ შემარჩია

შენთვის.

ჰოსეინ მონზავი

* * *

ანბანი

საუბრისთვის კი არა,

შენი სახელის დასაწერად არსებობს.

შამს ლანგერუდი

* * *

მთელი მსოფლიოს ქალები,

იმ მამაკაცთათვის, რომლებიც უყვართ,

შარფს ქსოვენ.

მე კი

აქ ვზივარ

და ლექსებს გიქსოვ.

ნასთარან ვოსუყი

* * *

წვიმა,

შენ და ერთი უსასრულო ხეივანი.

სამყაროს ვეუბნები:

„ნახვამდის“.

გარუს აბდლოლმალექიანი

* * *

ეს უსამართლობაა.

მე ვბერდები,

შენ კი ჩემს წარმოდგენაში

ზუსტად ისეთი ხარ, როგორც იმ დღეს,

როცა მიმატოვე,

ლამაზი და ნორჩი...

ამიტომაც არავის არ სჯერა,

რომ ჩემი სატრფო იყავი.

ქამრან რასულზადე

* * *

ქუჩიდან,

სადაც პირველად გაკოცე,

ყოველ დილით

გაზაფხულის სურნელი

მოდის.

ქეივან მეჰრეგანი

სპარსულიდან თარგმნა **გიორგი ხულორდავამ**

ჩინუა აჩებე - შაქრის ბიჭუნა

ჩინუა აჩებე ცნობილი აფრიკელი მწერალია. დაიბადა 1930 წლის 16 ნოემბერს, აღმოსავლეთ ნიგერიის ერთ-ერთ სოფელში, ეთნიკურად იგბოს ოჯახში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ლექციებს კითხულობდა ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში. 1958 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა პირველი რომანი "Things Fall Apart", რომელიც დღემდე ავტორის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებად მიიჩნევა. რომანი ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე და გაიყიდა მისი 10 მილიონი ეგზემპლარი. 2007 წელს მწერალმა ამ რომანისთვის „ბუკერის საერთაშორისო პრემია" მიიღო.

ნიგერიის სამოქალაქო ომის დროს (1967-1970) აჩებე იყო თვითგამოცხადებული ბიაფრას რესპუბლიკის დიპლომატი. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ბიაფრაზე კონტროლის აღდგენის შემდეგ აჩებე იძულებული გახდა მცირე ხნით დიდ ბრიტანეთში გაქცეულიყო. ცხოვრების უკანასკნელი წლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინვალიდის სავარძელში, გაატარა. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. გარდაიცვალა ბოსტონში, 2013 წლის 22 მარტს.

მწერლის კალამს ეკუთვნის რამდენიმე რომანი, ასევე მოთხრობები, ნოველები და ლექსები. მის ნაწარმოებებში ჩანს ავტორის ორგანული კავშირი აფრიკულ კულტურასთან, მითოლოგიასთან, ყოველდღიური ცხოვრების წესებთან და პოლიტიკასთან. ჩინუა აჩებე სამართლიანად ითვლება „აფრიკული ლიტერატურის მამად".

საქართველომ ჩინუა აჩებე გაიცნო გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა". გთავაზობთ მწერლის შემოქმედების პირველ ქართულ თარგმანს მისი პატარა მოთხრობის სახით.

შაქრის ბიჭუნა

ამ უცნაური მოქმედების ხანმოკლე, იმპულსურ მომენტში შევნიშნე, თუ როგორ გაიელვა მის სახეზე მძვინვარე გამომეტყველებამ და ყველაფერს მივხვდი. არ ვამბობ აქტის სიმბოლიკაზე, ჩემი აზრით, ეს სავსებით ზედაპირული და აშკარა იყო. არა. ვგულისხმობ საკმაოდ მომაკვდინებელ სერიოზულობას.

ეს გრძელდებოდა ერთი ან ორი წამის განმავლობაში, ზუსტად იმდენი ხანი, რამდენიც საჭიროა ჯამში ხელი რომ ჩაუშვა, მუჭით შაქარი ამოიღო და ფანჯრიდან გადაყარო. მისი კვადრატული ყბა სასტიკად მოიღრიცა, მაგრამ ეს გამომეტყველებაც მალევე დაიხაფა სათნო და დაბნეულ ღიმილში.

- აჰ, აჰ... რატომ? - განცვიფრებული და ერთიანად დაბნეული ხმით იკითხა იქ მყოფი ორი სტუმრიდან ერთ-ერთმა, შესაძლოა ორივემ.

- მხოლოდ იმისთვის, რომ შაქარს ჩემი სიძლიერე ვანახო. დადგა დღე, როცა ხელი მიმიწვდება მასზე და თუ მოვისურვებ, მისი გადაყრაც კი შემიძლია.

ორივე სტუმარმა გადაიხარხარა. კლეტიც შეუერთდა მათ, მაგრამ მოკრძალებულად იცინოდა. მეც გამეღიმა.

- სასაცილო კაცი ხარ, კლეტ! - თქვა უმერამ, რომელსაც სიცილისაგან ვეება სხეული უცახცახებდა და თვალები უბრწყინავდა.

მალევე შევუდექით კლეტის მიერ შემოთავაზებული ჩაის სმას და მარგარინიანი პურის ნაჭრების ღეჭვას.

- მართალია, - შენიშნა უმერას მეგობარმა, რომლის სახელიც ვერ გავიგონე. – ჯანდაბასაც წაუღია შაქრის თავი!

- ამინ!

- მალე კარაქის ჯერიც მოვა, განაცხადა უმერამ. – გთხოვთ, მომიტევოთ ჩემი ცუდი ჩვევა. მან პურის ნაჭერი ჩაიში ჩააწო, წვეთებ-წვეთებით ჩაიტენა უზარმაზარ პირში და თავი გადააქნია. „აი, როგორ ვისწავლე მე პურის ჭამა“ - ამოილუღლუღა სავსე და სველი პირით. შემდეგ კიდევ მოტეხა ნაჭერი, ამჯერად უფრო პატარა და ფანჯრისკენ მოისროლა. – „მიდი შაქართან, ორივეს მოგეჭრათ თავი!“

- ამინ!

- მოუყევი მათ ჩემი და შაქრის ისტორია, მაიკ, მოუყევი! - მითხრა კლეტმა.

- ნუ, - დავიწყე მე - განსაკუთრებულად მოსაყოლი არც არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემი ძვირფასი კლეტი, ჩვენი მეგობარი ინგლისელების თქმისა არ იყოს, ტკბილეულის მოტრფიალეა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ინგლისელები თავშეკავებული ხალხია და ალბათ არც აქვთ სახელი, რომელიც ზუსტად გადმოსცემს კლეტისა და მისი ოცდათორმეტი კბილის მსგავს მოვლენებს.

ეს ჩემი წარღვნისდროინდელი ხუმრობა გახლდათ, მაგრამ უმერამ და მისმა მეგობარმა პირველად გაიგეს და ხარხარით დაასაჩუქრეს. ეს კარგიც იყო… არ მსურდა რეალური ისტორიის მოყოლა, რასაც კლეტი მთხოვდა. ჩემდა გასახარად, უმერა და მისი მეგობარი უკვე სულ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ თავიანთი პრობლემების შესახებ. იმ დროს ჩვენ ვგავდით იპოქონდრიით დაავადებულ ბებრუხანა ქალებს, რომელთაც ერთი სული აქვთ ისაუბრონ საკუთარი დაჩაჩანაკებულობის ყველაზე პირქუში დეტალების შესახებ.

მე ეს ყველაფერი წამებად მიმაჩნდა, გაუსაძლის საცოდაობად… არასდროს მქონია ზოგიერთი ადამიანის (თუნდაც კლეტის) უნარი, გადამექცია ნებისმიერი რამ კარგ მოთხრობად. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ტკივილი ჩემზე უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე მასზე, მაშინაც კი, როცა ეს მისი ტკივილია და არა ჩემი. თავში აზრად არასდროს მომივიდოდა შაქარზე მოპოვებული გამარჯვების ასე სასაცილოდ აღნიშვნა. ამის შემყურეც კი შევწუხდი. ეს ყველაფერი მაგონებდა ადამიანს, რომელმაც დასალევი შემომთავაზა დილის გაზეთში ნანახის აღსანიშნავად - მომკვდარიყო ის ყმაწვილი, ოდესღაც მისი ცოლი რომ შეაცდინა. ასეთ დროს დასალევი ყელში სარივით გამერჭობა. ტრიუმფატორი ჩემში სიბრალულსა და ზიზღს იწვევს, ხოლო ის მამაცი ადამიანი, რომელმაც მას რქები ოდესღაც დამსახურებულად დაადგა - აღფრთოვანებას.

კლეტისთვის შაქარი მხოლოდ შაქარი არ იყო. ეს საკვები მის ცხოვრებას ასატანს ხდიდა. ომის უკანასკნელი თვრამეტი თვის განმავლობაში ჩვენ ერთად ვცხოვრობდით და ვმუშაობდით, ამრიგად მისი ტანჯვა და ბევრი დამამცირებელი დამარცხება ჩემ ცხვირწინ ხდებოდა. მისი მიდრეკილების არასდროს

მესმოდა და არც გულწრფელი თანაგრძნობის გამოხატვა შემეძლო. მანამ, სანამ შუადღეობით მქონდა ერთი გარი-მილი[6], არც კი ვფიქრობდი სადილზე ან ვახშამზე. მართალია, თავდაპირველად მეც მაწუხებდა ხორცისა თუ თევზის ნაკლებობა და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა - უმარილო სუპი, მაგრამ ომის მეორე წელს ამას სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. კლეტი კი უფრო და უფრო ავადმყოფურად ეჭიდებოდა თავის შაქარს და ჩაის. ყოველდღე, როცა სულიერ დაცემას გრძნობდა, მოთხოვნილება იმ პროდუქტის მიმართ უფრო ეზრდებოდა, რომელიც არ გააჩნდა. არ დამიწყია გამოძიება თუ როგორ აეკიდა ეს უჩვეულო გემოვნება; როგორც ჩანს, სიმსივნის ერთი უჯრედივით გაჩნდა ლაბროუკ-გროუვის შავ კვარტლებში, ზამთრის პირქუში დღეებისა და ღამეების ჟამს.

ყავისა და ჩაის სხვა მოყვარულები დიდი ხნის წინ მიხვდნენ, რომ სითხე შავი და მწარე სახით უნდა დაელიათ, თუკი დალევის საშუალება საერთოდ მიეცემოდათ. შემდეგ მათი ტანჯვა რომელიღაც უცნობმა გენიოსმა თავისი აღმოჩენით შეამსუბუქა. იგი მიხვდა, რომ შავ ყავაში ქოქოსის მარცვლის დამატებით საშინელი სიმწარე თითქმის მთლიანად იკარგება. ამგვარად გაჩნდა petit dejeuner[7]. მაგრამ კლეტს, როგორც სიკვდილისთვის განწირულ ადამიანს, ან ყველაფერი უნდოდა, ან არაფერი. უკვე ვთქვი, რომ მოთმინებას მაკარგვინებდა? დიახ, ხდებოდა ხოლმე. მაგრამ მეტწილად მეგობრის ამბავი მაწუხებდა და დიდად არ ვუწყრებოდი მას. და საერთოდ, გულწრფელად რომ ვთქვა, შაქარზე დამოკიდებულება რითი იყო ჩვენ დროში გავრცელეულ სხვა მიდრეკილებებზე უფრო ირაციონალური? არც არაფრით. უფრო მეტიც, ის არავის უქმნიდა საფრთხეს, დანარჩენებისგან განსხვავებით.

ერთ დღესაც კლეტი სიცოცხლით სავსე მოვიდა სახლში. მისთვის უცხოეთიდან დაბრუნებულ ვიღაც ტიპს ხელოვნური დამატკბობელი ნივთიერების ორი დუჟინი ტაბლეტი სამ ფუნტად მიეყიდა. ადუღებული წყლისთვის მან პირდაპირ სამზარეულოსკენ გასწია. შემდეგ ჩანთის საიმედოდ ჩაკეტილი ჯიბიდან თუნუქის ქილა ამოიღო. მასში ედო ხსნადი ყავა (ჩაი უკვე აღარ ჰქონდა), რომელიც მყარ მასად ქცეულიყო. არაფერი მოსვლია! - მარწმუნებდა ისევ და ისევ, მიუხედავად იმისა, რომ მე კრინტიც არ დამიძრავს. - ეს ტენიანობის გამოა, სუნი საერთოდ არაა გაფუჭებული. მან შიგთავსი დაყნოსა, დანით გაჭრა ორი მცირე, გაქვავებული ნაჭერი და ორი ფინჯანი ყავა მოამზადა. შემდეგ დაჯდა და ნეტარი სახით სკამის საზურგეს მიეყრდნო.

ძლივს გავუძელი დამტკბობის დაგემოვნებას. ამ ბლანტი მასის ყოველი ყლუპი ხანგრძლივი და გულისამრევი იყო. პირი ნერწყვით მევსებოდა. ვსვამდით ხმის ამოუღებლად. კლეტი მოულოდნელად წამოხტა და გარეთ გავარდა, რათა გულისრევის შეგრძნებისგან თავი დაეღწია. მხოლოდ მაშინ შევწყვიტე ჩემი მწვალებლური მცდელობა ბოლომდე დამელია ფინჯანში დარჩენილი სითხე.

როცა დაბრუნდა, ბოდიში მოვუხადე. კლეტს კრინტიც არ დასცდენია. პირდაპირ საკუთარი ოთახისკენ გაემართა, იქიდან ჭიქით წყალი გამოიტანა და პირის გამოსავლებად ისევ გარეთ გავიდა. რამდენიმე ამობუყბუყების შემდეგ ჭიქაში დარჩენილი წყალი მუჭზე დაისხა და სახე დაისველა. შემოსვლისას ისევ ბოდიში მოვუხადე, მან კი მხოლოდ თავი დამიქნია.

მოგვიანებით ის ჩემთან შემოვიდა:

- შენ ხომ არ გინდა ეს? - პატარა ტაბლეტები დაუფარავი ზიზღით გამომიწოდა. (გასაოცარია, როგორ შეუძლია ერთჯერად გულისრევას მთლიანად დააუძლუროს ადამიანი).

- არა, ნამდვილად არ მინდა, მაგრამ შეინახე, ვინმეს ალბათ დასჭირდება და დიდხანს ძებნა არ მოგვიწევს.

ის ან არ მისმენდა, ან უბრალოდ არ შეეძლო ამ ტაბლეტებთან ახლოს ცხოვრება, არცერთი წუთით. კლეტი მესამედ გავიდა გარეთ და ისინი იმავე ბალახებისკენ მოისროლა, რომელზეც ახლახანს აღებინა.

---

[6] გარი მილი, ან უბრალოდ გარი - დასავლეთ აფრიკაში გავრცელებული კერძი, რომელიც მზადდება კასავას გორგლებისგან.

[7] საუზმე (ფრ.)

ჩემი მეგობარი, ალბათ, ისეთ იმედს ამყარებდა შაქრის ამ უვარგის შემცვლელზე, რომ უეცარმა იმედგაცრუებამ სულიერად გატეხა და ნერვული აშლილობის ზღვარზე დააყენა. მომდევნო ორი დღე მან ლოგინში გაატარა, არც დილაობით გამოსულა დირექტორატში სამუშაოდ და არც საღამოობით წასულა შეყვარებულთან, მერსისთან შესახვედრად, როგორც მას სჩვეოდა ხოლმე.

მესამე დღეს მოთმინება საბოლოოდ დავკარგე და უკმეხად მოვახსენე ორიოდე სიტყვა გადარჩენისთვის მიმდინარე ბრძოლის შესახებ. თან ის რიტორიკა მოვიშველიე, რომელსაც აგიტატორები რადიოში იყენებდნენ.

- ჯანდაბას შენი ომი! ჯანდაბას შენი გადარჩენა! - დამიყვირა მან, მაგრამ მალევე მოეგო გონს და თავისი რეაქციის შერცხვა. ამის შემდეგ მეც მოვლბი და მის მაგივრად დავიწყე შაქრის შესახებ სერიოზული გამოძიება.

დირექტორატში ერთმა მეგობარმა მომითხრო ვინმე მამა დოერთის შესახებ, რომელიც ჩვენგან ათი მილის მოშორებით ცხოვრობდა და მთელი ოლქის „კარიტასის“ [8] ჰუმანიტარული დახმარების მარაგს აკონტროლებდა. ამ მეგობარმა, საკმაოდ ცნობილმა და განსწავლულმა კათოლიკემ, გამაფრთხილა:

- მამა დოერთი, მიუხედავად იმისა, რომ კარგი და დიდსულოვანი ადამიანია, საკმაოდ არაპროგნოზირებადიცაა, განსაკუთრებით ბოლო დროს, მას მერე, რაც თავში ჭურვის ნამსხვრევები მოხვდა.

მომდევნო შაბათს მე და კლეტი გზას დავადექით. ჩვენდა გასაკვირად, მამა დოერთის ძალიან კარგ გუნებაზე მყოფს წავაწყდით. იგი ზედიზედ ექვსი ღამის განმავლობაში, კუნაპეტ სიბნელეში, განუწყვეტელი საჰაერო დაბომბვის ქვეშ, აეროპორტში ჰუმანიტარული დახმარების თვითმფრინავების დაცლას ხელმძღვანელობდა. სახლში ჩვეულებრივ დილის შვიდ საათზე ბრუნდებოდა და მხოლოდ ორი საათით ახერხებდა თვალის მოტყუებას. ღვთისმსახურმა ჩვენი შექება თავიდან აირიდა და გვითხრა, რომ კვირა გამოშვებით მუშაობდა:

- ამაღამ ვიმუშავებ და მერე შვიდი დღე ჩემ გემოზე გამოვიძინებ.

მის სასტუმრო ოთახში რძისა და კვერცხის ფხვნილების, გამომშრალი თევზის და სხვა საქველმოქმედო პროდუქტის სუნი იდგა, რის გამოც სუნთქვა შეუძლებელი იყო. მამა დოერთიმ თვალები ხელისზურგით მოისრისა და გვკითხა, თუ რით შეეძლო ჩვენი დახმარება. შემდეგ ისე, რომ ჩვენ ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარით, უსიცოცხლოდ ადგა და ხელი გაიწოდა დიდი თერმოსისკენ, რომელიც წიგნების თაროს თავზე იდგა. თარო ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით მასში თავშეფარებულ პაწაწინა ჯვარცმას. მამა დოერთიმ გვკითხა, ყავას მივირთმევდით თუ არა. შემოთავაზებას ჩვენ იმაზე ფიქრში დავთანხმდით, რომ „კარიტასის“ ნამდვილ ციტადელში, სადაც ჰაერიც კი ქველმოქმედებით იყო გაჟღენთილი, ყავა უკვე გულისხმობდა შაქარსა და რძეს. ვიფიქრე, რომ მე და კლეტი მამა დოერთისთან ყველაფერს შესანიშნავად მოვაგვარებდით, მით უმეტეს, რომ აღფრთოვანებული ვიყავით საკუთარი ხალხის სამსახურში გამოვლენილი მისი თავდადებითა და სიმამაცით. თუმცა მან თავი აარიდა ჩვენს გულწრფელ შექებას (რომ

[8] კარიტასი - კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია.

არაფერი ვთქვთ პირფერობაზე), მიუხედავად იმისა, რომ ეს ის იარაღია, რომლის წინაშეც წმინდანებიც კი უძლურნი არიან. მღვდელმსახური სხვა ოთახში გაუჩინარდა და იქიდან გამოიტანა სამი საშუალო ზომის, მკრთალი-ლურჯი პლასტმასის ჭიქა და ყავა დაასხა. ამ პროცესში სითხე თითზე ესხმოდა და ძველი თერმოსის უხეირობის გამო ბოდიშს იხდიდა.

მე ზრდილობიანად დავიწყე ყავის სმა და თვალის კუთხიდან კლეტს ვზვერავდი. მან ყავა მოწრუპა და პირში დაიგუბა.

- მაშ ასე, რით შემიძლია დაგეხმაროთ? - გვკითხა მამა დოერთიმ, ისევ დაამთქნარა და პირზე ხელისგული აიფარა.

პირველად მე დავიწყე საუბარი. თივის ცხელება მაწუხებდა და ანტიჰისტამინური ტაბლეტები მჭირდებოდა, თუ მას მოეძებნებოდა მარაგში.

- რასაკვირველია! - თქვა მან - უთუოდ, მე მაქვს ზუსტად ის, რაც თქვენ გჭირდებათ. მამა ჟოზეფიც იგივეს უჩივის, ასე რომ საჭირო პრეპარატი ყოველთვის რეზერვში მაქვს.

ის ისევ გაუჩინარდა მეორე ოთახში, ჩემამდე კი მისი ხმა აღწევდა: „თივის ცხელება, თივის ცხელება, თივის ცხელება...“, ისე ბუტბუტებდა, როგორც ადამიანი, რომელიც წიგნებით სავსე კარადაში საჭირო წიგნის სათაურს ეძებს და შემდეგ საზეიმოდ აღნიშნა: „აჰა, აი სად ვყოფილვართ“. მალევე გამოჩნდა პატარა ფლაკონით ხელში.

- აქ ყველაფერი გერმანულადაა - შენიშნა მან, როცა ფლაკონს დახედა. – კითხულობთ გერმანულად?

- არა
- არც მე. მოსინჯეთ დღეში სამჯერ და იქ გამოჩნდება თავს როგორც იგრძნობთ.
- მადლობა, პადრე!
- შემდეგი! - მხიარულად წამოიძახა მან.

ტაბლეტების მოსაძებნად მამა დოერთის ოთახიდან გასვლამ კლეტს შესაძლებლობა მისცა ფინჯანში არსებული ყავის უმეტესობა პირში ჩაეგუბებინა, იგი სწრაფად მივიდა მის ზურგს უკან მდებარე დაბალ ფანჯარასთან, თავი გადაყო და გადააფურთხა.

- თქვენ რა გსურთ? გახსოვდეთ, მხოლოდ ერთი თხოვნა! - უფრო ხალისიანად წარმოთქვა მამა დოერთიმ.

- პადრე, - საზეიმოდ განაცხადა კლეტმა. - მე ცოტა შაქარი მჭირდება.

იმ მომენტიდან, როცა ჩვენ ამ სახლის ზღურბლს გადავაბიჯეთ, იმაზე ვღელავდი, თუ როგორ შეფუთავდა კლეტი თავის თხოვნას, სიტყვების რა ფორმულირებას გამოიყენებდა. ის კი ასე სუფთად და მარტივად გამოძვრა, როგორც გულიდან ამოსული შეულამაზებელი სიმართლე. მე მომხიბლა მისმა საქციელმა, იმიტომ რომ ვიცოდი, ვერასდროს შევძლებდი იგივეს. შესაძლოა, მამა დოერთი მას გაუცნობიერებლად დაეხმარა შექმნილი ვითარებით, თვალში საცემი მითოლოგიური სიმარტივით, რომ არაფერი ვთქვათ მხიარულებაზე. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, მან ყველაფერი სწრაფად და ერთბაშად დაანგრია, როგორც ჭირვეული ბავშვი მიარტყამს ხოლმე წიხლს ქვიშისგან აშენებულ ჯადოსნურ სასახლეს, რომელიც სულ ახლახანს თავად ააგო. ღვთისმსახურმა კლეტს ყვირილით საყელოში ხელი ჩაავლო: „არამზადა! არამზადა!“ და კინწისკვრით გააგდო გარეთ. შემდეგ მე მომიტრიალდა, მაგრამ სხვა კარი უკვე ნაპოვნი მქონდა და მისი დახმარების გარეშე გავედი. ის გაშმაგებული ლაპარაკობდა, იგინებოდა და ფეხებს საბოლოოდ გახელებული ადამიანივით აბაკუნებდა:

- ღმერთო, გევედრები, დაიმახსოვრე წმინდა სულის ასეთი შეურაცხყოფა, როცა განკითხვის დღეს მოგვივლენ! შაქარი! შაქარი!! შაქარი!!! - თავისი ხრიწიანი ხმით იგი უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდა. - შაქარი მაშინ, როდესაც ათასობით უცოდველი ღვთის შვილი ყოველდღიურად ერთი ჭიქა რძის უქონლობის გამო კვდება!

საკუთარი სიტყვებით დაქოქილი ახლა გარეთ გამოვარდა და ჩვენკენ გამოეშურა. ჩვენ კი გაქცევის გარდა არაფერი დაგვრჩენოდა. მივრბოდით მისი უწმინდესობის წყევლის ზარების ქვეშ.

მე და კლეტმა საძაგელი ერთი საათი გზაჯვარედინზე ენაჩავარდნილებმა გავატარეთ, შეწუხებულები ამაფომდე ტრანსპორტის გაჩერებას ვცდილობდით, მაგრამ საბოლოოდ ისევ ფეხით მოგვიხდა ათი მილის გავლა, ახლა უკვე საზიზღარ სიცხეში და შუადღის საჰაერო თავდასხმების შიშის ქვეშ.

სავარაუდოდ, ამ ისტორიის მოყოლას მთხოვდა კლეტი ჩვენი პირველი ჩაის სმის აღსანიშნავად. შემეძლო მე ამის გაკეთება? დიდი ხნის გასვლის შემდეგაც კი ვერ ვახერხებდი მასში გამარჯვების დანახვას, ეს მხოლოდ დამარცხება იყო. მითუმეტეს არა ერთადერთი. თანაც, ყველაზე მახინჯი წინ გველოდა.

მამა დოერთისთან შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებამ „მისიით წასასვლელად“ ამარჩია. „მისია“ საკმაოდ ხმამაღლა იყო ნათქვამი - ეს ერთგვარად წარმოადგენდა ღარიბი ადამიანის მოგზაურობას, რომელიც გრძელდებოდა მხოლოდ ერთი კვირა და არაუშორეს სან-ტომესი - ზღვისგაღმა მდებარე პორტუგალიური კუნძულისა. მიუხედავად ამისა, მე ძალიან მიხაროდა, რადგან საზღვარგარეთი მაინც საზღვარგარეთია. მითუმეტეს, ბიაფრიდან ომის დაწყების შემდეგ არ გავსულვარ - ეს ფაქტი მეგობრების თვალში უმნიშვნელო ადამიანის სახეს მიქმნიდა, ახლა კი ამის შეცვლა შემეძლო. რაც ყველაზე მთავარია, შანსი მქონდა უცებ სოციალური სტატუსისა და მდიდრული ცხოვრების სიმბოლოებად ქცეული, ისეთი მოკრძალებული საყოფაცხოვრებო საგნებით შევმთბარიყავი როგორიცაა: საპონი, პირსახოცი, საპარსი ფირფიტები და ა.შ.

გამგზავრების წინა დღეს ჩემს სახლში უამრავი ხალხი შეიყარა. თავიანთი სურვილების სათქმელად ახლო მეგობრები, ამხანაგები, უბრალო ნაცნობები, სრულიად უცნობები და უახლოესი მტრებიც კი მოვიდნენ. ეს პროცესი უკვე რიტუალი გამხდარიყო, ერთგვარი ფესტივალი, რომლის ძველთაძველი მნიშვნელობა ღრმად იყო ჩამარხული ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში. ვიღაც იღბლიანი კაცი მისიით მიდიოდა თითქმის მისტიკურ სამყაროში, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის მიუწვდომელი გახლდათ. იმ სამყაროში ჯერ კიდევ უხვად იყო დოვლათი და უსაფრთხოება სუფევდა. ყველა მოდის ამ იღბლიან კაცთან სურვილების ჩასაფიქრებლად. იღბლიანი კაცი კი ყველა თხოვნაზე ერთ პასუხს იძლევა: „შევეცდები, აუცილებლად, მაგრამ თქვენ ხომ იცით, პრობლემა ისაა, რომ...“

- კი, კი, რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ თქვენ მაინც ეცადეთ…“ და არანაირი რეალური იმედი, არანაირი აუცილებლობა და ვალდებულება.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ, ნამდვილად სერიოზული შეკვეთები მოდიოდა. ასეთი თხოვნებისთვის სიტყვები არ იყო საჭირო, მხოლოდ ერთი პატარა ფურცელი ჰყოფნიდა, მასზე მიკრული „უცხოური ვალუტით“. ზოგიერთს მარილი უნდოდა, რომელიც მძიმე წონის გამო ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ შემოჰქონდათ. საკმაოდ ბევრი თავისთვის ან თავისი გოგონებისთვის საცვლებს ითხოვდა. ერთმა თავხედმა კონტრაცეპტივებიც კი შემიკვეთა. როგორც მე მას ვუთხარი, კონტრაცეპტივებს ვთვლიდი სამსახურეობრივი საქმიანობის დაგეგმისთვის საჭირო, მაგრამ ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ საშუალებად, რამაც იქ შეკრებილი ადამიანები გაახალისა. ქაღალდით ხელში მხიარულად დავფუსფუსებდი ოთახში და ვიმეორებდი: „მხოლოდ ერთი სურვილი! მხოლოდ ერთი სურვილი!“.

დიახ, უახლოესი მტრებიც მეწვივნენ. მაგალითად, ერთი აყლაყუდა, გზის იქითა მეზობელი. წარსულში, როგორც ითქვა, პროტესტანტი მღვდელი ყოფილა, ახლა კი რაღაც ცოდვის გამო ანაფორააყრილი დადიოდა. ეს ადამიანი იყო ყველაზე მედიდური და ყეყეჩი არსება, რაც კი არსებობდა. მან ომის დასაწყისში გაიძვერულად ჩაიგდო ხელში თანამდებობა და ახლა მთავრობის მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი დეფიციტური საქონლის განაწილებას ხელმძღვანელობდა, უმთავრესად ქალების ტანსაცმლისთვის საჭირო ქსოვილების. ის ნიკოდემოსივით მობრძანდა, ძლივს შევიკავე თავი რომ კინწისკვრით არ გამეგდო. დღემდე თავი ისე ეჭირა, თითქოს ჩვენ მისთვის საერთოდ არ ვარსებობდით, ახლა კი მოსვლა ინება, უფრო მეტიც, ცხენზე ამხედრებულ ამირასავით ტორტმანებდა და „ერინმორის“ თამბაქოს სურნელება მოჰქონდა. მას აინტერესებდა, შემეძლო თუ არა მისთვის მეყიდა სპეციალური პომადის ორი ფლაკონი ჭაღარა თმის შესაღებად და 5 დოლარიანი გამომიწოდა. და ეს მაშინ, როცა მე ჯერ კიდევ მახსოვდა ამ არამზადას

საქციელი: ერთხელ ჩემი მეგობარი ქალი მასთან ლიფის საყიდლად მივიდა, მან კი სანაცვლოდ რომელიღაც მიყრუებულ სოფელში შაბათ-კვირის გატარება შესთავაზა.

ისედაც მიზერული თანხიდან ყოველდღიურად ლანჩზე ფულს ვზოგავდი და კვირის ბოლოსთვის უცხოური ვალუტა საკმარისად მომიგროვდა, რომ ჩემთვის რაღაც-რაღაცები მეყიდა, მათ შორის ალერგიის ტაბლეტები (ფლაკონი, რომელიც მამა დოერთიმ მომცა, სწრაფი უკუქცევის დროს დამავიწყდა). ყველაზე მეტად ის მახარებდა, რომ კლეტისთვის ლიპტონის ერთი ქილის და შაქრის ორი, ნახევარგირვანქიანი პაკეტის ყიდვა მოვახერხე. წარმოიდგინეთ თავზარდაცემა და მძვინვარება, როცა შაქრის ერთი პარკი აეროპორტში პასპორტის შემოწმების დროს მომპარეს (როცა თვალები მომენტალურად ავარიდე ჩემს ბარგს). ეს პარკი რომ არ აეწაპნათ, შესაძლოა, კლეტს თავიდან აეცილებინა ყველაზე დამამცირებელი დამარცხება, შემდგომში შაქრისგან რომ ელოდა.

სან-ტომედან ჩემი დაბრუნების დღეს მასთან (და ჩემთან) მერსი მოვიდა. მე მას „ლუქსის“ საპონი და ხელის კრემის პატარა ტუბი ჩამოვუტანე. ის სიხარულისგან ჭკუაზე არ იყო.

- ჩაის დალევ? - ჰკითხა კლეტმა.

- კი, სიამოვნებით! - ამოიკრუტუნა მან ნაზი ხმით. - ჩაი გაქვს? მაგარია! შაქარიც! მაგარია! მაგარია! ცოტა უნდა ავიღო.



მე ეს არ დამინახავს, ალბათ გახსნილ პაკეტში ხელი ჩაყო და მუჭით შაქარი ამოიღო, რათა თავის ხელჩანთაში ჩაეყარა. ამის შემხედვარე კლეტმა ცხელი წყლით სავსე ჩაიდანი იატაკზე დააგდო და გოგონას თავს დაესხა, ეს უკვე კარგად დავინახე. თავიდან მერსიმ ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი მეგობარი მამაკაცის უცნაური ხუმრობა იყო. მაგრამ მე ხომ ვიცოდი რაშიც იყო საქმე და იმ მომენტში მზად ვიყავი კლეტი სიცოცხლის ბოლომდე შემძულებოდა. მან გოგონას ზუსტად ის ხელი დაუჭირა, რომლითაც შაქარი ეჭირა და კბილების ჭრაჭუნით დაუწყო თითების გახსნა.

- კლეტ! შეწყვიტე! - ვუთხარი მე

- გეყოფა, ნაგავო! - შეუბღვირა მან. - გული მერევა, ამათზე, დამღალეს უკვე, ყველა ერთმანეთს ჰგავს, მარტო წაგლეჯვაზე ფიქრობენ.

- გამიშვი! - ატირდა მერსი. ბრაზისა და სირცხვილის უეცარი ცრემლები მას უკვე სახეზე ჩამოსდიოდა. გოგონამ როგორღაც მოახერხა ძალების მოკრება და ხელი გაითავისუფლა. შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და კლეტს შაქარი სახეში შეაყარა, ხელი წაავლო თავის ხელჩანთას და გარეთ ტირილით გავარდა. შაქრის ექვსიოდე ნატეხი კლეტმა საგულდაგულოდ აკრიფა.

- სემ! - დაუყვირა კლეტმა მოსამსახურე ბიჭს. - კიდევ დადგი წყალი ასადუღებლად! შემდეგ შემომიბრუნდა და მომიგო:

- მაიკ, შენ უნდა მოუყვე ჩვენს მეგობრებს იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც შაქართან ვაწარმოე. ამ დროს მისი თვალები გიჟურმა მოგონებებმა დაფარა.

- სკოლაში მას შაქრის ბიჭუნას ეძახდნენ - ვთქვი და ისევ თავიდან ავიცილე კლეტის თხოვნა.

- ოჰ, მაიკ, ისტორიების მოყოლის აზრზე არ ხარ. ნეტავ ვინ გირჩია პროპაგანდის დირექტორატში დაგეწყო მუშაობა. სტუმრებს გაეცინათ. შევამჩნიე კლეტს შუბლზე ოფლის წვეთები როგორ გამოუვიდა. ის სასოწარკვეთილი იყო. მას მთელი სხეული უხურდა, თითქოს თვითგვემას და ძლიერ ტანჯვას ითხოვდა.

- მან შეყვარებული დაკარგა! - უხეშად დავიწყე მე - დიახ, მან დაკარგა მშვენიერი, წესიერი გოგო, იმიტომ რომ ვერ შეელია შაქრის ექვსიოდე ნატეხს, რომელიც მე ვუყიდე მას.

- შენ იცი, რომ ეს მართალი არ არის - უკმეხად შემომიბრუნდა კლეტი, - მშვენიერი გოგო, ნუთუ მართლა?! მერსი ერთი უსირცხვილო, ხარბი მძარცველი იყო, როგორც ყველა დანარჩენი!

- როგორც ჩვენ, ყველა. რა მაინტერესებს, კლეტ, ამას მანამდე როგორ ვერ მიხვდი? შენ რამდენიმე თვის განმავლობაში დადიოდი მასთან, იწექი მასთან და მხოლოდ მაშინ მიხვდი ყველაფერს, როცა მე შაქარის შეკვრა გიყიდე! ამის მერე გაგეხსნა თვალები!

- ჩვენ ვიცით, რომ შენ იყიდე, მაიკ, შენ ეს უკვე გვითხარი, რა საჭიროა მუდმივად ამის შეხსენება. მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი?!

- მაშ რა არის მთავარი? - ვიკითხე მე და მალევე გავაცნობიერე რა სისულელე იყო ეს ყველაფერი. რა მარტივია, ახლაც კი, ავყვეთ უეცარ, უგუნურ გესლს, როგორც იმ საშინელ დროს, როცა გაუცნობიერებლად წამოსროლილ ერთ საწყენ სიტყვას შეეძლო გამოეწვია სასტიკი ომი, ორ მშვიდობისმოყვარე მეგობარს შორის, როგორც ესუნის პასაჟშია. ასე რომ ყველაფერი ხუმრობისკენ წავიყვანე, ზუსტად მაშინ, როცა უფსკრულის წინაშე ვიდექი.

- როცა კლეტი ცოლის შერთვას გადაწყვეტს, - ვთქვი მე. - მოგვიწევს ახალი საქორწინო აღთქმის მოფიქრება: „და გავიზიარებ შენთან ერთად, ყველაფერს, რაც კი ჩემს საკუთრებაში იქნება, კომპანია „თეით ენდ ლილის“[9] პროდუქტების გარდა. თუ მამა დოერთის ოდესმე მისცეს ქვეყანაში დაბრუნების უფლება, ის ამას უეჭველად გაიგებს“.

უმერამ და მისმა მეგობარმა ისევ გადაიხარხარეს.

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი არქანიამ**



[9]Tate & Lyle - შაქრის მწარმოებელი კომპანია.

იპეი ფუკურო - „ვეფხისტყაოსნის“ პირველი იაპონელი მთარგმნელი



საქართველოს ევროპისა და აზიის ქვეყნებთან ისტორიული, კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები აქვს. უცხოელთა დაინტერესება ჩვენი კულტურით უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. აღმოსავლურმა სამყარომ (სპარსულმა, არაბულმა, სომხურმა, ებრაულმა და სხვ.) ფართო ასახვა ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში.

სხვა ვითარებაა შორეულ აღმოსავლეთთან, კერძოდ იაპონურ კულტურასთან მიმართებაში. ქართულ–იაპონური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო (თუ არ ჩავთვლით 1905 წელს გამოცემულ ბროშურას და აგრეთვე ვახტანგ IV-ის ნაშრომებში ნახსენებ „ჯაპანას“ ქვეყანას).

პირველი კონტაქტები ორივე მხრიდან ცალკეულ მკვლევართა პირადი ინტერესებით შემოიფარგლებოდა. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ფართოვდება ქართულ-იაპონური კულტურული კონტაქტები. ამ დროიდან მოყოლებული იაპონელი მკითხველი ფართოდ გაეცნო საქართველოს. ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართული კულტურის უანგარო პროპაგანდისტს, ქართველი ერის დიდ მეგობარს, მთარგმნელს, ჟურნალისტს, კინოხელოვანსა და მთამსვლელს - იპეი ფუკუროს. მან იაპონელებს საქართველო არა მარტო „ვეფხისტყაოსნითა“ და შუა საუკუნეების ეპოქით გააცნო, არამედ თანამედროვეობითაც. ფუკუროს დამსახურებაა იაპონურ ენაზე პირველი ქართული წიგნის გამოცემა. იაპონურ ენაზე ალაპარაკებული პირველი ქართული წიგნი იყო პროზაულად თარგმნილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

იპეი ფუკურო ტოკიოს უნივერსიტეტში სწავლისას რუსულ ენას დაეუფლა. იგი საქართველოთი დაინტერესებულა ნიკოლოზ ტიხონოვის პოეზიის გაცნობის შემდეგ, მასში განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია მის კრებულს საქართველს შესახებ. საქართველოს ისტორიის გაცნობისას ფუკუროს ყურადღება მიიპყრო შოთა რუსთაველის პოემამ, მაგრამ წიგნის არქონის გამო მისი წაკითხვა დიდხანს ვერ მოახერხა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ 1947 წელს, რუსეთში იაპონიის საელჩოში მუშაობისას რუსმა კოლეგებმა მას უშოვეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუცუბიძისეული (რუსული) თარგმანი. მას ასევე მოუპოვებია გიორგი ცაგარელისეული რუსული თარგმანი და ინგლისურენოვანი თარგმანი მარჯორი უორდროპისა. იაპონელი მთარგმნელი ქართველ მეგობრებს წერდა: „კარგა ხანია რუსთველი მენატრებოდა და მხოლოდ ომის შემდგომ წლებში საბჭოთა საელჩომ გადმომცა „ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუცუბიძისეული თარგმანი რუსულ ენაზე, ხოლო მოგვიანებით კი გიორგი ცაგარელის თარგმანი და ასე მომეცა შესაძლებლობა მეთარგმნა იაპონურ ენაზე დიდებული რუსთველი“.

პოემის თარგმნას ხელი შეუწყო შალვა ნუცუბიძის რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამაც. ამ ყველაფრის საშუალებით ფუკურო ხუთი წლის განმავლობაში თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და 1955 წელს ტოკიოში გამომცემლობა „კოდან-შიაომ“ 70 000-იანი ტირაჟით გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი იაპონურ ენაზე. იაპონიაში პირველი ქართული წიგნი დიდი წარმატებით სარგებლობდა.

იპეი ფუკუროს მიერ იაპონურ ენაზე პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ორჯერ გამოიცა - 1955 და 1961 წლებში. ამ გამოცემებს წინ უძღოდა მთარგმნელის - იპეი ფუკუროსა და რედაქტორის - ტაჯირო ნაშის შესავალი წერილი და ბოლოსიტყვაობა. აქ მთარგმნელი მოკლედ ეხება საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას XI-XII საუკუნეებში და მიმოიხილავს შოთა რუსთაველის ცხოვრებას. იქვე ახასიათებს პოემის მთავარ პერსონაჟებს. გამოცემას ილუსტრაციები დაურთო იაპონელმა მხატვარმა ტადაჩი ჰაიაშიმ.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურად თარგმნის ისტორია ქართველმა მკითხველმა პირველად შეიტყო 1956 წლის 27 აპრილს, გაზეთ „კომუნისტში“ (N99) დაბეჭდილი გ. ჭელიძის სტატიით, სადაც ავტორი მოკლედ მიმოიხილავდა „ვეფხისტყაოსნის“ 1955 წლის ფუკუროსეულ გამოცემას.

იპეი ფუკურო მეუღლესთან ერთად საქართველოში

„ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემით იაპონელმა მკითხველმა გაიცნო არა მარტო ეს პოემა და მისი ავტორი, არამედ შუა საუკუნეების ქართული კულტურა, აღმოსავლური რენესანსი და რუსთაველის მსოფლმხედველობა. „როცა იაპონიაში ფეოდალური ომები წარმოებდა, ხოლო ევროპაში ინკვიზიცია მძვინვარებდა, საქართველოში შოთა რუსთველი მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის დიად იდეებს ქადაგებდა“. პოემის ფუკუროსეულ შეფასებაში ნათლად ჩანს ის უდიდესი სიყვარული ქართული კულტურისა, რაც საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურ ენაზე თარგმნას.

იპეი ფუკურო საქართველოს ორჯერ ეწვია. პირველად ის თბილისში 1964 წელს ჩამოვიდა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით, მეორედ კი - 1966 წელს მწერალთა კავშირის ინიციატივით, როცა იუნესკოს მიერ 1966 წელი გამოცხადდა რუსთაველის წლად და იზეიმეს მისი 800 წლისთავი. 1963 წლის შემოდგომიდან იაპონიის ერთ-ერთმა გავლენიანმა გაზეთმა „ასაჰიმ“ დაიწყო სტატიების ბეჭდვა საქართველოს შესახებ. ხოლო ტოკიოს ჟურნალის „სობიეტო ბუნგაკუ“ („საბჭოთა ლიტერატურა“) 1966 წლის სექტემბრის ნომერი მიეძღვნა შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღს. ამ ნომერში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის იპეი ფუკუროსეული პოეტური თარგმანი და მთარგმნელის ვრცელი სტატია შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაზე.

პირველი ჩამოსვლისას ფუკურომ გაიცნო „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, ავტორი წიგნისა „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი.“ ფუკურომ ნუცუბიძეს საჩუქრად მიართვა „ვეფხისტყაოსნის“ მისეული იაპონური გამოცემა წარწერით: „ვეფხისტყაოსნის“ თქვენმა ბრწყინვალე თარგმანმა დათესა ჩემს გულში რუსთველის სიყვარული. ამ სიყვარულით ვთარგმნე დიდი რუსთველი, რისთვისაც თქვენი გულითადი მადლობელი ვარ.“



Уважаемый проф.
Шалва Нуцубидзе!
Ваш блестящий перевод
Руставели завоевал любовь
в моем сердце. С этой
любовью я перевел великого
Руставели, за что искрен-
но благодарю.
С уважением
переводчик Руставели
на японский язык
Ипэй Фукуро
Токио 20 IX 1963 г.

იპეი ფუკუროს მინაწერი შალვა ნუცუბიძისადმი

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრამ და საუბარმა იპეი ფუკუროს დიდი სტიმული მისცა. იგი უფრო მეტად დააინტერესა რუსთაველის ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ და საკაცობრიო იდეალებმა. მან მტკიცედ გადაწყვიტა, შეესწავლა ქართული ენა და შეექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი. ამასობაში რუსთაველის პოემით იაპონიაში სხვა გამომცემლობებიც დაინტერესდნენ. ერთ-ერთმა გამომცემლობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი რიოჰეი კომიიამა, მთარგმნელ იპეი ფუკუროსთან დადო ხელშეკრულება „ვეფხისტყაოსნის“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე პოეტური თარგმანის გამოცემის თაობაზე. გამომცემელი და მწერალი რიოჰეი კომიიამა იმდენად დაინტერესდა ჩვენი ქვეყნით, რომ გაეცნო მასალებს საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. იპეი ფუკურომ კი პოემის პოეტურ თარგმანზე მუშაობას ექვსი წელი მოანდომა და მძიმე სენით შეპყრობილმა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე დაასრულა რუსთაველის პოემის პოეტური თარგმანი.

საქართველოს დიდი ქომაგი და ქართული კულტურისა და ლიტერატურის უანგარო პროპაგანდისტი 1971 წლის 3 ივლისს გარდაიცვალა. 1972 წლის მარტში გამომცემლობა „რირონ-შიამ“ და მისმა ხელმძღვანელმა რ. კომიიამამ იაპონელ მკითხველს მიაწოდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანის ბრწყინვალე პოლიგრაფიული გამოცემა. მასში მოცემულია მიხაი ზიჩის, მოსე თოიძის, სერგო ქობულაძისა და ნათელა იანქოშვილის მიერ შესრულებული ილუსტრაციები. ამ გამოცემამ იაპონიაში კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურისადმი.

იპეი ფუკურო უზომოდ იყო შეყვარებული საქართველოს ბუნებაზე. როგორც ყოფილი მთამსვლელი რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოს მთიანეთში. მოიარა სვანეთი, ხევსურეთი, ყაზბეგი, კახეთი. ფუჯის მთაზე შეყვარებულ ადამიანზე განმაცვიფრებელი გავლენა მოუხდენია მყინვარწვერს, შხარასა და უშბას. მან დიდი ამაგი დასდო ქართველ-იაპონელ მთამსვლელთა მეგობრობის კლუბის შექმნას, ჩამოიყვანა იაპონელი მთამსვლელები ქართული მწვერვალების დასალაშქრად, დიდ პატივს მიაგებდა საქვეყნოდ ცნობილ ქართველ მთამსვლელებს და მეგობრობდა მათთან. საინტერესოა, რომ იპეი ფუკუროს გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ საქართველოს მწერალთა კავშირში გამოგზავნილი წერილი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „იპეის სული საქართველოს ცაში ტრიალებს.“ აი ასეთი თავდადებული მეგობარი ჰყავდა საქართველოს, რომელმაც თავისი უანგარო, თავდაუზოგავი შრომით მყარი საძირკველი ჩაუყარა ორი უძველესი კულტურის მქონე ერის - იაპონელთა და ქართველთა დაახლოებას.

ავტორი - ღვთისავარ ჩაბრავა

რელიგია



ივდითი და ოლოფერნე. მუჰამადი და ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისი - სიუჟეტთა შედარება

ივდითი კლავს ოლოფერნეს. კარავაჯოს ნახატი

საუკუნეთა განმავლობაში ბიბლია, განსაკუთრებით კი ძველი აღთქმის წიგნები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ადამიანთა ცნობიერებაზე. დაწყებული მორალურ-ეთიკური ღირებულებებით, ლიტერეტურული ნაწარმოებებით დამთავრებული. თავის მხრივ კი ბიბლიურ სიუჟეტებში ხშირად ასახვას ჰპოვებს კიდევ უფრო ძველი ამბები იმ ცივილიზაციებიდან და ხალხებიდან, რომლებიც დროის დინებაში გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან.

არის ისტორიები და ამბები, სადაც ბიბლიური სიუჟეტები, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მათ ანალოგიებად გვევლინებიან. ასეთია მაგალითად, რომანებში აღწერილი ამბები, რომლებიც სწორედ ბიბლიურ სიუჟეტებს ეფუძნება და მწერალი ამას გააზრებულად აკეთებს, ხშირადაა გამოყენებული ესა თუ ის ბიბლიური მოტივი. თუმცა არსებობს სხვა ამბებიც, რომლებიც ხალხში იყო მოარული შემდგომ კი ლეგენდებად მოგვევლინა, მაგრამ წარმოშობის ეტაპზე გაუაზრებელი იყო მსგავსება. ხდება ისეც, რომ ისტორიული ამბავი, დამთხვევის გამო, რაღაცით წააგავს (ან ნაწილობრივ ან ძირითადად და მისთ.) რომელიმე სიუჟეტს ბიბლიიდან, ასეთ შემთხვევაში, როდესაც ამ ამბავს ვადარებთ ბიბლიურ ისტორიას, ხაზგასასმელია საკუთრივ ამ წიგნის ზეგავლენა ადამიანების გონებასა და ისტორიულ მახსოვრობაზე.

სამივე აბრაამისტულ რელიგიაში ბიბლიას თავისი ადგილი უჭირავს, იუდეველებისთვის თორა, ქრისტიანებისთვის ძველი აღთქმა და მუსლიმებისთვის ,,წმინდა წიგნი'', რომელიც შემდგომ სხვებმა დაამახინჯეს (აქედან ,,წიგნის ხალხები'') არსებითი გავლენის მქონეა არა მხოლოდ დოგმატურ-რელიგიურ ჭრილში, არამედ ამ რელიგიების მიმდევარ ადამიანთა ცნობიერებაზე გავლენის თავალსაზრისითაც.

მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ ერთი ბიბლიური სიუჟეტის შედარებას *სირათებში*[10] დაცულ სხვა ამბავთან, რომელიც მოციქულ მუჰამადს შეეხება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორ ამბავს ერთმანეთისგან ათ საუკუნეზე მეტი აშორებს.

ივდითის ამბავი ბიბლიაშია მოთხრობილი და ამავე სახელით ცალკე წიგნადაა ძველ აღთქმაში, რომელიც არაკანონიკურ წიგნებს შორისაა. ვთვლით, რომ არსებობს გარკვეული პარალელი თუ სიუჟეტური იგივეობა ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისისა და მოციქულ მუჰამადის ამბავთან. გვსურს, შევადაროთ და წარმოვადგინოთ ამბავთა სიუჟეტური მსგავსებები თუ განსხვავებანი ძირითად თემებთან მიმართებაში. ივდითის ამბავის მოკლე შინაარსი ასეთია: აშურელთა მეფის ნაბუქოდონოსორის სარდალი ოლოფერნე ლაშქრობს დასავლეთის ქვეყნებში მეფისავე ბრძანებით. აქ ის აწყდება ისრაელიანთა წინააღმდეგობას, რომლებიც გამაგრებულნი არიან მთებში და ქანაანში მცხოვრები სხვა ტომების რჩევით ალყაში მოაქცევს ქალაქ ბეთულას (ბეტულიას), შეუწყვეტს რა წყლის მიწოდებას. ქალაქის მესვეურები და მოსახლეობა მზადაა თუ რამე არ შეიცვლება ხუთი დღის შემდეგ დანებდნენ. ამ დროს კი ჩნდება მდიდარი და ლამაზი ქვრივი ივდითი, რომელიც ქალაქის მესვეურებთან შეთანხმებით, მსახურთან ერთად საღამოს ქალაქიდან გაიპარება,

[10] არაბ.(سِيَرٌ) *„სირათ“* - ამბავი, გადმოცემა,მოციქული მუჰამადისა და მისი მიმდევრების შესახებ

იმ მიზნით, რომ მოხიბლოს ოლოფერნე და მოკლას. ოლოფერნეს ბანაკში მას თავად სარდალი მოუსმენს და შეთავაზებულ გეგმასაც მოუწონებს. სამი დღე დაჰყოფს ბანაკში ივდითი, მეოთხე დღეს კი ოლოფერნე თავისთან მიიწვევს ვახშამზე და მისი სილამაზით მოიხიბლება. ღამით კი ივდითს მარტო ტოვებენ ოლოფერნესთან კარავში, რომელსაც მთვრალს სძინავს. ივდითი მძინარეს მისივე მახვილით ჰკვეთს თავს, მიდის ბანაკიდან და მოკვეთილი თავითა და გავალაკით ბრუნდება ქალაქში.

რაც შეეხება მოციქული მუჰამადისა და ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისის ამბავს, ის ძირითადად მოთხრობილია *სირათებში.* ნახსენებია ასევე მხოლოდ დეტალი ალ-ბუხარის ჰადისებში. ჰადისი 2617, საჩუქრების წიგნი: *მოთხრობილი ანას ბ. მალიქის მიერ, კმაყოფილიმცაა ალლაჰი მისით: ებრაელმა (ქალმა) მიართვა მოციქულს, ალლაჰიმც შეეწევა მას და გაუმარჯვებს, მოწამლული ცხვარი, და მან (მოციქულმა) შეჭამა მისგან. მოუყვანეს ის (ქალი) და ჰკითხეს მას (მოციქულს): მოვკლათ იგი? და თქვა: ,,არა'' და მე ვხედავდი საწამლავის ეფექტს მოციქულის, ალლაჰიმც შეეწევა მას და გაუმარჯვებს, პირში, სასაზე [ო.ე.].*

ამბავი მოთხრობილია შემდეგ ავტორებთან: იბნ სა'იდი (784-845) *ქითაბ ატ-ტაბაკათ ალ-ქუბრა* (ძირითად დონეთა წიგნი), რომელიც ბიოგრაფიული ნაშრომია და ეხება მოციქულსა და ცნობილი მუსლიმების ცხოვრებას; ასევე ატ-ტაბარის (839-923) *თარიხ არ-რასულ ვა ალ-მულუქ* (მოციქულისა და მეფეთა ისტორია, იგივე ატ-ტაბარის ისტორია); იბნ ისჰაკის (გარდ. 767) *სირათუ რასული ლლაჰ* (ალლაჰის მოციქულის ცხოვრება), რომელშიც ხაიბარის ოაზისის დაპყრობისა და ზაინაბის ოჯახის შესახებაა ინფორმაცია მოცემული.

ამბავი ხდება მუსლიმთა მიერ ხაიბარის ოაზისის დაპყრობის შემდეგ, რომელიც იუდეური ტომებით დასახლებულ მდიდარ ოაზისს წარმოადგენდა. 628 წელს მუსლიმთა შედარებით მცირერიცხოვანმა რაზმმა, მოციქულ მუჰამადის მეთაურობით, ხაიბარის ოაზისი დაიპყრო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მუჰამადის ავტორიტეტი და აგრეთვე შემოსავლებიც. ბრძოლის შემდეგ, ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისი, რომლის ოჯახის წევრებიც ბრძოლაში დაიხოცნენ (მამა, ბიძები და ქმარი), მუჰამადისთვის მოამზადებს საჭმელს, ცხვრის ბეჭს, რომელსაც მოწამლავს. თუმცა, გასინჯვის შემდეგ მოციქული მიხვდება, რომ საჭმელი მოწამლულია და გადმოაფურთხებს. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი მის მხლებელთაგანი ემსხვერპლება მოწამლულ კერძს. მოციქულს ჰკითხავენ მოკლან თუ არა ზაინაბი, რაზეც მოციქული უპასუხებსა: ,,არა''. ხოლო, როდესაც ზაინაბს ის ჰკითხავს რატომ ჩაიდინა ეს, ზაინაბი უპასუხებს: *,,თუ რამდენად დაა ზარალე ჩემი ხალხი, არაა დამალული შენგან. და მე ვთქვი, თუ კი ის არის მოციქული, ის შეიტყობს ამის შესახებ; მაგრამ ის თუ მეფეა, მე თავიდან უნდა მოვიშორო ის [ო.ე].''* მოციქულმა აპატია მას და შემდგომი ბედი ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისისა უცნობია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ატ-ტაბარი თავის ტექსტში, აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებით იბნ ისჰაკს იმოწმებს, თუმცაღა იბნ ისჰაკის ჩვენამდე მოღწეულ ნაშრომში, ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისის ამბავი არსადაა ნახსენები (მოთხრობილია მისი ბიძების ბრძოლაში მოკვლის ამბები). სამაგიეროდ იბნ საადი წერს: *,,ამ ბრძოლაში ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისმა, სალლამ ბ. მიშქამის ცოლმა, მოწამლა ალლაჰის მოციქული, ალლაჰიმც შეეწევა მას და გაუმარჯვებს. მიართვა მას მოწამლული ცხვარი ხოლო, ალლაჰის მოციქულმა, ალლაჰიმც შეეწევა მას და გაუმარჯვებს, შეჭამა მისგან და ხალხმა მის მეგობართაგან, მათ შორის ბაშარ ბ. ალ-ბარა' ბ. მაარურ და მოკვდა ის. და ამბობენ რომ ალლაჰის მოციქულმა, ალლაჰიმც შეეწევა მას და გაუმარჯვებს, მოკლა ის. და ეს სანდოა რაც გვაქვს [ო.ე].* იბნ საადის მიხედვით მოციქულმა არა თუ შეიწყალა, არამედ მოკლა ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისი, თუმცა აღნიშნულ საკითხის სიზუსტეს ჩვენ არ განვიხილავთ.

რაც შეეხება უშუალოდ სიუჟეტთა შედარებას. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ქალები ებრაელები არიან და მათი მიზანია მტრის ჯარის მეთაურის/სარდლის მოკვდინება. თუმცა, მოტივები განსხვავებულია. ივდითის შემთხვევაში, მოტივი არის საკუთარი ქალაქისა და ხალხის ხსნა დამპყრობლისგან. ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისის შემთხვევაში კი მოტივი პირადულია და შურისძიებას

ემსახურება. ამასთან, ივდითი გამარჯვებულია და გამარჯვებას აღწევს ბრძოლამდე. ზაინაბი კი უკვე დამარცხებულია და შურისძიების მიზნით გეგმავს მეთაურის მოკვლას. განსხვავებულია აგრეთვე მკვლელობის იარაღი/საშუალება, თუმცა ორივე ქალი ეშმაკობით, მოტყუებით ცდილობს განახორციელოს გეგმა. მას შემდეგ რაც ივდითი დაუახლოვდება ოლოფერნეს, დაათრობს და დაიმარტოხელებს, მისივე მახვილით კვეთს თავს. ზაინაბი კი ჯერ შეიტყობს, თუ ცხვრის რომელი ნაწილი უყვარდა მუჰამადს და როგორც შეიტყო, რომ ეს იყო ცხვრის წინა ფეხები, იწყებს განზრახულის აღსრულებას. მისი იარაღი კი საწამლავია.

ასევე საინტერესოა თუ ვინ არის მსხვერპლი. ივდითი კლავს ოლოფერნეს, რომელიც ნაბუქოდონოსორის სარდალია და დავალებული აქვს დასავლეთის მიწების დამორჩილება. თუმცა თავად ოლოფერნე ნაბუქოდონოსორს უწოდებს ღმერთს: *ვინ არს ღმერთი, თუ არა ნაბუქოდონოსორი, იგი მოგვივლენს თავის ძალას და აღგვის მათ პირისაგან მიწისა. ველარ დაიხსნის მათ მათი ღმერთი.* იქვე აგრძელებს: *ამბობს მეფე ნაბუქოდონოსორ, მთელი ქვეყნის უფალი, რაკი ამბობს არც გაცუდდება მისი ნათქვამი.* თავის მხრივ, მუჰამადიც წარგზავნილია ალლაჰისა, ღმერთისა, რომლის სახელითაც ის მოქმედებს, თუმცა მას არ აქვს სარდლის სტატუსი, ის მორწმუნე მუსლიმთათვის მოციქულია.

თავად ზაინაბის ზემოთხსენებული სიტყვების მიხედვით: *მე ვთქვი, თუ კი ის არის მოციქული, ის შეიტყობს ამის შესახებ; მაგრამ ის თუ მეფეა, მე თავიდან უნდა მოვიშორო ის*, მუსლიმთა რწმენით, სწორედ იმის გამო, რომ ის ნამდვილად მოციქულია, ზაინაბი ვერ ახერხებს მის მოწამვლას. მიუხედავად ამისა, ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის ატ-ტაბარი: *ალლაჰის მოციქულმა თავისი ავადმყოფობის ჟამს, რის გამოც იგი გარდაიცვალა, უთხრა ბიშარ ბ. ალ-ბარა'_ის დედას, რომელმაც იგი ინახულა_ ,,ბიშარის დედა, ამ წუთას მე ვგრძნობ როგორ წყდება აორტა, იმ საკვების გამო, რომელიც მე შევჭამე შენს შვილთან ერთად ხაიბარში [ო.ე].* ატ-ტაბარი იქვე დასძენს, რომ მუსლიმთა რწმენით ასეთი მოწამეობრივი აღსასრული მეტ ღირსებას სძენს წინასწარმეტყველის სამოციქულო მისიას, რომელიც მას ღმერთმა დააკისრა (at-Tabari, 124). თუმცა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზაინაბი მართლაც ,,მეფის'' მოკვლას შეეცადა და მისმა საწამლავმა გვიან გამოიღო შედეგი.

რაც შეეხება შედეგებს. ივდითის ამბის შემთხვევაში ყველაფერი ნათელია და ის გამარჯვებული ბრუნდება ქალაქში. თან კი მტკიცებულებები მოაქვს, ოლოფერნეს მოკვეთილი თავი და გვალაკი მისი. ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისი კი დამარცხებულია, ის ვერ ახერხებს მუჰამადის მოკვლას და თან შეიპყრობენ კიდეც (მაშინ, როცა ივდითი მშვიდობით ბრუნდება ქალაქში). ამასთან, მისი შემდგომი ბედი გაურკვეველია, ზოგი ცნობით მუჰამადმა შეიწყალა ზაინაბი, თუმცა არც ისაა გამორიცხული მოწამლული ბიშარისთვის, შურისძიების მიზნით მოეკლათ.

დასკვნის სახით დასაშვებია ვთქვათ, რომ ეს ორი სიუჟეტი მეტ-ნაკლებად ავლენს თემატურ მსგავსებებს და შესაძლებელია გარკვეული იგივეობების დანახვა. ძნელია საუბარი იმაზე თუ რამდენად იქონია ძველმა აღთქმამ ზეგავლენა ზაინაბისა და მოციქული მუჰამადის ამბის პასაჟების შექმნაზე. ამასთან, ისიც საფიქრებელია, რომ ორივე ამბავი დამოუკიდებელი შემთხვევაა და მხოლოდ გარკვეული დეტალები იყოს დამატებული და ზეგავლენებიც სწორედ ამ დეტალებში უნდა ვეძიოთ. თუმცა, საინტერესოა ქალების, როგორც მტკიცე და დამოუკიდებელი პერსონაჟების წარმოჩენა, ერთ შემთხვევაში ქვრივი ქალი მოხერხებულობისა და მისივე გარეგნული სილამიზით ახერხებს დაამარცხოს მტერი; მეორე შემთხვევაში კი გვაქვს ახლადდაქვრივებული ქალი, რომელსაც სჩანს დასაკარგი არაფერი აქვს, რადგანაც მამა, ბიძები და ქმარი ბრძოლაში მოუკლეს და რადგანაც შურისმაძიებელი არავინაა თავის თავზე იღებს ამ ტვირთს, თუმცა მისი მცდელობა ძირითადად წარუმატებელია.

ავტორი - ომიკო ეჯიბია

ისლამი ღმერთკაცობრიობის კონტექსტში

(ვლადიმერ სოლოვიოვის მიხედვით)



XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბებული რუსული რელიგიური ფილოსოფიის ფუძემდებელი და მისი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ვლადიმერ სოლოვიოვი თავის ნაშრომში "დიდი დავა ქრისტიანული პოლიტიკის შესახებ" განიხილავს მსოფლიო ცივილიზაციებისა და მათში არსებული რელიგიების განვითარების გზას. ხოლო განვითარების უმაღლესი მწვერვალი თუ მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფოდა და მიისწრაფის აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაცია არის ქრისტე, როგორც სრულყოფილი კაცი და სრულყოფილი ღმერთი. მასში ხდება ორივე მათგანის სინთეზი, რადგან ქრისტემდე და მის შემდეგაც აღმოსავლეთი ეძებდა სრულყოფილ ღმერთს, ხოლო დასავლეთი სრულყოფილ კაცს. ყველა რელიგია, რომელიც მსოფლიო ისტორიის მანძილზე არსებობდა, განიხილება, როგორც მხოლოდ ამ სინთეზის ერთი მხარე, რადგან აღიარებს ან ერთს ან მეორეს. ყველა სხვა რელიგიასთან ერთად ამ კონტექსტში განიხილება ისლამიც.

სოლოვიოვი განიხილავს რელიაგათა როლს ისტორიის განვითარების მანძილზე, იმას თუ როგორ მივიდა კაცობრიობა ღმერთკაცობრიობის (ღმერთკაცობრიობა - რუსული რელიგიური ფილოსოფიის ფუძემდებლური ცნება, კაცობრიობის იდეალური მდგომარეობა. მომდინარე ქრისტანული სწავლებიდან ქრისტეს ადამიანური და ღვთიური ბუნების შესახებ. ქრისტეში ორი ბუნების შეერთება: განუყოფლად, განუყრელად, შეურევლად და უქცევლად.) იდეამდე და რა როლი შეასრულა მასში ქრისტიანობამდე არსებულმა რელიგიებმა როგორიცაა: ბუდიზმი (ამ უკანასკნელში, იგი ხედავს ერთგვარ საფუძველს დასავლური ცივილიზაცისა, რადგან ბუდიზმში ადამიანმა პირველად გააცნობიერა ცხოვრების ამაოება და გარე ბუნებაზე, მატერიალურ კულტებზე მაღლა დადგა), ზოროასტრიზმი და ა. შ. ის გამოყოფს ყველა აღმოსავლურ ცივილიზაციაში აღმოცენებული რელიგიის საერთო თვისებას. ესაა აბსოლუტური სრულყოფილი ღმერთის იდეა და მისდამი თაყვანისცემა. თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენს ზემოთნახსენები ბუდიზმი და ზოგიერთი ინდური რელიგია, სადაც არ არსებობს ღმერთის, როგორც აბსოლუტის რწმენა. აღმოსავლურ კულტურებში, როგორც წესი, ადამიანი უკანაა პლანზეა. აქ არ ვლინდება მისი თავისუფალი ნება, რაც განაპირობებს კიდეც აღმოსავლური სახელმწიფოების დესპოტურ ხასიათს. რაც შეეხება დასავლურ კულტურას, აქ ყურადღების ცენტრში უკვე ადამიანი ექცევა. როგორც ჰეგელი ამბობს, თუ აღმოსავლეთში მხოლოდ ერთი კაცი, ანუ მონარქი, იყო თავისუფალი, დასავლეთში უკვე რამდენიმე კაცი გათავისუფლდა. მთავარია, რომ ხდება დარგობრივი დაყოფაც, ხელოვნება გამოეყოფა რელიგიას და თვითმყოფადი ხდება, რაც აისახება ანტიკური ხანის შემოქმედებაში. მაგრამ ვერც დასავლური ცივილიზაცია აღწევს თავის მიზანს, რადგან სრულყოფილი კაცის იდეა გამოხატულებას კეისრის თვითმპყრობელობაში ჰპოვებს. გამომდინარე აქედან, აღმოსავლეთში ყალიბდება უადამიანო ღმერთის, ხოლო დასავლეთში უღმერთო ადამიანის კულტი.

ქრისტიანობა და ქრისტე, სოლოვიოვის მიხედვით, არის ამ ორი უკიდურესობის დაძლევა და სრულყოფილი ღმერთისა და სრულყოფილი კაცის სინთეზი. ორივე ბუნება თანაბრად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამით ცხადდება ღმერთკაცობრიობა, მაგრამ ქრისტეს მოსვლის შემდეგაც, ახალი

წელთააღრიცხვით პირველი საუკუნიდან ისევ იწყება რღვევის პროცესი, რაც აისახება იმ დროს წარმოქმნილ ქრისტიანულ ერესებში, რომლებიც აღიარებენ ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას. სოლოვიოვთან ეს პროცესი დასრულებულ სახეს იღებს ისლამში, რომელიც უკვე გვევლინება არა როგორც ქრისტინობის განშტოება, არამედ, როგორც დამოუკიდებელი რელიგია.

ისლამის მიხედვით, მუჰამადია უკანასკნელი წინასწარმეტყველი და ისლამი საბოლოო ჭეშმარიტი რელიგიაა, რადგან ყველა წინა რელიგია სრულყოფილ სახეს მასში ჰპოვებს. სოლოვიოვთან განვითარების ამგვარი გზა უკუქცევითია, რადგან მისი აზრით, ისლამი საბოლოოდ უბრუნდება იმ ცალმხრივობას, რაც აღმოსავლურ რელიგიებს ახასიათებდათ, სადაც ღმერთის აბსოლუტურობა გაცხადებულია, მაგრამ დათრგუნულია ადამიანური ნების თავისუფალი გამოვლენა. ეს კი მისი აზრით, ვლინდება შემდეგ საკითხებში:

პირველი და უმთავრესი ესაა ქრისტეს, როგორც მხოლოდ წინასწარმეტყველის აღიარება და არა, როგორც ღმერთისა. სოლოვიოვის აზრით, ეს ნესტორიანული მოძღვრების გაგრძელებაა, რადგან როგორც ისლამში, ასევე ამ უკანასკნელში მარიამი აღარაა ღვთისმშობელი და უარყოფილია კენოზისი (ბიბლიურ-თეოლოგიური ტერმინი. აღნიშნავს განკაცებით ქრისტეს მიერ ღმერთთან თანასწორობაზე უარის თქმას მამისადმი მორჩილების ნიშნად, რათა მსახურის, ადამიანის სახით წარმდგარყო ადამიანთა წინაშე, თვით სიკვდილის მიღებამდე (ფილ. 2:6).

მისი აზრით, ისლამისთვის დამახასიათებელი ფატალიზმი, რომ ალაჰია თითოეული ადამიანის ცხოვრების გამგებელი („უთხარი: არაფერი დაგვემართება იმის გარდა, რაც დაგვიწერა ალაჰმა. იგია ჩვენი პატრონი და ალაჰს ხამს, სასოებდნენ მორწმუნენი. 9:51“) კიდევ ერთი უარყოფაა ადამიანის თავისუფალი ნებისა და ამით ის მხოლოდ იარაღი ხდება ღმერთის ხელში და საერთოდ ქრება სრულყოფილი კაცის იდეა.

ისლამი მკაცრი მონოთეიზმის საფუძველზე უარყოფს ღმერთის გამოსახვას, რათა თავიდან აიცილოს კერპთაყვანისმცემლობა. სოლოვიოვის აზრით, ეს არაფერია თუ არა ღმერთის ადამიანურ ბუნებაზე კიდევ ერთხელ უარის თქმა, რაც შემდგომში ბიზანტიაში ხატმებრძოლეობაში ჰპოვებს გამოხატულებას.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სოლოვიოვის აზრით, ისლამში კიდევ ერთხელ ვლინდება ის, რაც მანამდე ქრისტიანულ ერესებში გამოვლინდა. ესაა აბსოლუტური ღმერთის იდეა და ადამიანის ნების თავისუფალი გამოვლენის დათრგუნვა.

თუმცა, სოლოვიოვი ისლამური საზოგადოების ცხოვრების წესს უპირატესად მიიჩნევს ბიზანტიურზე (მისი აზრით, სწორედ ეს ხდება ისლამის წარმატების საფუძველი იმდროინდელ მსოფლიოში), სადაც ოფიციალურად აღიარებულია დიოფიზიტობა, ანუ ქრისტეს ორბუნოვნება. ამის საფუძვლად კი მას ის მიაჩნია, რომ მუსლიმები საკუთარი რელიგიის მიხედვით ცხოვრობენ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ჭეშმარიტი, მათ ისედაც არ აქვთ პრეტენზია მასთან შინაგან კავშირზე (სოლოვიოვი არ ითვალისწინებს სუფიზმს), ხოლო ბიზანტია წარმართული რომის დროინდელი კანონებით იმართება. აქ ბერ-მონაზონთა ცხოვრებაც კი არ ესადაგება მათ რელიგიას, რადგან ამქვეყნიური ცხოვრებისა და საკუთარი ნების დათრგუნვით ისინიც სინამდვილეში უარყოფენ ღვთის ადამიანურ ბუნებას და სრულყოფილი კაცის იდეას.

თუმცა, თავის წინა ნაშრომში სახელწოდებით "სამი ძალა", რომელიც სამ ცივილიზაციურ ტიპს ანუ სამ მსოფლიოს მამოძრავებელ ძალას ეხება, სოლოვიოვი აღმოსავლური ცივილიზაციაზე საუბრისას განიხილავს ისლამსაც, როგორც მის სახეს და ამბობს, რომ ამ ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი სრულყოფილი ღმერთისადმი სწრაფვა და ადამიანისა და მისი თავისუფალი ნების უარყოფა ვლინდება სწორედ ისლამური საზოგადოების მოწყობის წესში, სადაც არ არსებობს სასულიერო, სასამართლო თუ სახელმწიფო ხელისუფლება ერთმანეთისაგან განცალკევებულად. სამივე მათგანი შერწყმულია და არც ერთ მათგანს არ აქვს ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახე განსხვავებით წინა მსჯელობისგან სადაც ეს შერწყმა განიხილება, როგორც დადებითი ფაქტი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესაა ერთი კუთხით ღმერთკაცობრიობის იდეიდან დანახული ისლამის არსი და როლი და, შესაბამისად, ის ცალმხრივ ხასიათს ატარებს და არა სინთეზურს, რომელიც

სოლოვიოვის ფილოსოფიის მთავარი ცნებაა. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ღმერთკაცობრიობის იდეა ქრისტიანობის წიაღშია ჩასახული და ისლამისთვის ის უცხოა. მაგრამ აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების დაპირისპირებისას ისლამი ნამდვილად პირველის პირმშოა და იგი მასში შესაბამის ასახვასაც ჰპოვებს.

ავტორი - ქეთევან ლაფაჩი

პირმშოობის საკითხი თორაში

მოსეს ხუთწიგნეულში არსებული ტექსტები ხშირად არ ემორჩილება კანონზომიერებას და არღვევს საზოგადოდ მიღებულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს. ტექსტში არსებული პროცესები ლოგიკურად მიმდინარეობს, მაგრამ დგება გარდამტეხი მომენტი, როდესაც რადიკალური ცვლილებებია. ერთი თვალსაზრისი მეორეთი იცვლება, ყველაფერი თავდაყირა დგება. ჩვენს სტატიაში განვიხილავთ ერთ-ერთ ასეთ მაგალითს - პირმშოობის საკითხს.

ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პირმშოობას. აქ გავრცელებული წესის თანახმად, პირმშოობა მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. პირმშო იღებდა კურთხევას, მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის თავი ხდებოდა და ის იყო მამის გზის გამგრძელებელი.

ბიბლიის ებრაულში პირმშოს აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა „ბეხორ“. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად არაფერს ნიშნავს, მაგრამ ამ ძირზე არსებული სიტყვა „ბიქურ“ პირველ ნაყოფს აღნიშნავს.

ებრაულ პატრიარქალურ საზოგადოებაში ეს საკითხი კანონით იყო განსაზღვრული. „თუ კაცს ორი ცოლი ეყოლება - ერთი საყვარელი და მეორე საძულველი, შესძენენ მას ვაჟებს საყვარელიც და საძულველიც, პირმშო კი საძულველისა იქნება, შვილებისათვის თავისი საბადებელის განაწილებისას არა აქვს მას უფლება, პირმშოობა მიანიჭოს საყვარელი ცოლის ვაჟს საძულველი ცოლის ვაჟის საზიანოდ. რადგან პირმშოდ საძულველი ცოლის ვაჟი უნდა აღიაროს და მისცეს მას ორმაგი წილი ყველაფრიდან, რაც კი აბადია; რადგან ის არის ძალის დასაბამი, მას ეკუთვნის პირმშოობის უფლება.“ (2 რჯულ. 21;15-17). მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხუთწიგნეული ხშირად არ მიჰყვება წესებს. თორაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც უფროსი ვაჟის ნაცვლად, უმცროსი ხდება რჩეული, რომელიც განსაკუთრებული სტატუსის მქონეა. ქონებასთან ერთად, იღებს მამის კურთხევას, ორმაგ წილს ქონებიდან, ხდება მისი იდეოლოგიური მემკვიდრე და

სიუჟეტი მის გარშემო ვითარდება. მსგავსი ვითარების გასააზრებლად, თუ რატომ ვითარდება სიტუაცია ასე და არა, როგორც ამას კანონი მოითხოვს, საჭიროა ჩავუღრმავდეთ ტექსტს და გავაანალიზოთ იგი.

უფროს ვაჟად დაბადება, როგორც ჩანს, პირმშოობის უფლების გარანტიისთვის საკმარისი არ არის, საჭიროა ღვთივრჩეულობაც. უფლის რჩეული უნდა იყოს მართალი, გულით სუფთა, უფლის მორჩილი, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე. თუ უფლის თვალში უმცროსი ვაჟი ჰპოვებს მადლს, უფროსი კი ვერა, მაშინ კანონი უგულველყოფილია და პირმშოობის უფლებას უმცროსი იღებს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ წარღვნამდე, სანამ რჯულის კანონი იარსებებდა, ღმერთი უკვე მოქმედებდა ასე.

ჩვენთვის, პირველი ასეთი დამოკიდებულება პირველ ძმებს, კაენსა და აბელს, უკავშირდება. „შეიცნო ადამმა ევა, თავისი ცოლი. დაორსულდა ევა და შვა კაენი და თქვა: კაცი შემეძინა უფლისგან. შემდეგ შვა მისი ძმა აბელი.“ (დაბ.4;1-2). დაკვირვებისას შევამჩნევთ, რომ კაენზე უფროა გამახვილებული ყურადღება, ვიდრე აბელზე. ვინაიდან იგია პირველი ვაჟი. ის უნდა იყოს პირმშოობის უფლების მქონე. მაგრამ შემდეგ სხვაგვარად ვითარდება ტექსტი. „აბელი მეცხვარე იყო, კაენი - მიწის მუშაკი.“ (დაბ. 4;2). ამ წინადადებაში აბელია პირველად ნახსენები და არა კაენი. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არაა, პირიქით, მინიშნებაა აბელის უპირატესობაზე, რაც ტექსტის კითხვისას უნდა გამოჩნდეს. კაენმა უფალს მიწის ნაყოფის ძღვენი მიართვა, აბელმაც თავისი ფარის რჩეული პირუტყვი. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აბელმა რჩეული პირუტყვი უძღვნა უფალს, კაენმა კი ჩვეულებრივი ნაყოფი. ღმერთმა აბელის ძღვენს მოჰხედა, ვინაიდან გულით იყო ნაბოძები, ხოლო კაენის ძღვენს კი არა. ამის გამო გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა, შურით აღივსო ძმის მიმართ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიკეთის მქნელი და გულით სუფთა უნდა ყოფილიყო ღვთის რჩეული, კაენს კი არც ერთი არ გააჩნდა და სწორედ ამაზე ამახვილებს ღმერთი ყურადღებას და ეკითხება, თუ სიკეთის მქმნელი ხარ, თავაწეული რატომ არ ხარ? და აქვე აფრთხილებს, თუ სიკეთის მქმნელი არ ხარ ე.ი. ცოდვა ჩასაფრებულია შენს სიახლოვეს და იბატონე მასზეო. თუმცა, კაენმა ეს გაფრთხილება არ გაითვალისწინა. შურით დაბრმავებულმა აბელი ველად გაიყვანა, თავს დაესხა და მოკლა. ამის შემდეგ უფალი კაენს ეკითხება თუ სადაა აბელი, ის კი პასუხობს, რომ არ იცის, მისი მცველი არ არის. ამ შეკითხვით უფალმა შანსი მისცა კაენს მოენანიებინა, რომელიც ვერ გამოიყენა. გადასახლდა კაენი ედემის აღმოსავლეთით, ნოდის ქვეყანაში. ღმერთმა მას ნიშანი დაადო, რათა ყოველ შემხვედრს არ მოეკლა იგი. მის მკვლელს შვიდგზის მიეზღვებოდა. იქ მოიყვანს ცოლს, გაუჩნდება ვაჟი. ბოლო ცნობა რასაც თორა კაენის შესახებ გვაწვდის, არის მის მიერ დაარსებული ქალაქი, რომელსაც შვილის სახელი - ენოქი უწოდა. ამის შემდეგ მასზე საუბარი აღარაა, აბელის მკვლელობასთან ერთად მისი სახელიც ქრება, მაგრამ მისი შთამომავლობა რჩება წარღვნამდე.



კაენი კლავს აბელს. რუბენსის ნახატი

პირმშოობას ადამის და ევას შემდეგი ვაჟი - შეთი ეუფლება. „კვლავ შეიცნო ადამმა თავისი ცოლი; შვა ქალმა ვაჟი და უწოდა სახელად შეთი, რადგან: მომმადლაო უფალმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, კაენმა რომ მოკლა.“ (დაბ. 4;25). სახელი შეთი განიმარტება, როგორც საძირკველი ან დასაბამი. სწორედ შეთი უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, ვისგანაც უნდა დაწყებულიყო და შთამომავლობაში გაგრძელებულიყო, ის კოდი, რაც ღვთის რჩეულს, მართალ კაცს უნდა ჰქონოდა. აბელი მოკვდა, მაგრამ არ გამქრალა იდეა, ღვთის სული, რაც ადამიანში უნდა ყოფილიყო, რომელიც ღვთის ხატად და მსგავსად ამყოფებდა ადამიანს.

ახლა განვიხილოთ იაკობისა და ესავის ამბავი, რომელიც, ჩვენი აზრით, თემის ლოგიკური გაგრძელებაა. ისაკის (ებრ. „იცხაკ“. ლიტერატურაში იყენებენ „ისააკის“ ფორმასაც) და რებეკას ქორწინებიდან 20 წლის შემდეგ, უფალმა შეისმინა ისაკის ვედრება და ქალი დაფეხმძიმდა; ღმერთი ასრულებს აბრაამთან დადებულ აღთქმას. აქვე უნდა აღვნიშნოთ რებეკას უჩვეულო ორსულობა. მის მუცელში ერთმანეთს

ეჯაჯგურებოდნენ ვაჟები. დატანჯული რებეკა ეკითხება უფალს - თუ ასეა, რად ვარ ცოცხალი? „ორი ხალხია შენს მუცელში, და ორი ერი განიყოფა შენი საშოდან; და ერი ერზე იმძლავრებს, და უფროსი ემსახურება უმცროსს.“ - ღმერთმა ამცნო ქალს. რებეკამ საჭიროდ არ ჩათვალა ისაკისთვის ეთქვა, ეს წინასწარმეტყველება მის ხსოვნაში დარჩა. მოაწია მშობიარობის ჟამმა. პირველი იმდენად წითელი იყო, თითქოს ბეწვის მოსასხამით იყო დაფარული, - მას ესავი დაარქვეს. ხოლო მეორე - ძმის ქუსლს იყო მოჭიდებული და დაარქვეს იაკობი (ებრაული სიტყვიდან „ქუსლი“, რომელიც მომხვეჭელობის, მიტაცების სიმბოლოა).

აღსანიშნავია ახალშობილთა დახასიათება. წერილი პირველს გარეგნული ნიშნით აღწერს, ხოლო მეორე თავისი მოქმედებით ხასიათდება. წიგნი გვაწვდის ინფორმაციას, რომ ისაკს გამორჩეულად უყვარდა უფროსი ვაჟი, ესავი, ხოლო დედას - იაკობი. ესავი ცდილობს მამას აამოს, მისი მსგავსი იყოს, თავისი ნანადირევით კვებავს. საინტერესოა ერთ-ერთი შემთხვევა, რომელსაც წერილი გვაწვდის. ერთხელ, ნადირობიდან დაღლილი დაბრუნდა ესავი, დაინახა იაკობის მომზადებული ცერცვის შეჭამადი და სთხოვა მისთვის დაეთმო. იაკობმა კი წვნიანის სანაცვლოდ პირმშოობა მოსთხოვა. ესავმა უპასუხა: „სიკვდილის პირისპირ დავდივარ და რად მინდა პირმშოობა.“ (დაბ. 25;32). რაბინების აზრით, ესავის პასუხი შიმშილს არ უკავშირდებოდა, მას პასუხისმგებლობის შიში ჰქონდა, რაც პირმშოობის მიღების შემდეგ დაეკისრებოდა. იაკობი ცდილობდა ძმისთვის განემარტა ეს საშიშროება, ვინაიდან ესავს მღვდელმსახურებაც მოუწევდა, რაც საფრთხეში ჩააგდებდა მას, ვინაიდან ის მოწოდებით არ იყო ამის მისაღებად მზად. მან იცოდა, რომ ღვთისმსახური, რომელიც სათანადოდ არ აღასრულებდა მღვდელმსახურებას ღვთის რისხვა დაატყდებოდა თავს. ესავიც დათანხმდა. წიგნი მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ ესავისთვის პირმშოობა არ იყო მიმზიდველი, ვერ ხვდებოდა მის მნიშვნელობას და მის უპასუხისმგებლობაზე უსვამს ხაზს.

ესავი და იაკობი. მათიას სტომის ნახატი

ამ ამბების შემდეგ წიგნი ისაკის მემკვიდრის კურთხევის შესახებ მოგვითხრობს. როცა ისაკი დაბერდა და თვალის ჩინი დაკარგა, გადაწყვიტა უფროსი ძე, ესავი, ეკურთხებინა. ამ დროს თხრობაში რებეკა შემოდის. მან იცის ღვთის ნება, რომელიც ფეხმძიმობისას გააცნო უფალმა, რომლის მიხედვითაც კურთხევა იაკობმა უნდა მიიღოს. რა საკვირველია, ისაკი ორივეს აკურთხებდა თავისდა წილად, როგორც ნოემ აკურთხა შვილები, თავიანთი შესაძლებობების მიხედვით. მაგრამ იაკობი რებეკას დახმარებით მივა მამასთან, ბეწვის სამოსელში გახვეული თავს ესავად გაასაღებს და ძმის წილ კურთხევას მიითვისებს. თორა კიდევ ერთხელ გვიხასიათებს ძმებს. ესავი, როგორც მინდვრის კაცი, ხოლო იაკობი, მშვიდი, კარვებში მცხოვრები კაცი. დახასიათებისას, ესავი ისევ პროფესიულად ხასიათდება, ხოლო იაკობი პიროვნული თვისებით. „იშ თამ“ - ასეა აღწერილი იაკობი. „თამ“ აღნიშნავს უმწიკვლოს, ასევე სამართლიანს. შეიძლება დაისვას კითხვა, თუ მოტყუებით მიიღო კურთხევა, რანაირად შეიძლება იყოს სამართლიანი. მაგრამ, რადგან ასე მოხდა, ე.ი. ასეც უნდა მომხდარიყო ღვთის ნების აღსრულებისთვის. ეჭვგარეშეა, წერილში სპეციალურად არის ამგვარად ჩაწერილი, რათა მკითხველისთვის გამოიკვეთოს საყურადღებო მოვლენა და სწორად განსაჯოს იგი. ძმების ასეთი დახასიათება, შეიძლება განვმარტოთ, როგორც ორი ცხოვრების წესის, მომთაბარე და ბინადარი ცხოვრების, დაპირისპირებად. ლოგიკური ბმაა კაენისა და აბელის. იქაც, ერთი მიწათმოქმედია, მეორე - მწყემსი. აბელი და იაკობი მშვიდობისმყოფელნი არიან, კაენი მკვლელია, ესავი მოკვლით ემუქრება იაკობს. ეს ორი ამბავი თითქოს ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ როლები იცვლება. ესავი ნადირობის მცოდნეა, შესაბამისად ცხოველებთან აქვს კავშირი, ისევე, როგორც აბელს, იაკობს კი კაენური მოხვეჭის, მიტაცების წადილი ამოძრავებს. ესავიც მარცხდება იაკობთან ბრძოლაში (მდ. იაბოკთან ბრძოლაში იაკობის მეტოქედ ესავს ან ესავის ვეზირს მიიჩნევენ), როგორც ველად გასული აბელი მარცხდება კაენთან. მისი შთამომავლობა ისევე

ქრება, როგორც აბელის. თუმცა, განსხვავება ისაა, რომ 20 წლიანი განშორების შემდეგ, ესავთან დაბრუნებულ იაკობს, ღმერთი იცავს და მშვიდობიანად მთავრდება ყველაფერი.

ბოლო შემთხვევა, რომელსაც განვიხილავთ, კვლავ იაკობს უკავშირდება. ვისაუბრებთ იოსების შვილების, ეფრემისა და მენაშეს შესახებ, რომლებიც მისი შვილიშვილები იყვნენ. მენაშე მომდინარეობს „ნაშა“-დან, რაც დავიწყებას აღნიშნავს - „დამავიწყდა მთელი ჩემი ტანჯვა-წვალება და მამაჩემის სახლი“ - ამბობს იოსები (დაბ. 41:51). ხოლო ეფრემი მომდინარეობს სიტყვიდან „ფორე“ (ნაყოფიერი) - „ნაყოფიერმყო ღმერთმა ჩემი გაჭირვების ქვეყანაში“ (დაბ. 41:52). იაკობი მთელი სახლეულობით ეგვიპტეში დასახლდა საუკეთესო მიწაზე - გოშენის მხარეში. მდგმურობის მეჩვიდმეტე წელს იოსებმა მამის ავადმყოფობის შესახებ გაიგო და მის მოსანახულებლად წავიდა, თან გაიყოლა შვილებიც. როდესაც იაკობმა შეიტყო შვილიშვილების იქ ყოფნის ამბავი, იოსებს სთხოვა მასთან მიეყვანა ისინი, რათა ეკურთხებინა. საინტერესოა, რომ კურთხევის ამბავი დაახლოებით იგივენაირად იწყება, როგორც ისაკის კურთხევა იწყებოდა. ორივე შემთხვევაში წერილი ყურადღებას გვიმახვილებს, რომ მაკურთხებელს თვალს დააკლდა (დაბ. 27:1 და 48:10). ყურადსაღებია შემდეგი ვითარება: იოსების მაგივრად იაკობი აკურთხებს ძმებს, ამის მიზეზს წერილშივე ამოვიკითხავთ. იაკობი იოსებს მიმართავს - ახლა ორი ძე გყავს, ეფრემი და მენაშე. ჩემები არიან ისინი, ისევე, როგორც რეუბენი და სიმონი. ხოლო ბავშვები, მათ შემდეგ რომ შეგეძინება, შენი იქნებიან. იოსები არ ეწინააღმდეგება მამას და აძლევს უფლებას აკურთხოს მისი ძეები და მიჰყავს მამასთან. ეფრემი იაკობის მარცხნივ იდგა, მენაშე კი მაჯვნივ. „გაიწოდა მარჯვენა ხელი ისრაელმა (იაკობმა) და თავზე დაადო ეფრემს, რომელიც უმცროსი იყო, ხოლო მარცხენა ხელი მენაშეს დაადო თავზე. განზრახ დაასხა ასე ხელები, თუმცა პირმშო მენაშე იყო“ (დაბ. 48:14). ეს რომ იოსებმა დაინახა, არ მოეწონა და სცადა იაკობის ხელების განლაგება შეეცვალა, ისე, რომ მარჯვენა ხელი პირმშო მენაშეს თავზე დაედო, ხოლო მარცხენა ხელი ეფრემის თავზე. იაკობმა იუარა, არ დაანება იოსებს და უთხრა: „ვიცი რომელიც არის პირმშო. ესეც წარმოშობს ხალხს, ესეც განდიდდება, მაგრამ მისი უმცროსი ძმა მასზე მეტად განდიდდება, მისი თესლისგან ურიცხვი ხალხი წარმოიშობა“ (დაბ. 48:19). მართლაც, თუ გადავხედავთ ხუთწიგნეულს, ვნახავთ იაკობის კურთხევის აღსრულებას. იგივე დაბადების წიგნში, ვკითხულობთ, რომ იოსები ეფრემის შვილთაშვილებს მოესწრო და „მენაშეს ძის, მაქირის, შვილებიც იოსების მუხლებზე დაიბადნენ“ (დაბ. 50:23). რჯულის წიგნში შევხვდებით წინადადებას - „ეფრემის ბევრეულნი და მენაშეს ათასეულნი“ (2 რჯულ. 33:17), ხოლო შთამომავლობის რაოდენობა შემდეგნაირი გახლდათ ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ: ეფრემიანთა შტოში 20 წელს ზემოთ აღირიცხა 45 500 კაცი, ხოლო მენაშეს შტოში - 32 500 (რიცხვ. 1:33-35).

იაკობი აკურთებს ეფრემსა და მენაშეს.
ბენჯამინ უესტის ნახატი

წიგნი არ გვაწვდის ინფორმაციას ეფრემისა და მენაშეს პროფესიების, ხასიათების, ურთიერთდამოკიდებულების შესახებ - იყო თუ არა მათ შორის რაიმე სახის დაპირისპირება. შესაბამისად, არ შეგვიძლია ამ ჭრილში შევადაროთ ერთმანეთს. როგორც ჩანს, აქ მნიშვნელოვანი მხოლოდ კონკრეტული ფაქტი - იაკობის მიერ იოსების შვილების კურთხევის სცენაა მნიშვნელოვანი და სხვა დეტალების ცოდნა არ გვჭირდება.

ჩვენ განვიხილეთ სამი ძმის ისტორია, რომლებიც გამოვარჩიეთ, რათა გვეჩვენებინა ხუთწიგნეულის დამოკიდებულება პირმშოობის უფლების მიმართ. როგორც დავინახეთ, იგი მატერიალურთან ერთად

არამატერიალურ სარგებელსაც იღებდა. პირმშო ღვთის სულის მატარებელი იყო, რომლის მეშვეობითაც ის იძენდა შესაბამის უნარებს, ქარიზმას, რისი დახმარებითაც შეძლებდა აღესრულებინა ღვთის ნება. თავის ხმრივ, ღმერთიც შეეწეოდა მას, როგორც იაკობს შეეწია - ხელცარიელი, ძმის რისხვას გაქცეული იაკობი, ლაბანთან მდგმურობის განმავლობაში ძალზედ გამდიდრდა. ეფრემის შთამომავლობა კი კურთხევისამებრ მრავალრიცხოვანი გახდა. რა თქმა უნდა, ღმერთი უმეტესწილად არ ერეოდა და თავისი სურვილისამებრ არ ცვლიდა პირმშოობის კანდიდატებს. იგი მხოლოდ მაშინ მოქმედებდა, როდესაც საფრთხის ქვეშ დგებოდა პირმშოს შესაძლებობები. ვინაიდან მას სჭირდებოდა ისეთი ჭურჭელი, რომელიც ღვთის სულის მიღების შემდეგ სწორად და კეთილსინდისიერად წარმართავდა მას. არ შეიძლება კაენი ყოფილიყო უფლის დასაყრდენი, ვინაიდან მისი გული არ იყო სუფთა. არც ესავი იყო მისთვის მისაღები, ვინაიდან თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მისი შთამომავლობიდან ვერ წარმოდგებოდა ღვთის რჩეული ხალხი. თუნდაც იმიტომ, რომ ცოლებად შეირთო ხეთელი ქალები, ისაკის რჩევის საწინააღმდეგოდ, განსხვავებით იაკობისა, რომელმაც ისაკის მსგავსად ნათესავი ქალები მოიყვანა ცოლად. როგორც ჩანს, მენაშე არ იყო ბოროტი უფლის თვალში, ვინაიდან მასაც აკურთხებს იაკობი, მაგრამ ეფრემი ამჯობინა ძმას. არაფერი ვიცით მათ თვისებებზე, მაგრამ რადგან უფალმა სწორედ ეფრემი გამოარჩია, ე.ი. მასში დაინახა ის, რაც გამოარჩევდა და ძმაზე წინ აყენებდა, რომლის შთამომავლობაც უნდა გამრავლებულიყო, ვინაიდან ჯანსაღი ხე ჯანსაღ ნაყოფს გამოიღებს და სწორედ მისი რჩეულის, იაკობის მიერ უნდა ეკურთხებინა იგი. თუ წარღვნამდე უფალი ღიად გამოხატავს თავის აზრს, შემდგომში დაფარულია. ის უწინასწარმეტყველებს რებეკას იაკობის რჩეულობის შესახებ, ხოლო იაკობს შთააგონებს ეფრემზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი უფლის ნებაა და მთავარი სწორედ მისი აღსრულებაა. ამ დროს ყოველგვარი წესი, ტრადიცია აზრს კარგავს. არ აქვს მნიშვნელობა ამას რა შედეგი მოჰყვება, მთავარია ღვთის ჩანაფიქრი განხორციელდეს. ღვთის რჩეულები კი ერთგვარი გამტარები არიან ამ იდეისა, რომლებიც მიწაზე მოქმედებენ და უფლის განგებით დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ.

ავტორი - თორნიკე ფსუტური

კულტურა და ცივილიზაცია

არაბულ-მუსლიმური ესპანეთი

თუ ესპანეთში იმოგზაურებთ, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ ნაწილში, ძალიან ბევრ საინტერესო ფაქტს აღმოაჩენთ არაბულ-ესპანურ კულტურასთან დაკავშირებით. სევილია, კორდოვა, გრანადა — ეს ის ქალაქებია, სადაც დღემდე იგრძნობა არაბთა უდიდესი გავლენა. მათ საკუთარი კვალი დაამჩნიეს ესპანურ ენას, ხელოვნებას, არქიტექტურას, მედიცინასა და მეცნიერებას.

აბდ არ-რაჰმან I

მუსლიმურ ესპანეთში, რომელიც აბასიანთა სახალიფოს ჯერ კიდევ VIII საუკუნეში გამოეყო, დაიწყო ე. წ. არაბულ-ესპანური კულტურის განვითარება. კორდოვას ომაიანთა დინასტიისა და საამიროს ფუძემდებელი აბდ არ-რაჰმან I (756-788) გაიქცა დამასკოდან პალესტინაში, იქიდან ეგვიპტეში, შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში. 755 წელს გადავიდა ანდალუსიაში, ისარგებლა სხვადასხვა არაბული ტომების შიდა დაპირისპირებით და 756 წელს სევილია აიღო, მოგვიანებით კორდოვასთან დაამარცხა ანდალუსიის მმართველი და თავი ანდალუსიის ამირად გამოაცხადა.

კორდოვას საამიროს გამორჩეული მმართველი იყო აბდ არ-რაჰმან III (912-961), რომლის მმართველობა არის ყველაზე ბრწყინვალე ხანა მუსლიმური ესპანეთის ისტორიაში. აბდ არ-რაჰმანის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგი იყო კორდოვას საამიროს პოლიტიკური გაერთიანება. მან კონტროლი დაამყარა მთელ ესპანეთსა და პორტუგალიაზე. როდესაც აბდ არ-რაჰმანმა შეიტყო აბასიანი ხალიფა ალ-მუკთადირის მკვლელობის ამბავი და თურქი მხედართმთავრების ხალიფებზე ზეწოლის შესახებ, გადაწყვიტა საკუთარი თავი გამოეცხადებინა ხალიფად. ეს მოხდა 929 წელს და ამ დროიდან ესპანეთში ომაიანთა მუსლიმური სახელმწიფო იწოდებოდა კორდოვას სახალიფოდ.

ალ-ჰაქამის ძეგლი ესპანეთში

მუსლიმურმა ესპანეთმა აყვავებას მიაღწია ალ-ჰაქამ II-ის (961-976) მმართველობის დროს. ის იყო სამართლიანი და განათლებული მმართველი, მეცნიერი, ბრწყინვალედ იცოდა ისლამური სამართალი და ისტორია. გატაცებული იყო წიგნების შეგროვებით. მან უმდიდრესი ბიბლიოთეკა დატოვა. ალ-ჰაქამის მმართველობის პერიოდში განვითარდა მეცნიერება და დიდ წარმატებას მიაღწია განათლების სფერომ.

ალ-ჰაქამის შემდეგ კორდოვას სახალიფოს ფაქტობრივი გამგებელი იყო ჰაჯიბი - მთავარი მინისტრი. XI საუკუნის I მესამედი კორდოვას სახალიფოში ფეოდალური შინაომებით აღინიშნა. 1031 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს და კორდოვადან განდევნეს უკანასკნელი ხალიფა ჰიშამ III (1026-1031). კორდოვას სახალიფო კი მრავალ წვრილ საამიროდ დაიშლა. ამის შემდეგ ესპანეთის სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. XIII საუკუნისათვის არაბების უკანასკნელ საყრდენ პუნქტად რჩებოდა გრანადის საამირო, რომელიც ესპანელებს ხარკს უხდიდა. 1492 წელს გრანადაც ესპანელების ხელში აღმოჩნდა - ესპანეთში მუსლიმთა ბატონობის ხანა დასრულდა.

არაბული გავლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს ესპანურ მუსიკაში. მას თავისი ღრმა კვალი დაამჩნია მუსიკოსმა აბუ ლ-ჰასან ‘ალი ბ. ნაფი‘-მ (გარდ. 852 წ.), იგივე ზირიაბმა, რომელიც იყო არაბული მუსიკის პოპულიზატორი ესპანეთში. ის იყო იმდროინდელი მუსიკოსებისა და მომღერლების ერთ-ერთი უდიდესი მასწავლებელი. ბაღდადიდან ანდალუსიაში წასულმა ზირიაბმა ქალაქ კორდოვაში მუსიკალური სკოლა დააარსა, სადაც განათლებას იღებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული სტუდენტები. ზირიაბმა დაწერა რამდენიმე თეორიული ნაშრომი, გამოიგონა მედიატორი და ბარბითს მეხუთე სიმი დაამატა. მან მოახდინა ნამდვილი რევოლუცია, მუსლიმური ესპანეთი გადააქცია არაბულ-მუსლიმური ხელოვნების ცენტრად, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო არაბული წარმოშობის მუსიკალური ინსტრუმენტების გავრცელებასა და საორკესტრო მუსიკის განვითარებას.

ბარბითი

XI საუკუნიდან ესპანეთმა დიდი როლი ითამაშა დასავლეთ ევროპის სამყაროს ევოლუციაში, ახალი ცხოვრებისეული ესთეტიკის განვითარებაში. „მუსლიმური დასავლეთი ესაა ანტიკური სამყაროს ნაწილი, რომელმაც ევროპულ რენესანსზე რამდენიმე საუკუნით ადრე შეინარჩუნა და ახალ სამყაროს გადასცა ანტიკური სამყაროს მიღწევები“ [Леви-Провансаль Э. Арабская культура в Испании., 1967, стр. 80]. ანდალუსიისა და კორდოვას უნივერსიტეტები იყო „Alma Mater“ ევროპელთათვის, სადაც ისინი შეისწავლიდნენ როგორც არაბთა მიერ თარგმნილ ბერძნულ, ასევე ორიგინალურ ნაშრომებს მუსიკაში.

პირინეის ნახევარკუნძულზე საუკუნეების განმავლობაში მცხოვრებმა არაბებმა სხვადასხვა ტიპის მუსიკა, სიმღერა და ცეკვა შექმნეს. ყველაზე პოპულარული იყო ზაჯალის და მუვაშაჰის[11] ტიპის ლექსები და სიმღერები. ანდალუსიაში დაბადებული მუკადამ იბნ ქაბრი (847-912) ითვლება მუვაშაჰის მამად. მისმა სიმღერებმა სახელი მოიხვეჭა როგორც მუსლიმურ, ასევე ქრისტიანულ საზოგადოებებში. მისი ლექსები გავრცელდა მთელ არაბულენოვან სამყაროში, რომლებსაც დღემდე ასრულებენ. მუვაშაჰის მსგავსად, ზაჯალმაც ფართო გავრცელება ჰპოვა. იბნ კუზმანი (1078-1160) იყო ცნობილი პოეტი კორდოვადან, რომლის ლექსებიც ცნობილი გახდა არაბულ აღმოსავლეთში. ზაჯალის ტიპის ლექსები დღემდე განაგრძობს არსებობას ეგვიპტურ და ლიბანურ ხალხურ ხელოვნებაში. ითვლება, რომ სწორედ ზაჯალმა დაუდო საფუძველი ტრადიციულ ესპანურ საშობაო ჰიმნს „ვილანსიკო“.

ფლამენკოს მოცეკვავე

არაბებმა ანდალუსიაში მოიტანეს თავიანთი სასიმღერო ფორმები და ეპიკური პოემები, რომლებიც ფლამენკომ შთანთქა. მუსიკის ბევრი ისტორიკოსი წერს, რომ ფლამენკოს სიმღერები სხვა არაფერია, თუ არა ძველაღმოსავლური რელიგიური სიმღერების მღერა და ლირიკა. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ფლამენკოს სიმღერის მანერა მუეძინებისგან აღმოცენდა, რომლებიც მუსლიმებს ლოცვისკენ მოუწოდებდნენ. ნიკოლსონ ადამსი შენიშნავს, რომ „აშკარად არსებობს რაღაც აღმოსავლური, არაევროპული, უბრალო მელოდიებისა და დამახასიათებელი რიტმის სახით“. ლიტერატურის კრიტიკოსი ენრიკე სორდო მოგვითხრობს ესპანური შეძახილის „ოლეს“ შესახებ. მისი აზრით, „იგი მომდინარეობს არაბული შეძახილიდან „ვა-ლლაჰ“ (არაბ. „ვფიცავ ღმერთს“), რომლითაც არაბები აგვირგვინებდნენ ყოველ პოეტურ გამოსვლას“.

[11] ზაჯალი და მუვაშაჰი - არაბული ზეპირსიტყვიერი პოეზიის ჟანრები

კორდოვას დიდი მეჩეთი

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ არაბებმა ანდალუსიაში უამრავი ტრადიციული ხელნაკეთობის ნიმუში დატოვეს. ასეულობით წლის წინ, როცა ანდალუსია ქრისტიანებმა დაიბრუნეს, მისი დიდებული მემკვიდრეობის კვალი ნელ-ნელა გაქრა. თუმცა, ბოლო ათწლეულებია, მთელ ანდალუსიაში, განსაკუთრებით კორდოვაში, აღდგა ხალიფების დროინდელი ხელნაკეთობების დამზადების წესი. განახლდა კერამიკისა და თიხის დამზადება. იქმნება ბოთლები, თასები,
თეფშები, რომლებზეც დატანილია გეომეტრიული ფორმები, მცენარეებისა და ცხოველების გამოსახულებები, ქუფური დამწერლობით შესრულებული წარწერები. თითქოს, არაბული ანდალუსია განაგრძობს არსებობას. გრანადასა და მის ახლოს მდებარე ქალაქებში შენარჩუნებულია ტრადიციული არაბული კერამიკის დამზადების წესი. თიხის ნაკეთობებიდან გამორჩეულია ფილიგრანული დოქები მრავალი დეკორატიული დეტალით, რომელიც წარმოადგენს უკანასკნელი არაბული დინასტიის - ნასრიდების (XIII-XVსს.) მემკვიდრეობას ესპანეთში.

ხალიფების დროინდელ კორდოვაში ძალიან ცნობილი იყო ტყავის ნაწარმი. ოსტატების მიერ ნატიფად შესრულებული ტყავის ნაკეთობები მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი თავისი წარმოების ტექნიკით. ამ სტილს დღესაც იყენებენ. ესპანეთის სხვადასხვა ქალაქი განთქმულია ტყავის წარმოების არაბული სტილით. ტყავისგან ამზადებენ უნაგირებს, ხელნაკეთ ქამრებს, კაბურებს, ფეხსაცმელებს და ა.შ.


იბნ რუშდი

არაბებმა გავლენა მოახდინეს ესპანურ არქიტექტურასა და დიზაინზე. ესპანელმა მუსლიმმა ხუროთმოძღვრებმა გამოიყენეს სხვადასხვა ცივილიზაციისაგან აღებული დეტალები. არაბულ-ესპანურ ხელოვნებაში, რომელიც ვესტგოთების, ბერბერებისა და არაბების მხატვრული ტრადიციების შერწყმის საფუძველზე ყალიბდება, განსაკუთრებით გამოირჩევა მავრითანული ანუ მავრული არქიტექტურული სტილი. ის ჩამოყალიბდა XI-XVI საუკუნეებში. მისთვის დამახასიათებელია თაღები, გუმბათები და მდიდარი გეომეტრიული ორნამენტი. აღსანიშნავია კორდოვას (მეზკუიტას) დიდი მეჩეთი, დღეს კათოლიკური ტაძარი. მისი თაღები, რომლებიც თეთრ და წითელ ფერშია გადაწყვეტილი, შესაძლოა, იერუსალიმში მდებარე „კუბბათ ას-სახრას“ (არაბ. „კლდის გუმბათი“) არქიტექტურით

იყოს შთაგონებული; ალ-ჰამბრას სასახლე გრანადაში, რომელიც ითვლება ისლამური ხელოვნების შედევრად; მადინათ აზ-ზაჰრა, ქალაქი სასახლეებითა და ბაღებით. დროთა განმავლობაში მომხდარი ბრძოლების შედეგად, იგი მიტოვებულ იქნა.

ანდალუსიელმა ექიმებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მედიცინის განვითარებაში. იბნ რუშდიმ (1126-1198), რომელიც გახლდათ ცნობილი ფილოსოფოსი და ექიმი, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ადამიანი არ შეიძლება მეორედ დაავადდეს ყვავილის ინფექციური დაავადებით. ანდალუსიელი მეცნიერისა და ქირურგის აბუ-ლ-კასიმ აზ-ზაჰრავის (გარდ. 1009 წ.) შრომებმა, რომლებიც ჯერ ებრაულად ითარგმნა, XIII საუკუნეში კი ლათინურად, დიდი გავლენა მოახდინეს ევროპული მედიცინის განვითარებაზე. აზ-ზაჰრავიმ მოგვცა სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციის, ამპუტაციების დეტალური აღწერა. მან პირველმა გამოიყენა აბრეშუმის ძაფი ჭრილობაზე ნაკერის დასადებად და პირველმა აღწერა ჰემოფილია. ცნობილმა ლიტერატორმა, პოეტმა და ისტორიკოსმა იბნ ალ-ხატიბ ალ-ანდალუსმა (გარდ. 1375 წ.) სამედიცინო შრომებიც დაგვიტოვა. მან თავის ტრაქტატში - ტა'უნ აჩვენა შავი ჭირის დაავადების წარმოშობა ინფექციებიდან და განიხილა მისი პროფილაქტიკის მეთოდები.

ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც ესპანურ ენას დანარჩენი რომანული ენებისგან განასხვავებს არის ის, რომ იგი განსაკუთრებით მდიდარია არაბული ლინგვისტური ელემენტებით (დაახ. 4000 სიტყვა). არსებითი სახელები, ტოპონიმები, მცირე რაოდენობით ზედსართავი სახელები და ზმნები - არაბულ გავლენას განსაკუთრებით განიცდიან. ესპ. Usted („თქვენ") - არაბ. Ustadh („პროფესორი", „დოქტორი"); ესპ. Hasta („მდე") - არაბ. Hatta („მდე"); ესპ. Azúcar („შაქარი") - არაბ. As-sukkar („შაქარი"); ესპ. Ajedrez („ჭადრაკი") - არაბ. Ash-shatranj („ჭადრაკი") და ა.შ.

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ მუსლიმმა არაბებმა მხოლოდ ესპანეთის მცირე რეგიონზე დატოვეს კვალი, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილზე. სინამდვილეში, არაბთა გავლენა მთელ პირინეის ნახევარკუნძულზე ძლიერ შესამჩნევი იყო. მათ ამ ადგილას შექმნეს ღირსშესანიშნავი ცივილიზაცია. როგორც ვიცით, ცივილიზაცია ფასდება სამოქალაქო აზროვნებით, კულტურათა ურთიერთობით, თავისუფლებითა და ტოლერანტობით. საუკუნეების წინანდელ ესპანეთში კი ეს ყველაფერი არსებობდა. ყოველივე ზემოთთქმული ანდალუსიის უნიკალურობაზე მიგვანიშნებს, რომელიც, რა თქმა უნდა, არაბულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ავტორი - გვანცა ბალახაძე

რამდენიმე ცნობა ბერბერების შესახებ

ჩრდილოეთ აფრიკაში მხოლოდ არაბები როდი სახლობენ. ბერბერებს, იგივე ამაზიღებს, არაბების გამოჩენამდე ეკავათ ეს რეგიონი. ბერბერები ატლანტის ოკეანის სანაპიროდან სივას ოაზისამდე (ეგვიპტე) ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მდინარე ნიგერის ჩრდილოეთით სახლობენ. ისინი წარმოადგენენ ჩრდილოეთ აფრიკის მკვიდრ ეთნიკურ ჯგუფს. ბერბერები ცხოვრობენ მაროკოში, კერძოდ არ-რიფისა და ატლასის მთიანეთში; ალჟირში, თუნისის სამხრეთ ნაწილში, ლიბიასა და ეგვიპტეში. რაც შეეხება ბერბერ-ტუარეგებს[12], ისინი ბინადრობენ ალჟირის სამხრეთ ნაწილში, ნიგერში, მალიში და სხვ.

XX საუკუნის მიწურულს ბერბერების რიცხვი 11 მილიონს აღწევდა. აქედან 6 მილიონი მაროკოში, ხოლო 4,5 მილიონი ალჟირში ცხოვრობდა.



ბერბერული ჯგუფების განსახლების არეალი

ბერბერულ ენებს მიაკუთვნებენ აფრაზიულ ენათა ოჯახს. არსებობს რამდენიმე ბერბერული ენა: რიფის, ტამაზიღტი, კაბილური, ტუარეგული და სხვ. ამ ენებმა ძირითადად ზეპირსიტყვიერების მეშვეობით მოაღწიეს ჩვენამდე. XX საუკუნის შუახანებიდან ოფიციალურად სამი დამწერლობა - არაბული, ლათინური და ტიფინაღი (ბერბერების უძველესი დამწერლობა) გამოიყენება.

დღესდღეობით ბერბერები საუბრობენ არაბულ და ყოფილი მეტროპოლიების ენებზე– ფრანგულსა და ესპანურზე. თუმცა, ბერბერული ენა შემოინახეს ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, როგორიცაა მაღრიბის ქვეყნები – ალჟირი, ლიბია, თუნისი, მაროკო. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მაროკო, ალჟირი და თუნისი არაბიზაციის პოლიტიკას ეწეოდნენ, რაც ოფიციალურ ენად ფრანგულის არაბულით ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად. ამის შედეგად, მაღრიბული დიალექტი და ბერბერული ენა ზეწოლას განიცდიდნენ, რასაც მათი მხრიდან პროტესტი მოჰყვა და დღეს მაროკოსა და ალჟირში ბერბერული ენა სახელმწიფო ენადაა აღიარებული.

მაღრიბის ქვეყნებში პირველი დასახლებები გვხვდება დაახლოებით ჩვენს წელთააღრიცხვამდე 2000 წელს. ბერბერების წინაპრებად მიჩნეულნი არიან დასავლეთ ეგვიპტეში მცხოვრები ლიბიელები. ამ ფაქტს ადასტურებს ძველი ეგვიპტური წარწერები, რომლებიც ძვ.წ. IV ათასწლეულით თარიღდება. ეგვიპტელები მათ უწოდებდნენ „ლებუს“ ან „ლიბუს“, საიდანაც შემდგომში მივიღეთ სახელწოდება „ლიბია“. ძველ ეგვიპტელებს ბერბერებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ (ერთმანეთთან ვაჭრობდნენ; ასევე მათ შორის იყო სამხედრო კონფლიქტები).

მოგვიანებით ბერბერების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბიზანტიელები. მათ ცნობებში ბერბერები ფიგურირებენ, როგორც ყაჩაღები, ბარბაროსები და ქრისტიანული მონასტრების გამანადგურებლები. ამავდროულად, ბიზანტიის ეპოქაში ბერბერების სახელმწიფო რელიგია სწორედ ქრისტიანობა იყო, VII-VIII

[12] **ტუარეგები** - სამხრეთ საჰარაში მოსახლე ბერბერული მოდგმის ხალხი, რომელთა რიცხვი 2.5 მილიონს აღწევს.

საუკუნეებში მთელი ჩრდილოეთ აფრიკა არაბებმა დაიპყრეს და არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში გააერთიანეს. დაიწყო ისლამიზაცია. დღესდღეობით ბერბერთა ძირითადი ნაწილი სუნიტი მუსლიმია, თუმცა მაროკოში გამოიყოფა მცირე ჯგუფები, რომლის წარმომადგენლებიც იუდაიზმის მიმდევრები არიან.

არაბების მიერ ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობამდე ბერბერ ხალხს ჰქონდა სახელმწიფოებრივი გაერთიანებები, რომელნიც იქმნებოდნენ ბერბერების ამა თუ იმ ტომის მიერ. ბერბერთა ერთ–ერთმა უძველესმა ხალხმა – ნუმიდიელებმა შექმნეს სახელმწიფო ნუმიდია, რომელმაც ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში დიდი როლი ითამაშა დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკურ არენაზე.

VIII საუკუნეში ბერბერ ტომთა რაზმებმა არაბებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ესპანეთის დაპყრობაში, მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ ომში.

სახელი „ბერბერი“, რომელიც არაბთა მიერ ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობის შემდეგ, VII-VIII საუკუნეებში გამოჩნდა, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ბარბაროს“, რომელსაც არაბებთან „არა არაბის“, „ურწმუნოს“ მნიშვნელობა ჰქონდა.

ათასობით წლის განმავლობაში ბერბერები ინარჩუნებდნენ თავიანთ იდენტობას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მათზე ბატონობდნენ: კართაგენელები, ფინიკიელები, ბერძნები, რომაელები, ვანდალები, ბიზანტიელები, არაბები, თურქები, ფრანგები და ესპანელები. მიუხედავად იმისა, რომ დაპყრობლებმა დატოვეს დიდი კვალი ბერბერებზე, მათ ხალხზე, კულტურასა და ცხოვრების სტილზე, ამ უკანასკნელებმა მოახერხეს შეენარჩუნებინათ თავიანთი თვითმყოფადობა. ტრადიციები და ენა განსაკუთრებით კარგად ტუარეგებმა შეინარჩუნეს დასავლეთ საჰარაში, ასევე ზოგიერთმა ბერბერულმა ჯგუფმა მაროკოში, რადგანაც ტერიტორიის სიშორის გამო დამპყრობლების გავლენა მათზე მინიმალური იყო.

თაკლას მომზადება

ბერბერთა ტრადიციულ რელიგიას მიეკუთვნება ანემიზმი - ბუნების ძალების თაყვანისცემა. როცა ბავშვი იბადება, მის ლოყაზე ან შუბლზე ბასრი იარაღით გამოსახავენ ჯვარს, მათი რწმენით ახალშობილის სისხლი არის მსხვერპლი დედამიწისათვის.

მაროკოელი ბერბერები ახალ წელს 13 იანვარს აღნიშნავენ, ეს რიცხვი არაა დაკავშირებული რელიგიურ დღესასწაულთან. ახალი წლის ღამეს აკრძალულია სადილის მომზადება. ღამით ბერბერები მიირთმევენ კერძს, რომლის სახელია „თაკლა“. ის წარმოადგენს ფქვილის, წყლის, მარილის, ზეითუნის ზეთისა და თაფლის ნარევ ცომს. ახალი

წლის პირველ დღეს საჭიროა დაირგას ზეითუნის ხე. ამ ტრადიციით ბერბერები მადლობას უხდიან ნიადაგს, რათა მომავალი წელი ნაყოფიერი აღმოჩნდეს.

ბერბერი ქალი

ბერბერების კიდევ ერთი ტრადიციაა ქალების სახის მორთვა სხვადასხვა სიმბოლოთი. თუმცა დღეს ეს უკვე კანონით აკრძალულია. ტატუების რაოდენობა მისი მატარებლის სოციალურ მდგომარეობას განსაზღვრავს. ყველა სიმბოლოს აქვს ღრმა აზრი; ერთ-ერთი მათგანი ჯვარია, რომელიც ბერბერთა კულტურაში გამოჩნდა ქრისტიანობის ჩამოყალიბებამდე ბევრად ადრე. ეს სიმბოლოები დაკავშირებული იყო კერპთაყვანისმცემლობასთან, კონკრეტულად, მზის კულტთან. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ოვალი, რომელიც გამოხატავს სიცოცხლეს.

არსებობს არაბული სამყაროსგან განმასხვავებელი ნიშნებიც. არაბებისგან განსხვავებით ბერბერი ქალების უმრავლესობა ჩადრს არ ატარებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბერბერი ქალის სტატუსი ყველგან ერთნაირი როდია. კაბილიასა და არ-რიფში ქალის თავისუფლება ძალზე შეზღუდულია. სამხრეთ მაღრიბის (ატლასი და ორესი) მთიან რეგიონში კი საზოგადოება ქალს ნაკლები სიმკაცრით ექცევა. საჰარაში მცხოვრები ტუარეგი ქალის სტატუსი კი ბევრად მაღალია. ტუარეგის ოჯახში წარმომავლობა და მემკვიდრეობითობა ქალის ხაზით განისაზღვრება.

ბერბერების ძირითად საქმიანობას მეცხოველეობა და მიწათმოქმედება წარმოადგენს. ისინი აწარმოებენ დიდი რაოდენობის ზეითუნის ზეთს. რაც შეეხება ხელობას, ქალების ძირითადი ნაწილი დაკავებულია სამეურნეო საქმიანობით. მჭედლობას კი ყველა ჯგუფის ბერბერი ეწევა, გარდა ტუარეგებისა.

ტუარეგები ცისფერი ბამბის ქსოვილის სამოსს ატარებენ. მუქი ლურჯი ტურბანი უდაბნოს მომთაბარე ტუარეგი მამაკაცის სამოსის განუყოფელი ატრიბუტია

მაროკოელ, ალჟირელ და თუნისელ ბერბერებში არის პატრიარქალური და მონოგამიური ურთიერთობა. სოფლის მოსახლეება შედგება 3-4 დიდი ოჯახისგან. რამდენიმე სოფელი ერთიანდება ოლქში, რომელსაც ჰყავს „უხუცესთა საბჭო“. ეს საბჭოები ორგანიზებას უწევენ ვაჭრობასა და საგარეო კავშირებს.

მართალია, ბერბერებს სახელმწიფო არ აქვთ, მაგრამ საკუთარი დროშა გააჩნიათ. ბერბერების განსახლების ადგილთა შესაბამისად, დროშას სამი ფერი აქვს: ცისფერი (ზღვის), მწვანე (მთების) და ყვითელი (ქვიშის). დროშაზე გამოსახული წითელი ფერის სიმბოლო თავისუფალ ადამიანს განასახიერებს.

ამრიგად, ბერბერების განსაკუთრებულობა არა მხოლოდ მათი ტრადიციებისა და კულტურის არქაულობით გამოიხატება, არამედ იმითაც, რომ სიტყვა „ბერბერი“ მსოფლიოში „თავისუფალი ხალხის“ სინონიმადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ბერბერები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადახვა ცივილიზაციის შემადგენლობაში იყვნენ, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს იდენტობის შენარჩუნება.

ავტორი - ალისა არჩვაძე

აღმოსავლეთი ქართული პრესის არქივში

XIX საუკუნის ქართული პრესა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად მიმოიხილავდა, ბევრს საუბრობდა სხვა ხალხების კულტურის შესახებ, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლეთის ხალხებს ექცეოდა. გთავაზობთ გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილ ორ წერილს და „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ერთ სტატიას. მართალია, პირველ ორ ტექსტში მოცემული ზოგიერთი ცნობა სიმართლისაგან ძალიან შორსაა, მაგრამ მკითხველისთვის მათი გაცნობა მაინც საინტერესო იქნება. სტილი დაცულია

მაროკკო

მაროკკოს სახელმწიფო მდებარეობს აფრიკაში, ალჟირის გვერდით და თვით საფრანგეთზე ერთი ორათ დიდია. ჰაერი მშვენიერი, ზამთარში არ იცის დიდი სიცივეები და ზაფხულში დიდი სიცხეები. ბუნებაც მდიდარია; ამბობენ დიდძალი ვერცხლი, რკინა და სპილენძი არის ჩაფლული მის მთებში; მაგრამ აქამდის ეს სიმდიდრე ხელშეუხებელია.

მიწა თუმცა ქვიშიანია - მოსავალი კარგი იცის. მისი შემუშავება კი ძველებურათ მიჰყავთ და მგზავრი ბევრ უცნაურ რამეს ხედავს.

ერთი მათგანი აგვიწერს, როგორ ხნამენ ამ სახელმწიფოში მიწას: გუთანში ვირსა და თხას აბამენ ერთათ. თურმე ეს გუთანი ოთხი-ათასი წლის წინეთ რომ ხმარობდნენ იმისთანა არის, აქა-იქ ცოტათი აჩიჩქნის მიწას და იმითი თავდება, საცოდავობაა ამ მუშაობის ცქერა, მაგრამ მაინც ზოგჯერ დიდი მოსავალი მოუდით, მეტადრე თუ სარწყავი ადგილია.

მაროკკოში ამბობენ ხალხი ათ მილიონამდის ცხოვრობს, მაგამ ამის სინამდვილე საეჭვოა, რადგან იქაური ხალხი უარჰყოფს სტატისტიკას.

მკვიდრ მცხოვრებთა შორის ბევრი არაბები ცხოვრობენ, რომელთაც ხელში უჭირავთ მთელი აღებ-მიცემობა. აქ ზანგებიც არიან - უფრო კი მუშათ, მოსამსახურეთ და ჯარის კაცებათ. ბევრი ურიებიც ცხოვრობენ დიდი ხნის დროიდან გადმოსახლებულნი. ევროპიელნიც არიან, მაგრამ ცოტანი და ხალხი მათ არა წყალობს. მაროკკოს მკვიდრ ხალხს შვენიერი ახოვანი ტანის მოყვანილობა აქვთ. იმათში არც კოჭლი, არც კუზიანი და არც უმსგავსათ სქელი კაცი არ მოიპოვება. მხოლოთ ზოგჯერ შეხვდებით თვალებ ამოთხრილებს და უცხვირო კაცებს, ესეც იმიტომ, რომ იმათი მკაცრი კანონი სჯის ასე.

იქაური ქალები პირახვეულნი არიან ყოველთვის და მათი სილამაზე საეჭვოა, რადგან მუდამ ხელგაუნძრევლათ, უჰაეროთ ოთახში დამწყვდეულნი არიან. სამაგიეროთ ურიის ქალების სილამაზე შემჩნეულია ყველა მგზავრებისაგან: მათი მხიარული თეთრ-წითელი სახე, შავი მაყვალივით თვალები და ლაზათიანი ტანის მოყვანილობა იზიდავს ყველას.

მაროკკოში დესპოტიური გამგებლობა არსებობს; სულთანი არის სრული მფლობელი თავისი ქვეშევრდომებისა - უნდა აცოცხლებს მათ, უნდა მოჰკლავს და ვერავინ ვერ შეეხება იმას, რადგან ცით მოვლენილათ მიაჩნიათ. მისი ყოველივე ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდება. სულთანის აზრით ხალხი უნდა იყოს ღარიბ-ღატაკი, დაჩაგრული და უბედური, მაშინ ვეღარ გაბედავს წინააღმდეგობას და სახელმწიფოში მყუდრო ცხოვრება იქნება. ამ საბაბით მთელ სახელმწიფოში ძლიერი ჩაგრავს უძლურს და სულთანი მათ ორივეს.

სულთანი მთელი დღე განცხრომაშია, უმეტეს დროს თავის გარემში ატარებს, რასაკვირველია ბევრს არას არგებს თავის ქვეყანას. ყველა მიძინებულია, წინმსვლელობა არ ეტყობა. სახელმწიფოში სულთანის კანონით არ შეიძლება სავაჭროს შეტან-გატანა, ამიტომაც აღებ-მიცემობაც ძალიან დაცემულია.

მაგრამ ერთ დროს ამ ქვეყნის ბედ-იღბალი სულ სხვა ნაირათ მიმდინარეობდა. მე-IX საუკუნეში მაროკკო განთქმული იყო თავის უნივერსიტეტით, თავის განათლებით.

ახლა ქალები ან გარემში ჰყავთ დროს გასატარებლათ და ან უყურებენ იმათ, როგორც მუშას, რომელსაც შეუძლიან პირუტყვის მაგიერობა გაუწიოსთ.

მაშინ სულ სხვა იყო: ქალები განათლებულნი იყვნენ, ცოდნით კაცებს არ ჩამოუვარდებოდნენ, უფლებაც ისეთივე ჰქონდათ, როგორიც კაცებს. რამდენიმე მათგანი პროფესსორი იყო, ზოგმა მეცნიერებით გაითქვეს სახელი. თვით ამ უძველესი უნივერსიტეტის დამფუძნებელი ქალი იყო, სახელად ფატმა. ქალებს საერთოთ ყველასაგან პატივი ჰქონდათ დამსახურებული და ოჯახშიაც შეჰქონდათ განათლება და ზნეობრივი გაუმჯობესობა. ყველას თვალი ეჭირა ამ უნივერსიტეტზე, ყოველ მხრიდან მოდიოდა ხალხი აქ მეცნიერების შესასწავლათ. ფრანგიც, ინგლისელიც და ნემეციც.

ახლანდელი უნივერსიტეტი თუმცა არსებობს კიდევ, მაგრამ აჩრდილიღაა მაშინდელი უნივერსიტეტისა.

ავტორი: **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი** (1849-1932 წწ.) - ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. გაზეთ „კვალის“ თანარედაქტორი.

„კვალი“, 1895 წ. N17

შახსეი-ვახსეი

ამ სახელით დღესასწაულობენ სპარსელები თავის წინასწარმეტყველის ალი-იბნ-აბი-ტალიბის მოწამეობას. ეს ალი იყო მაჰმადიდან მეოთხე ხალიფა ტახტზე აყვანილი. თვითონ ალი ბიძათ ერგებოდა მაჰმადს. მისმა წინასწარმეტყველებამ და სიბრძნის წიგნმა განხეთქა მაჰმადის სარწმუნოებისანი ორ ნაწილათ. ერთს მათგანს ეწოდა შიიტის სარწმუნოების აღმასრულებელნი. ამათ რწამსთ ნამდვილ წინასწარმეტყველათ ალი და მაჰმადს მწვალებლად აღიარებენ. ალი მოკლეს მაჰმადის მორწმუნეთა, ანუ სუნიტებმა, ქალაქს კუფას და მასთან ამოწყვიტეს მისი ნათესაობა სულ ერთიანათ. ეს მოხდა იანვრის 19-ს 661 წელს ქრ. აქეთ.

ამ დღიდგან მაჰმადის სარწმუნოება გაიყო ორათ: შიი და სუნნი.

სუნნის სარწმუნოებისანი არიან ოსმალნი, ხოლო შიიტებათ იწოდებიან სპარსელები. როგორც ოსმალებს აქვს თავისი დღესასწაული, რამაზანი, აგრეთვე შიიტებსაც აქვთ თავისი დღესასწაული შახსეი-ვახსეი. ამ დღესასწაულობის დროს სპარსელები შეიკრიბებიან თავის სალოცავებში, დასხდებიან მოფენილ ხალებზე და იწყებენ გოდებას და ტირილს სიმღერის ხმაზე. მათ წინ კათედრაზე დგას მულლა, რომელიც

მწუხარე ხმით მოუთხრობს მლოცველებს ალის ტანჯვას და მის ცოლ-შვილის გაწყვეტას სუნნიტებისაგან, ანუ ნამდვილ მაჰმადიანებისაგან. მისი საგრძნობელი კილოთი თხრობა ალის წვალებისა საშინელს მწუხარებას გამოიწვევს ხოლმე მლოცველებში, რომელნიც იცემენ ხელს თავში, იხოკვენ პირს, იკაწვრენ გულს იქამდე, სანამ სისხლი არ დაადინდებათ, თან მაღალი ხმით ქვითინებენ და იძახიან „შახსეის-ვახსეის“. ამის შემდეგ ისინი გამართვენ დიდ ლიტანიობას; მრავალი მართლმორწმუნე ალისა ამასაც არ კმარობს: ზოგი მათგანი ხანჯლით იკოდვენ ტანსა და თავ-პირს ასე, რომ მათ გადმოდისთ სისხლის კამარა. ქალაქ კუფაში, საცა ალი არის დამარხული, მისი ძეგლია ამართული და მრავალი მლოცველი შიიტის სარწმუნოებისა მიდის იქ ინდოეთიდან, სპარსეთიდან და ყოველ ქვეყნიდან, საცა კი შიიტის სარწმუნოების მაჰმადიანი მოიპოვება; ისინი განსაკუთრებული მძვინვარებით დღესასწაულობენ შახსეი-ვახსეის და მიიღებენ მრავალგვარ ჭრილობას თუ ხანჯლით, თუ დანით, თუ ხრმლით. ხშირათ მოხდება, რომ მლოცველი სისხლით დაიწრიტება და სულს განუტევებს. აქ დახატული სპარსელი ახალგაზრდა ნათლათ წარმოგვიდგენს შახსეის დღესასწაულობას. ამ დღესასწაულობის გადახდა იციან სპარსელებმა ალის მოკვლის დღეს.

„კვალი“, 1895 წ. N31

ქართული ჩანგი არაბულად

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის სირიაში გამოვიდა საიუბილეო კრებული, რომელშიც შევიდა პოემა „გამზრდელი“ და მწერლის რჩეული ლირიკა. ნაწარმოებები არაბულ ენაზე თარგმნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გურამ ჩიქოვანმა და სირიელმა მწერალმა ნიზარ ჰალილმა. კრებული გამოსცა სირიის საქმიანი წრეების ცნობილი წარმომადგენლის, ჩვენი, აწ განსვენებული თანამემამულის ლევან საღარაძის ვაჟმა ნიკოლოზ საღარაძემ. წიგნის მომზადებაში, რომელიც შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია:

- არაბ მკითხველამდე ქართული პოეზიის განუმეორებელი სილამაზის მიტანას აი უკვე რამდენიმე წელია ცდილობენ ლიტერატურული მოღვაწეები ნიზარ ჰალილი, შავქათ იუსუფი, გამომცემელი ტოროს ტორანიანი, - თქვა სს „საქართველოს“ კორესპონდენტთან საუბარში გ.ჩიქოვანმა. - მათი აქტიური მოღვაწეობის წყალობით არაბი მკითხველი პირველად გაეცნო ქართული ლიტერატურის მარგალიტებს, არაბულ ენაზე აჟღერდა რუსთაველის ჯადოსნური სტრიქონები, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ლირიკული ლექსები. გარდა ამისა, არაბულად ითარგმნა თანამედროვე მწერლების მოთხრობებიც. ერთობლივი მუშაობა საშუალებას მოგვცემს განვაგრძოთ ეს საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ-არაბული ლიტერატურული კავშირურთიერთობების განვითარებას. მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და სირიის კულტურის სამინისტროს თარგმანის განყოფილების თანამშრომლობის პირველი ნაბიჯია მრავალტომიანი თანამედროვე ქართული პროზა. პუბლიკაცია გამოვა სირიის მხარის ხარჯზე.

შევადგინე მრავალტომეული, თარგმანები კი ეკუთვნის შავქათ იუსუფს, სხვათა შორის, იგი ხელმძღვანელობს თარგმანის განყოფილებას. აგრეთვე გამოსაშვებადაა მომზადებული პირველი ტომი, რომელშიც წარმოდგენილია მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოები „კვაჭი კვაჭანტირაძე. ვაპირებთ კიდევ სამი ტომის გამოშვებას, რომლებშიც შევა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. სირიის კულტურის სამინისტროს ხარჯზე, რომელსაც თავისი გამომცემლობა აქვს, არაბულ ენაზე გამოვა აგრეთვე ქართული პოეზიის ანთოლოგია.

ერთობლივი მუშაობის მიზანია გავაცნოთ სირიის საზოგადოებრიობას, რომელიც დიდი ხანია იჩენს ინტერესს ქართული კულტურისადმი, ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. ანთოლოგია შეადგინა გ. ჩიქოვანმა. მის და ნიზარ ჰალილის თარგმანებში მოცემულია ქართული პოეზიის ფართო პანორამა V საუკუნიდან დაწყებული და ჩვენი დღეებით დამთავრებული. თვით ნაწარმოების გარდა მოცემულია ეპოქის მოკლე მიმოხილვა, ბიოგრაფიული მონაცემები. არაბულ ენაზე პირველად იქნება წარმოდგენილი ქართველი მეფეების - დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის, თამარ მეფის, თეიმურაზის, არჩილის, ვახტან მეექვსის პოეტური შემოქმედება. აქ ისინი წარმოგვიდგებიან როგორც არა მარტო ნიჭიერი პოეტები, არამედ ჰუმანისტი - განმანათლებლები, ღვთისმეტყველები. თუ გავითვალისწინებთ, რომ არაბულ ენაზე ძალზე შეზღუდული ცნობებია საქართველოს ისტორიის შესახებ, მაშინ ანთოლოგიამ როგორმე უნდა შეავსოს ეს ხარვეზები. აქვეა აგრეთვე არაბული წყაროებიც. მაგალითად, როცა საქმე ეხება დავით აღმაშენებლის ეპოქას, მოხსენიებულია იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიქი, რომელიც XII საუკუნეში მოხვდა საქართველოში, დაიწყო სამსახური დავითის ვაჟთან დემეტრე პირველთან და შემდეგ დატოვა ეპოქის აღწერა და ცნობები ამ მეფეებზე. ანთოლოგიაში შევიდა აგრეთვე რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა პოემები და ლექსები. ანთოლოგიის მნიშნელოვანი ნაწილი უკვე თარგმნილია, მალე დასრულდება მუშაობა ავტორთა ბიოგრაფიულ მონაცემებზე. როგორც შავქათ იუსუფმა აღნიშნა, არაბულ ენაზე რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემამ გაუხსნა გზა ქართულ ლიტერატურას არაბულ სამყაროში, ხელი შეუწყო ქართულ-არაბული ლიტერატურული კავშირურთიერთობის განმტკიცებას.

შარშან გ. ჩიქოვანი ეწვია დამასკოსა და ალეპოს, სადაც წაიკითხა ლექციები, მაშინ მან დასვა საკითხი საქართველოში სირიელი სტუდენტების ან ახალგაზრდა მეცნიერების სტაჟირების შესახებ იმ მიზნით, რომ მათ შეისწავლონ ქართული ენა და შეძლონ შემდგომში შეავსონ ქართული ენიდან მთარგმნელთა მცირერიცხოვანი რაზმი. ამ იდეამ გამოხმაურება ჰპოვა, და მიმდინარე წელს ახალგაზრდა ლიტერატორი ქალი ღადა ჯავიში ჩამოვიდა თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე იგი ერთი წლის განმავლობაში შეისწავლის ენას. ღადას აინტერესებს საქართველოს ისტორია, ფოლკლორი და ეთნოგრაფია, და მომავალში, როგორც გვითხრა, აპირებს ამით თავისი სირიელი კოლეგების დაინტერესებას. თვით იგი განათლებით ფილოლოგი, ალეპოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, არის თარგმანების წიგნის ავტორი, თუმცა ჯერჯერობით, ინგლისური ენიდან. იგი აპირებს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ქართველოლოგიასა და მთარგმნელობით საქმიანობას.

ა. ქიქოძე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990 წლის 15 დეკემბერი.

მოამზადა გიორგი არქანიამ

ახალგაზრდული კონფერენციის პროგრამა

2017 წლის 8 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მეოთხე ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის ხსოვნას.

აპოლონ სილაგაძე იყო ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1942 წლის 29 მაისს, ქალაქ თბილისში. 1965 წელს დაამთავრა თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1981-1985 წწ. იყო თსუ-ს პრორექტორი; 1986-1988 წწ. თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი; 2004-2006 წწ. თსუ-ს სემიტოლოგიის კათედრის გამგე; 2006-2017 წწ. ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის კათედრის გამგე, სრული პროფესორი. 1988-1992 წწ. გაზეთ "სახალხო განათლების" (შემდგომში უზენაესი საბჭოს გაზეთი "ერი") მთავარი რედაქტორი; 1992-1998 წწ. გაზეთ "სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი; 1998-2004 წწ. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ლიბანის რესპუბლიკასა და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოში. მეცნიერული ინტერესების სფერო: არაბისტიკა, ქართველოლოგია (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა და ლექსმცოდნეობა, ისტორიოგრაფია), გამოქვეყნებული აქვს 120 სამეცნიერო ნაშრომი. 1975 წლიდან გახლდათ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1976 წლიდან - დოცენტი, 1988 წლიდან - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 1990 წლიდან - პროფესორი. იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. 1990-1991 წლებში იყო პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. გარდაიცვალა 2017 წლის 25 ივლისს.

ბატონ აპოლონ სილაგაძისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული კონფერენციის პროგრამა:

1. **გიორგი არქანია.** „ურაბი ფაშას აჯანყება ეგვიპტეში და გამოხმაურება საქართველოში“. ხელმძღვანელი - გოჩა ჯაფარიძე.

2. **თათია ბუწურაძე.** ჰასანლუს თასის იკონოგრაფიის ანალიზი. ხელმძღვანელი - ნინო სამსონია.

3. **მიხეილ გვაძაბია.** ქურთისტანი - გზა კონსოლიდაციამდე და პოტენციური სახელმწიფოს პერსპექტივა. ხელმძღვანელი - ელისაბედ მაჩიტიძე.

4. **ზვიად გიორგაშვილი.** ეგვიპტის საზოგადოებრივი და სოციალური ყოფა თავფიკ ალ-ჰაქიმის რომანის „პროვინციელი გამომძიებლის დღიურებიდან“ მიხედვით. ხელმძღვანელი - გიორგი ლობჟანიძე.

5. **ომიკო ეჯიბია.** ივდითი და ოლოფერნე. მუჰამადი და ზაინაბ ბინთ ალ-ჰარისი. სიუჟეტთა შედარება.

6. **ბექა მაკარაძე.** თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობები XXI საუკუნის დასაწყისში. ხელმძღვანელი - ემზარ მაკარაძე.

7. **პანტელეიმონ სოხაძე.** ელამური ენის სტრუქტურისა და ლექსიკის შესახებ. ხელმძღვანელი - მაია ღამბაშიძე.

8. **ნატა ტყეშელაშვილი.** ფათჰისა და ჰამასის კონფლიქტის მოგვარების მცდელობა უკანასკნელ წლებში. ხელმძღვანელი - ინგა ზამბახიძე.

9. **ოთარ ჭიღლაძე.** ჩინეთის თანის დინასტიისა და არაბთა სახალიფოს დაპირისპირება ცენტრალურ აზიაში. ხელმძღვანელი - ნანა გელაშვილი.

10. **ლაშა ხართიშვილი.** წყლის მეტაფორები შუმერულ ლიტერატურულ ტექსტებში. ხელმძღვანელი - ნინო სამსონია.

11. **ზურა გოგლიჩიძე.** სინას მთის არაბული ხელნაწერები. ხელმძღვანელი - მარიამ ნანობაშვილი.

12. **ლადო ზირაქიშვილი.** პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები არაბულში (ეგვიპტის დიალექტური მასალის საფუძველზე). ხელმძღვანელი - ნინო ეჯიბაძე.

13. **გიორგი ხულორდავა.** შეიბან ქაშანელის ყასიდა თბილისზე. ხელმძღვანელი - ნომად ბართაია.

14. **ზურაბ კაპანაძე.** ისრაელის პოლიტიკა ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებით. ხელმძღვანელი - ნანი გელოვანი.

15. **სალომე სიდამონიძე.** „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი არაბიზმის შესახებ. ხელმძღვანელი - მარიამ ნანობაშვილი.

16. **ნანა ჭითანავა.** ატ-ტანბურ (الطنبور) არაბული ძალებიანი მუსიკალური საკრავი და მისი ქართული პარალელი - ჩონგური. ხელმძღვანელი - ნინო ანთიძე-კახიანი.

17. **ევგენი ჭანიშვილი.** კვირიკე III დიდის სამონეტო ემისია - XI საუკუნის ქართული ნუმიზმატიკის უნიკალური ძეგლი.



არასდროს იმაჭანკლო, რადგან თუ შენი ხელშეწყობით შექმნილი ოჯახი ბედნიერი იქნება, აღარავის გაახსენდები, ხოლო უბედურების შემთხვევაში ყოველდღე დაგწყევლიან.

აჰიკარი - ლეგენდარული ასურელი ბრძენი

თუ სტუმარია, მტერსაც კი კარგად მოექეცი. ტყისმჭრელს ხე ჩრდილს არ უმალავს.

ინდური სიბრძნე

გიჟი ნუგეშს წარსულში პოულობს, სულელი - მომავალში, ხოლო ჭკვიანი - აწმყოში.

ინდური სიბრძნე

სიმართლის ხმა უსიამოვნოდ ჟღერს.

ლაო ძი

კეთილშობილმა ადამიანმა იცის მხოლოდ მოვალეობა, პირმოთნემ - სარგებელი.

კონფუცი

ახლოს გყავდეს მეგობრები, მტრები - კი უფრო ახლოს.

სუნ ძი

როდესაც საქმე არაფერი აქვთ, დიად საქმეებს ეჭიდებიან

ებრაული სიბრძნე

სულელი თავისი ლაყბობით ბრძენს თუ საუბარში დაჯაბნის, არ გაგიკვირდეს, რადგან რიყის ქვა ალმასსაც ამტვრევს.

საადი

გულიდან წამოსული სიტყვა გულში აღწევს.

ნიზამი განჯელი

მე ინდუისტი ვარ, მე მუსლიმი ვარ, მე იუდეველი ვარ, მე ქრისტიანი ვარ, მე ბუდისტი ვარ!

მაჰათმა განდი

რაც უფრო მძაფრად ამჟღავნებს საკუთარ თავს ინდივიდუალურობა, მით უფრო ისწრაფვის იგი დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირისკენ.

რაბინდრანათ თაგორი